



საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადანყოფილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დანახვის შესახებ

№ 346/1

13 მაისი, 2020 წელი

საქართველოს კანონის პროექტები: „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „შრომის ინსპექციის შესახებ“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კანონის პროექტები „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (#07-3/448; 27.04.2020)

დასახელება

საქ. პარლამენტის წევრები: დ. ცქიტიშვილი, ს. კილაძე,  
დ. მათიკაშვილი, თ. ჩუგოშვილი, ი. კობახიძე, რ. იონათამიშვილი,  
თ. ხულორდავა

ინიციატორი

საქ. პარლამენტის წევრი დ. ცქიტიშვილი

ავტორი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა  
კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

27. 04. 2020.

შემოსვლის თარიღი

წამყვან კომიტეტზე - 19.05. - 17.06.  
სხვა კომიტეტებზე - 19.05. - 03.06.

საკომიტეტო მოსმენის საჯარო თარიღი

26.05. - 25.06.

პლენარულ სხდომაზე  
განხილვის საჯარო თარიღი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის  
კომიტეტი;  
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი;  
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი;  
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი;  
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

კომიტეტები, რომელთა დასკვნა საკლდებუღალს

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საქართველო ფრაქციებში  
დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე,  
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

1. 11  
არჩილ





საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№346/1

2020 წელი, 13 მაისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:


დაევალოს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა (წამყვანი კომიტეტი), ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ევროპასთან ინტეგრაციის, საპროცედურო საკითხთა და წესების და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებს განიხილონ საქართველოს პარლამენტის წევრების: დიმიტრი ცქიტიშვილის, სოფიო კილაძის, დავით მათიკაშვილის, თამარ ჩუგოშვილის, ირაკლი კობახიძის, რატი იონათამიშვილის და თამარ ხულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „შრომის ინსპექციის შესახებ“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები“, „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები (№07-3/448; 27.04.2020) და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,  
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

არჩილ თაოაიაძე







№ 256

„12“ „მაისი“ 2020 წ.


## დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრის - დიმიტრი ცქიტიშვილის, სოფო კილაძის, დავით მათიკაშვილის, თამარ ჩუგოშვილის, ირაკლი კობახიძის, რატი იონათამიშვილის და თამარ ხულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონების, „შრომის ინსპექციის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონებისა და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტების (№07-3/448; 27.04.2020) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის - დიმიტრი ცქიტიშვილის, სოფო კილაძის, დავით მათიკაშვილის, თამარ ჩუგოშვილის, ირაკლი კობახიძის, რატი იონათამიშვილ ხულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შეს:



უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონების, „შრომის ინსპექციის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონების და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტები (№07-3/448; 27.04.2020) და მიზანშეწონილად მიაჩნია კანონის პროექტების და რეგლამენტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყება.

  
ალექსანდრე ტაბატაძე  
დეპარტამენტის უფროსი





2-5203/20  
10-05-2020

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს  
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების: დიმიტრი ცქიტიშვილის, სოფიო კილაძის, დავით მათიკაშვილის, თამარ ჩუგოშვილის, ირაკლი კობახიძის, რატი იონათამიშვილისა და თამარ ხულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტის „შრომის ინსპექციის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონების პროექტების: „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონების პროექტების: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კანონების პროექტების „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/448; 27.04.2020) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: დიმიტრი ცქიტიშვილის, სოფიო კილაძის, დავით მათიკაშვილის, თამარ ჩუგოშვილის, ირაკლი კობახიძის, რატი იონათამიშვილისა და თამარ ხულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტი „შრომის ინსპექციის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კანონების პროექტები „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/448; 27.04.2020) და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული კანონების პროექტების, რეგლამენტის პროექტისა და ორგანული კანონების პროექტების განხილვის პროცედურის დაწყება.

პატივისცემით,

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი  
შორენა კახიძე



მ. 3



საქართველოს პარლამენტის  
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს  
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 99-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის პროექტებს:

- საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ;
- „საქართველოს კანონი შრომის ინსპექციის შესახებ“;
- საქართველოს ორგანულ კანონში “შრომის უსაფრთხოების შესახებ” ცვლილების შეტანის თაობაზე;
- “საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში” ცვლილების შეტანის შესახებ;
- „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „პროფესიული კავშირების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუპციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;





- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ;

გთხოვთ აღნიშნულ კანონპროექტებს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა,

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის წევრები:

ლაშქარაძე ნიკოლოზი  
 სოფო ქლოძე  
 ლავროვი ვლადიმერ  
 თაბუაძე ზურაბი  
 არაგვისკანი ვახტანგ  
 მანუჩიანი ვლადიმერ  
 თამაძე ხელოხიძე

ბ. მანუჩიანი  
 ს. მანუჩიანი  
 ა. მანუჩიანი  
 ვ. მანუჩიანი  
 თ. მანუჩიანი





განმარტებითი ბარათი  
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე  
„საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილების  
შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსში“ (შემდგომში „შრომის კოდექსი“) 2013 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ახლებურად დარეგულირდა შრომის კოდექსით გათვალისწინებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მოცემული ცვლილებები განპირობებული იყო მანამდე არსებული რეალობით - 2013 წლამდე მოქმედი შრომის კოდექსი (ეროვნულ დონეზე, ასევე საერთაშორისო შეფასებით) მიჩნეული იყო როგორც დამსაქმებლის ინტერესსა და პრიორიტეტებზე მორგებული ნორმატიული დოკუმენტი. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ხარვეზები საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან შეუსაბამობის კუთხით. შედეგად, 2013 წელს განხორციელებული ცვლილებების ძალით საქართველოს შრომის კანონმდებლობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.

2013 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს საერთო სასამართლოებში რეგისტრირებული შრომითი სარჩელების რაოდენობა.<sup>1</sup> დამსაქმებელსა და დასაქმებულს (კანდიდატს) შორის შრომითი ურთიერთობის ფარგლებში გამოიკვეთა არაერთი პრობლემური სამართლებრივი საკითხი. 2015 წელს დაარსდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. დეპარტამენტის მანდატი შრომის უსაფრთხოების საკითხებით შემოიფარგლებოდა და სამუშაო ადგილზე ინსპექტირებისთვის მას დამსაქმებლის წინასწარ თანხმობა სჭირდებოდა. ამასთან, ინსპექტირების შემდგომ, დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა არ გააჩნდა. 2019 წლის თებერვალში მიღებულმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა შრომის ინსპექციის უფლებამოსილება და მანდატი მნიშვნელოვნად გააფართოვა და ინსპექტირების ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბება დაისახა მიზნად. შედეგად, ქვეყანაში შრომით სამართლებრივი ურთიერთობები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა.

საგულისხმოა საერთაშორისო კონტექსტი. 2013 წელს შრომის კოდექსში ინიცირებული ცვლილებები დადებითად შეფასდა საერთაშორისო სტანდარტ

<sup>1</sup> იხ. „მართლმსაჯულება საქართველოში“, 2008–2018 წლის სტ <http://www.supremecourt.ge/statistics/> [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].



დაახლოების თვალსაზრისით.<sup>2</sup> თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში „ILO“) ზოგიერთ კონვენციასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ (შემდგომში „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) და კონკრეტულად მისი IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ცნობილია, როგორც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (შემდგომში „DCFTA“). აღნიშნული შეთანხმების 227-ე მუხლში (რომელიც განსაზღვრავს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ძირითად მიზნებსა და კონტექსტს) აღიარებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო მხარს უჭერს, მათ შორის, ILO-ს 1998 წლის დეკლარაციას შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ და 2008 წლის დეკლარაციას სოციალური თანასწორობა სამართლიანი გლობალიზაციის შესახებ. იმავე მუხლში ყურადღება გამახვილებულია ვაჭრობასთან დაკავშირებულ შრომითი საკითხების, როგორც ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების მიმართ გლობალური მიდგომის ნაწილის მნიშვნელობაზე. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ 229-ე მუხლის თანახმად, შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ ILO-ს 1998 წლის დეკლარაციით აღებული ვალდებულებების შესაბამისად და მის განსახორციელებლად საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს, ხელი შეუწყოს, რეალურად ასახოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში განახორციელონ ILO-ს (ფუნდამენტური) კონვენციები.<sup>3</sup>

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ - DCFTA-ის 235-ე მუხლი აღიარებს ქვეყანაში შრომით სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო მოწესრიგების უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს. საუბარია ინვესტიციის წახალისების მიმართებაზე შრომით ურთიერთობის დაცვის დონესთან. კერძოდ, 235.1-ე მუხლში მითითებულია, რომ მხარეები აცნობიერებენ, რომ მიუღებელია ვაჭრობისა თუ ინვესტიციების წახალისება იმ დაცვის დონის შესუსტებით, რომელიც გათვალისწინებულია

<sup>2</sup> იხ. მაგ. Observation (CEACR) - adopted 2014, published 104th ILC session (2015); [http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:13100:0::NO:13100:P13100\\_COMMENT\\_ID:3191578](http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:13100:0::NO:13100:P13100_COMMENT_ID:3191578) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].

<sup>3</sup> „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ 228.1-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს უფლებას განსაზღვრონ ეროვნულ დონეზე შრომითი ურთიერთობების დაცვის დონე. აღნიშნული მიზნებისათვის სახელმწიფოს უნდა მიიღოს და/ან შეცვალოს ადგილობრივი კანონი თუ პოლიტიკა რათა უზრუნველყოფილი იქნეს ILO-ს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და შეთანხმებებთან თანხვედრა. 228.2-ე პუნქტი დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სახელმწიფომ უნდა სცადოს იმის უზრუნველყოფა, რომ მისი კანონები და პოლიტიკა ითვალისწინებდეს და ხელს უწყობდეს შრომითი ურთიერთობების დაცვის მაღალი დონის მიღწევას და შეეცადოს გააგრძელოს ამ კანონებისა და პოლიტიკის და მათი ძირითადი დაცვის დონის გაუმჯობესება. 229-ე მუხლში დეკლარირებულია სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული შრომა, გლობალიზაციის მართვის ძირითადი ელემენტები. იმავე ნორმის ძალით საქართველოს სა ადასტურებს მის ვალდებულებას, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებით, რომელიც უზრუნველყოფს სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეულ არსებობას ყველასათვის.





ადგილობრივი შრომითი კანონმდებლობით. იმავე მუხლის მეორე პუნქტში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს თავის არიდება და უგულვებელყოფა ან შესთავაზოს თავის არიდება და უგულვებელყოფა მისი შრომის კანონმდებლობიდან ვაჭრობის წახალისების ან მათ ტერიტორიაზე ინვესტორის ინვესტიციების შემოყვანის, მოძიების, გაძლიერების ან შენარჩუნების მიზნით. განსაკუთრებით საყურადღებოა მესამე ნაწილი, რომელიც ეხება შრომის კანონმდებლობის ეფექტურ აღსრულებას - საქართველოს სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას მუდმივი ან პერიოდული ქმედებების ან უმოქმედობის ერთობლიობით ჩაიშალოს შრომითი კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება, ინვესტიციებისა და ვაჭრობის წახალისებისთვის. ექვგარეშეა, რომ ზემოაღნიშნული საბაზისო სამართლებრივი პოსტულატი განსაზღვრავს იმ მიმართულებებს, რომლებსაც მკაცრად უნდა დაეფუძნოს საქართველოში შრომით სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი პოლიტიკა.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI კარი, რომელიც ეხება საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის თანამშრომლობის სხვა სფეროებს, მოიცავს მე-14 თავს - დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები. 354-ე მუხლში კი მითითებულია, რომ „*საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXX დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად*“. XXX დანართი ეხება იმავე საკითხს (დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები) და განსაზღვრავს საქართველოს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სამ სფეროში: შრომის სამართალი; დისკრიმინაციის აკრძალვა და გენდერული თანასწორობა და ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე. XXX დანართში შრომის სამართალთან, დისკრიმინაციის აკრძალვასთან და გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსაზღვრულია დირექტივები (კონკრეტული ვადების მითითებით), რომელთანაც ჰარმონიზაციის ვალდებულება გააჩნია საქართველოს სახელმწიფოს.

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეგიდით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოქალაქეები შრომის უფლებების დარღვევას, სხვა უფლებებს შორის, ყველაზე ხშირად უჩივიან.<sup>4</sup> საგულისხმოა, რომ 2012 წელს ჩატარებული მსგავსი შინაარსის კვლევის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეთა ყველაზე დიდი ნაწილი შრომის უფლების დარღვევაზე საუბრობდა<sup>5</sup>. ამასთან, 2019 წელს, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა (CRRC) და ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით,

<sup>4</sup> ACT (2017). ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში: საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა, გვ. 42-45. ხელმისაწვდომია მზულზე: [https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP\\_GE\\_DG\\_Human\\_Rights\\_S7\\_geo.pdf](https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP_GE_DG_Human_Rights_S7_geo.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>5</sup> იქვე, გ. 44.



სამუშაო ადგილზე ხდება არასათანადო ანაზღაურება (71%), შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა (64%), სამუშაო საათების ხანგრძლივობის ნორმების დარღვევა (57%), ანაზღაურების დაგვიანება (42%), ანაზღაურებადი შვებულების უფლების დარღვევა (30%), დეკრეტული შვებულების უფლების დარღვევა (15%)<sup>6</sup>. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის<sup>7</sup> ფარგლებში, 2019 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 15 აგვისტოს ჩათვლით განხორციელდა 109 შემოწმება, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ შრომის უსაფრთხოების პირობების დარღვევასთან ერთად, ხშირად სახეზეა შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტებიც, მათ შორის, სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება, გამოსაცდელი ვადის პირობების დარღვევა, სამუშაო საათების, ზეგანაკვეთური ანაზღაურების, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების გამოყენების წესის დარღვევა. 2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა, შრომის უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების საჭიროებასთან ერთად,<sup>8</sup> ხაზი გაუსვა შრომის უფლებების შემდგომი რეგულირებისა და დამოუკიდებელი და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას<sup>9</sup>.

საგულისხმოა ILO-ს ექსპერტთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშები,<sup>10</sup> სადაც წარმოდგენილია არაერთი კრიტიკული შენიშვნა და რეკომენდაცია „შრომის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც მათ შორის ეხება გაფიცვის უფლებას, თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპს, ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნას. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის მიხედვით, საქართველო იღებს ვალდებულებას, გააგრძელოს მუშაობა ქმედითი შრომის ინსპექციის შესაქმნელად და უზრუნველყოს მისი უფლებამოსილების გავრცელება შრომის ყველა პირობასა და შრომითი ურთიერთობის ყველა ასპექტზე.<sup>11</sup>

<sup>6</sup> CRRC (2018). გამოკითხვა პოლიტიკური და სოციალური საკითხების შესახებ, გ. 30. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/04/CRRC-research.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>7</sup> იხ. საქართველოს მთავრობის N603 დადგენილება (31.12.2018) შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია მზულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4443902?publication=0> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>8</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 186-193. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>9</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). ეროვნული საბაზისო კვლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია მზულზე: <https://drive.google.com/file/d/1jlujQ6bN40Wr1BJFukQx3wv326Stell/view> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>10</sup> [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_COUNTRY\\_ID:::](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_ID:::) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].

<sup>11</sup> იხ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex\\_ii\\_-\\_eu-georgia\\_association\\_agenda\\_text.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].





ასევე ხაზი უნდა გაესვას ევროპის სოციალური ქარტიის ზოგიერთი რატიფიცირებული ნორმის ეროვნული იმპლემენტაციის საკითხს. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში შრომის უფლების დაცვის შესახებ 2018 წელს მომზადებულ დასკვნაში მითითებულია, რომ შრომის ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. კომიტეტის შეფასებით, საქართველოს შრომის ინსპექციის უწყება არ ზედამხედველობს დამსაქმებელთა მიერ ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაო დროის მარეგულირებელი ნორმების დაცვას, რაც საქართველოს მიერ რატიფიცირებული ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნათა დარღვევაა.<sup>12</sup> ამასთან, 2019 წლის მაისში, საქართველოსა და ევროკავშირს ყოველწლიური ადამიანის უფლებათა დიალოგის მე-12 რაუნდის ფარგლებში, ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს, უზრუნველყოს სრულყოფილი შრომის ინსპექციის შექმნა.

შრომის უფლებების დაცვის მდგომარეობა ასევე გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2018 წლის ანგარიშის ნაწილი. დასკვნის მიხედვით, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქმედით ზედამხედველობას მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და შრომის სხვა უფლებებთან მიმართებით.<sup>13</sup> ამასთან, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის ოფიციალური განცხადებით, 2019 წლის 1 სექტემბრის შემდეგაც კი, საქართველოს შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაბამისობაში არ იქნება არსებულ გამოწვევებთან, თუ შრომითი ზედამხედველობა არ გავრცელდება შრომის უფლებების ყველა ასპექტზე.<sup>14</sup> საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2019 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით, საქართველომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, უნდა შექმნას „დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკოპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას; Human Rights Watch-ის რეკომენდაციითვე, შრომის ინსპექციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, „სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის და

<sup>12</sup> იხ. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის დასკვნა საქართველოს შესახებ.

ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://hudoc.esc.coe.int/eng#%22tabview%22:%22document%22,%22ESCDcIdentifier%22:%222018/def/GEO/2/1/EN%22>] [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>13</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (2018). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEORGIA-2018-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>14</sup> იხ. გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24474&LangID=en> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დადლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები“<sup>15</sup>.

#### ა.ა.ბ) არსებული პრობლემების გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ზემოთ განხილული პრობლემური საკითხები, გამოწვევები და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები საჭიროებს შესაბამის ნორმატიულ აქტში - კონკრეტულად კი „შრომის კოდექსში“ ცვლილებების განხორციელებას.

#### ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღება იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს შრომის სამართლის ევროპულ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვების თვალსაზრისით. არსებული გამოწვევების, პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზებისა და პრობლემების გათვალისწინებით საქართველოს შრომის კანონმდებლობა უფრო დაუახლოვდება ევროპული კავშირის დირექტივით და ILO-ს კონვენციებით გათვალისწინებულ სტანდარტებს. გარდა ამისა, კანონპროექტის მიღებით, საქართველო შეასრულებს „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს. კანონპროექტი თავის მხრივ ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით რეგულირდება აქამდე დაურეგულირებელი ან არასრულყოფილად რეგულირებული შრომითსამართლებრივი საკითხები. ეროვნული კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, კანონპროექტი გულისხმობს შემდეგი საკითხების მოწესრიგებას: დისკრიმინაციის აკრძალვა; ზეპირი და ვადიანი შრომითი ხელშეკრულება; შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები; სტაჟიორის სამართლებრივი სტატუსი; არასრული სამუშაო განაკვეთი; სამუშაო დრო; დასვენების-შესვენების უფლება; ზეგანაკვეთური სამუშაო; ცვლაში მუშაობა; ღამით მუშაობა; ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულება, ბავშვის მოვლის გამო შვებულება, რომელიც ასევე მოიცავს მამების ანაზრაურებად შვებულების უფლებას; შრომის ანაზრაურება და მინიმალური ხელფასი; მასობრივი დათხოვნა; საწარმოთა გადაცემა; გაფიცვის უფლება; კოლექტიური შრომითი მედიაცია; ინფორმაცია და კონსულტაცია სამუშაო ადგილზე; შრომით უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება.

<sup>15</sup> Human Rights Watch (2019). No Year without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian M Risk. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.hrw.org/report/2019/08/22/no-year-without-deaths-deregulation-puts-georgian-miners-risk> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].





უფრო კონკრეტულად:

შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით ცვლილებები ეფუძნება ევროპული კავშირის შემდეგ სამ დირექტივას: **2000 წლის 27 ნოემბრის საბჭოს 2000/78/EC დირექტივა** (რომელიც დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის საკითხებთან მიმართებით აყალიბებს თანაბარი მოპყრობის ზოგად სტრუქტურას); **2000 წლის 29 ივნისის საბჭოს 2000/43/EC დირექტივა** (რომელიც უზრუნველყოფს რასობრივი თუ ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად პირთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას) და **2006 წლის 5 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/54/EC დირექტივა** (რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას). აღნიშნული დირექტივებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტი გულისხმობს დისკრიმინაციის ნიშნების არსებულ ჩამონათვალში ნიშნების კიდევ უფრო გაფართოვებას; პირდაპირი და არაპირდაპირი დეფინიციის წარმოდგენას; თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დანერგვას; მტკიცების ტვირთის მკაფიო რეგლამენტირებას; დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლების დაზუსტებას; დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებების რეგლამენტირებას და გონივრული მისადაგების პრინციპის დადგენას.

ზეპირ და ვადიან შრომით ხელშეკრულებასთან და შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებთან დაკავშირებული ცვლილებები გამომდინარეობს „ვადიანი სამუშაოს შესახებ“ ჩარჩო შეთანხმების თაობაზე ევროპის კავშირის საბჭოს **1999 წლის 28 ივნისის 1999/70/EC დირექტივიდან** და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან დასაქმებასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა ინფორმირების ვალდებულების შესახებ ევროპის კავშირის საბჭოს **1991 წლის 14 ოქტომბრის 91/533/EEC დირექტივიდან**. წარმოდგენილი კანონპროექტი გულისხმობს ზეპირი და ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების დადების შეზღუდავს და შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით დამატებითი არსებითი პირობების დადგენას, როგორცაა მაგ. შრომის ანაზღაურების კომპონენტები, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი.

კანონპროექტი გულისხმობს სტაჟიორის სამართლებრივი სტატუსის რეგულირებასა და სტაჟიორის მოქცევას შრომის კოდექსის მოქმედების სფეროში.

არასრული სამუშაო განაკვეთთან დაკავშირებული ცვლილებები ნაკარნახევია „ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ“ ჩარჩო შეთანხმების თაობაზე ევროპის კავშირის საბჭოს **1997 წლის 15 დეკემბრის 97/81/EC დირექტივით**. პროექტი გულისხმობს არასრულ განაკვეთზე დასაქმებულის პირის სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობის გაჩენას და ზოგადად არასრულ განაკვეთზე დასაქმ დაკავშირებული საკითხების რეგულირებას.



კანონპროექტის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია სამუშაო დროის, დასვენებისა და შესვენების უფლების რეგლამენტირებას, ზეგანაკვეთური სამუშაოს მინიმალური ანაზღაურების ტარიფის დაწესება, ცვლაში და ღამით მუშაობის საკითხის რეგულირება. წარმოდგენილი ნორმები ძირითადად გამომდინარეობს სამუშაო დროის ორგანიზების გარკვეული ასპექტების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპის კავშირის საბჭოს **2003 წლის 4 ნოემბრის 2003/88/EC დირექტივიდან**.

კანონპროექტი მოიცავს ორსულობის და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების, (მათ შორის მამებისთვის) ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების დაწესებას. შესაბამისი კალენდარული დღეების დადგენილი ხანგრძლივობით შემოთავაზებულია შვებულებების გამოყენების წესი.

წარმოდგენილი კანონპროექტში შემოთავაზებულია შრომის ანაზღაურების ტერმინის განმარტება, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება 2006 წლის 5 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/54/EC დირექტივით (რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას) განსაზღვრული ანაზღაურების დეფინიციას. კანონპროექტში ასევე წარმოდგენილია ვალდებულება, რომ შრომის ანაზღაურება არ უნდა იყოს მინიმალურ ხელფასზე ნაკლები. მინიმალური ხელფასის განსაზღვრის მექანიზმი, მისი მოქმედების ფარგლები და ანაზღაურების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციები კი განსაზღვრული უნდა იქნეს მინიმალური ანაზღაურების შესახებ სპეციალური კანონით.

კანონპროექტი გულისხმობს ევროპული კავშირის სტანდარტთან შესაბამისობაში მყოფ მასობრივი დათხოვნის რეგულირებას, რომელიც გამომდინარეობს მასობრივი დათხოვნის შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე **ევროპის კავშირის საბჭოს 1998 წლის 20 ივლისის 98/59/EC დირექტივიდან**. წარმოდგენილი რეგულირებით დამსაქმებელს ეკისრება მასობრივ დათხოვნასთან დაკავშირებული მთელი რიგი ვალდებულებები, რომელთა მიზანი დასაქმებულთა ინტერესების მაქსიმალური დაცვაა.

ქართული შრომის სამართლისთვის სიახლეა საწარმოთა გადაცემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შეზღუდვები, რომელიც ეფუძნება საწარმოებისა და ბიზნესების სრული ან ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში დასაქმებულთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე **ევროპის კავშირის საბჭოს 2001 წლის 12 მარტის 2001/23/EC დირექტივას**. სიახლეა ასევე ლატვიისა და სლოვაკეთის მოდელის მაგალითზე შემუშავებული დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთათვის ინფორმაციის მიწოდების წესი და შესაბამისი კონსულტაციის განხორციელების ვალდებულება. აღნიშნული მნიშვნელოვანი შრომითსამართლებრივი გარანტია ეფუძნება დასაქმ ინფორმირებისა და მათთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით დასაქმ





**წარმომადგენლობის შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპის კავშირის საბჭოს 2002 წლის 11 მარტის 2002/14/EC დირექტივას.**

კანონპროექტში წარმოდგენილია გაფიცვის უფლების დაზუსტებული რეგულირება, რომელიც აგებულია ILO–ს ექსპერტთა კომიტეტისა და გაერთიანების თავისუფლების კომიტეტის მიდგომათა გამოყენებით. აღნიშნულ ნაწილში გათვალისწინებულია ILO–ს ექსპერტთა კომიტეტის მხრიდან მრავალი წლის განმავლობაში გამოთქმული შენიშვნები შრომის კოდექსით გათვალისწინებულ გაფიცვის უფლებასთან დაკავშირებით. ეს ახლებური დანაწესი ასევე გულისხმობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების ჩამონათვალის დამტკიცებას. კოლექტიური შრომითი დავის ფარგლებში მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღუსრულებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, შემოთავაზებულია მედიაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმების სასამართლოს მემვეობით აღსრულების წესი.

ინიციატივა გულისხმობს შრომის ინსპექციის უფლებამოსილების განსაზღვრას შრომით უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების თვალსაზრისით. შრომით დებულებებთან დაკავშირებულ საკითხებზე შემოთავაზებულია სხვადასხვა ადმინისტრაციული სახდელეები, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც გაფრთხილება ასევე ჯარიმა. ჯარიმის გამოთვლის მეთოდი იგივეა რაც გათვალისწინებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

„შრომის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებები წარმოშობს გარკვეულ ვალდებულებებს დამსაქმებელთათვის. ამ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის მათ ესაჭიროებათ გარკვეული დრო. ამდენად, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტი ითვალისწინებს ძალაში შესვლის სპეციალურ ვადას.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შე დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებულ განხილვას):**



ასეთი არ არსებობს.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილი იქნება, შრომითი კანონმდებლობის დარღვევისათვის გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ჯარიმის გადახდა დაეკისრება დამსაქმებელს და იგი მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლის გავლენის ოდენობა დამოკიდებულია სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომითი კანონმდებლობის გამოვლენილ დარღვევთა რაოდენობაზე და დამსაქმებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ჯარიმების ოდენობაზე. თუმცა, ვინაიდან, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილებები ფართოვდება, სავარაუდოა, რომ შემდეგ წლებში გაიზრდება შრომის კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა და დამსაქმებელთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხების ოდენობაც.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

2020 წელს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ჩამოყალიბება დამატებითი ხარჯვითი ნაწილის ზრდას არ იწვევს, თუმცა ხარჯვითი ნაწილი გაიზრდება მომდევნო წლების საშუალო ვადიან პერიოდში.

2020 წელს სსიპ საქართველოს შრომის ინსპექციის ცენტრალური აპარატი განთავსდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობაში და მას გაუკვე არსებული ინვენტარი, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებე აღჭურვილობა. გარდა ამისა, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა ქუთაის ბათუმში უნდა გახსნას რეგიონალური წამომადგენლობა, რომლისთვისაც





იქნება საოფისე ტექნიკა, ინვენტარი, საიჯარო ქირა, ოფისის ფუნქციონირებასა და შენახვასთან დაკავშირებული თანხები. წელიწადში თითოეული რეგიონალური წარმომადგენლობისთვის საშუალოდ საჭიროა - 300 000 ლარი. 2021 წლიდან, დაგეგმილია ინსპექტორთა რაოდენობის გაიზრდა 100-მდე, რაც გამოიწვევს ინსპექტორების აღჭურვილობისთვის (მათ შორის, მზომი ხელსაწყოები, სამხრე კამერები, პლანშეტები), სატრანსპორტო საშუალების მოვლა-შენახვისათვის, სატრანსპორტო საშუალების დაზღვევისა და საწვავისათვის საჭირო ხარჯებს საშუალოდ - 350 000 ლარის ოდენობით.

ამჟამად, საქართველოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში დასაქმებულია შტატით გათვალისწინებული 7 თანამშრომელი და 17 შრომის ინსპექტორი, როგორც ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს 2020 წლის ბოლომდე (სავარაუდოდ მესამე კვარტალში) დაემატება ხელშეკრულებით დასაქმებული 63 პირი, აქედან 60 დასაქმდება შრომის ინსპექტორის, ხოლო 3 - იურიდიულ საკითხებში კონსულტანტის პოზიციაზე. შესაბამისად, მიმდინარე წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 87 თანამშრომლისათვის (27 05 02 პროგრამული კოდით) სახელფასო ბიუჯეტისთვის გათვალისწინებულია - 1 300 000 ლარი. ვინაიდან, 2021 წლისთვის დაგეგმილია შრომითი ინსპექტორების რაოდენობის 100-მდე გაზრდა, მათთვის რანჟირების სისტემის შემოღება და კატეგორიებად დაყოფა (ინსპექტორი, უფროსი ინსპექტორი), წინა წელთან შედარებით 2021 წლის სახელფასო ბიუჯეტი დაახლოებით გაიზრდება - 2 340 000 ლარით. ხოლო, 2022 წლისთვის დაგეგმილია შრომითი ინსპექტორების რაოდენობის 150-მდე ზრდა, რაც თავის მხრივ, წინა წელთან შედარებით, 2022 წლის სახელფასო ბიუჯეტს დაახლოებით - 1 310 000 ლარით გაზრდის. 2023 წლისთვის წინა წელთან შედარებით არ იზრდება სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის სახელფასო ბიუჯეტი. რაც შეეხება სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის აპარატისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დაზღვევას და სოციალურ უზრუნველყოფას, უნდა აღინიშნოს, რომ 2022 - 2023 წლის ბიუჯეტში იგი წლიურად, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილში გამოიწვევს დაახლოებით - 76 000 ლარით ზრდას.

მოქმედი შრომის კოდექსის მიხედვით, მხოლოდ დედაა უფლებმოსილი მიიღოს ანაზღაურება ორსულობა, მშობიარობა და ბავშვის მოვლისათვის, ხოლო წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით ფართოვდება პირთა წრე და ორსულობა-მშობიარობის შვებულება გამიჯნულია ბავშვის მოვლის შვებულებისგან. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის მიხედვით მამას ენიჭება უფლება ისარგებლოს ბავშვის მოვლისათვის დაწესებული შვებულებით, წარმოდგენილი რედაქციით არ იზრდება ასეთი შვებულებისათვის გასაცემი დახმარების ოდენობა და ხდება თანხის გადანაწილება ორსულობა, მშობიარობის შვებულებასა და ბავშვის მოვლის შვებულებისთვის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ მამის მხრიდან მომართვიანობა მაღალი, აღნიშნულმა შესაძლოა გაზარდოს სამინისტროს ადმინისტრირების და ამ მიმართულებით შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამისი კადრის დამატე



კანონპროექტის მესამე მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიღება არ საჭიროებს მთავრობისგან და სამინისტროსგან დამატებითი თანხების გამოყოფას.

შრომის კოდექსის ცვლილებებიდან გამომდინარე სასამართლოს დავების რაოდენობამ შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული ცვლილებები, თუმცა ეს არ გამოიწვევს სასამართლოს ხარჯების ზრდას.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაოანსაგარეოვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით დამსაქმებლებისთვის წესდება მთელი რიგი რეგულაციები. კანონპროექტი მოიცავს საქართველოს შრომის ბაზრისთვის უცნობ, არაერთ სიახლეს, რასაც პირდაპირი გავლენა ექნება დამსაქმებლებზე სამუშაოსთვისებრივად ახლებურად ორგანიზების თვალსაზრისით. კანონპროექტმა შესაძლოა დამსაქმებლისთვის წარმოშვას დამატებითი ფინანსური ხარჯები, რამდენადაც შემოთავაზებული ცვლილებებით ახლებურად რეგულირდება შრომითი ურთიერთობის არაერთი კომპონენტი (ქალისა და მამაკაცის მიერ შესასრულებელი თანაბარი სამუშაოსათვის შრომის ანაზღაურების გათანაბრება, შშმ პირთა მიმართ თანაბარი მობყრობა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფა, ორ სამსახურში დასაქმების შეზღუდვა, ზეგანაკვეთური, სამუშაო დრო, ცვლაში მუშაობა, სამუშაო, სამედიცინო გამოკვლევისთვის დახარჯული და ა.შ.).

ქალისადამაკაცის მიერ შესასრულებელი თანაბარი სამუშაოსათვის შრომის ანაზღაურების გათანაბრებას, დამსაქმებლის ფინანსურ მდგომარეობაზე შესაძლოა ქონდეს გავლენა, იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე პოზიციაზე დასაქმებულ ქალსა და მამაკაცს თანაბარი სამუშაოსათვის აქვთ განსხვავებული ანაზღაურება, რა შემთხვევაშიც, დამსაქმებელს სხვაობის აღმოფხვრის მიზნით, შესაძლოა მოუწიოს დასაქმებულისათვის შრომის ანაზღაურების მომატება ან შემცირება. თავი აღნიშნულს შესაძლოა გავლენა ქონდეს დასაქმებულის ფინანსურ მდგომარეობაზე აღნიშნული ცვლილების გავლენა დასაქმებულსა და დამსაქმებელს დამოკიდებულია კომპანიაში არსებულ მდგომარეობაზე, კერძოდ, ერთი და





პოზიციაზე დასაქმებული ქალისა და მამაკაცის მიერ შესასრულებელ სამუშაოს მოცულობაზე და მათი ანაზღაურების ოდენობაზე. გარდა ამისა, აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს თანასწორუფლებიანობის დაცვას შრომის ანაზღაურებისას არა მხოლოდ სხვადასხვა სქესის დასაქმებულების შემთხვევაში, არამედ ერთი სქესის დასაქმებულებს შორისაც, რაც თავის მხრივ, აისახება დამსაქმებლის ხარჯებზე.

დასაქმებულის ვალდებულება, რომ უზრუნველყოს შშმ პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობა და გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვის მიზნით, განახორციელოს კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები, როგორცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა დასაქმების, კარიერული წინსვლის, პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობაზე, ასევე სამუშაო გარემოს ადაპტირება შესაძლოა იწვევდეს დამსაქმებლის მხრიდან შესაბამისი ხარჯების გამოყოფას, რაც გავლენას მოახდენს დამსაქმებლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ამასთან, აღნიშნულს შესაძლოა გავლენა ქონდეს დასაქმებულთა ფინანსურ მდგომარეობაზე, ვინაიდან, აღნიშნულ ცვლილებამდე, დასაქმებული შესაძლოა თავად უწევდა კარიერული წინსვლის და კვალიფიკაციის ამაღლების ზრუნვისთვის საჭირო თანხების გადახდა. დასაქმებულის და დამსაქმებლის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენა დამოკიდებულია კომპანიაში დასაქმებულ შშმ პირთა რაოდენობაზე და კომპანიაში არსებული კარიერული წინსვლის და კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობაზე.

დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ვალდებულების დამსაქმებლისთვის დაკისრებამ, შესაძლოა გავლენა იქონიოს დამსაქმებლის ხარჯებზე, ვინაიდან კანონპროექტის მიღების შემდეგ შესაძლოა გაიზარდოს კვალიფიკაციის ამაღლების სურვილის მქონე პირთა რაოდენობა, რაც დამსაქმებლებს გაუზრდის ხარჯებს. დასაქმებულის და დამსაქმებლის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენა დამოკიდებული იქნება პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის აქტივობების საჭიროებაზე და დასაქმებულთა სურვილზე.

რისკის შემცველი პროფესიების შემთხვევაში, ერთზე მეტი შეთავსებით მუშაობის აკრძალვას, თუ ჯამურად ირღვევა V თავით დადგენილი სამუშაო დროის სტანდარტი შესაძლოა გავლენა ქონდეს შესაბამის პირებზე, ვინაიდან დასაქმებულს ორ სამსახურში დასაქმების შეზღუდვის შემთხვევაში შეუმცირდება შემოსავალი, თუმცა, ამ ეტაპზე არ არსებობს ინფორმაცია რისკის შემცველ პროფესიებში რამდენი პირი მუშაობს შეთავსებით და რამდენი არღვევს დადგენილი სამუშაო დროის სტანდარტს. მეორეს მხრივ, ზემოაღნიშნული ცვლილება გარკვეულწილად არაპირდაპირ მოახდენს გავლენას დამსაქმებლის ხარჯებზე იმდენად, რამდენადაც მას მოუწევს შეთავსებით მომუშავე დასაქმებულის ჩანაცვლება შესაბამისი ადამიანური რესურსებით. ვინაიდან ამ ნორმის დარღვევა იწვევს დამსაქმებლის დაჯარიმებას, აღნიშნულმა შესაძლოა გავლენა ქონდეს დამსაქმებლის ბიუჯეტზე, გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება გამოვლენილი დარღვევების რაოდენობაზე.



კანონპროექტის მიხედვით იცვლება ზეგანაკვეთური ანაზღაურების ოდენობა, კერძოდ, წარმოდგენილი რედაქციით ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით და ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით არანაკლებ შრომის ანაზღაურების ნორმირებული საათობრივი განაკვეთის 125 პროცენტისა. იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული მუშაობს ზეგანაკვეთურად, აღნიშნული ცვლილება გავლენას იქონიებს, როგორც დამსაქმებელის, ასევე, დასაქმებულებულის ფინანსურ მდგომარეობაზე. დასაქმებულის და დამსაქმებლის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენა დამოკიდებულია კომპანიაში ზეგანაკვეთური სამუშაოს საჭიროებაზე, ორგანიზაციაში ზეგანაკვეთურად მომუშავე პირთა რაოდენობაზე და დასაქმებულისა და დამსაქმებელს შორის დღეს არსებულ შეთანხმებაზე.

კანონპროექტის მიხედვით, დედასთან ერთად მამასაც ენიჭება ბავშვის მოვლის გამო შვებულების სარგებლობის უფლება, თუმცა წარმოდგენილი რედაქცია ითვალისწინებს მხოლოდ მშობლებზე დღეების გადანაწილებას და არ იზრდება ასეთი შვებულებისათვის გასაცემი დახმარების ოდენობა.

კანონპროექტი შრომითი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებს ჯარიმებსაც, რასაც გავლენა ექნება დაჯარიმებულ პირებზე.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადიშენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობისგან საზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი ან მოსაკრებელი. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილი იქნება შრომითი უფლებებისა დარღვევის შემთხვევაში, დამსაქმებელთა მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული ჯარიმა, შესაბამისი საფუძვლითა და წესით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

5. თითოეული დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც სამმხრივი კომისიის მხარეა, თავად იღებს გადაწყვეტილებას სამმხრივი კომისიის წევრებად წარსადგენად საკუთარ წარმომადგენელთა შერჩევის თაობაზე.
6. სამმხრივი კომისიის წევრებად წარდგენილი უნდა იქნენ მხარეთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, რომლებიც, თავის მხრივ, სამმხრივი კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენენ კომისიის დანარჩენ 5-5 წევრს.
7. სამმხრივ კომისიაში საქართველოს მთავრობას სამმხრივი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად წარმოადგენენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირები შემდეგი სახელმწიფო დაწესებულებებიდან:
  - ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
  - ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
  - გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
  - დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
  - ე) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მუხლი 83. სოციალური პარტნიორობა და სამმხრივი კომისიის საქმიანობის პრინციპები

1. სოციალური პარტნიორობა არის შრომითი ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებით სოციალურ პარტნიორებს – დამსაქმებლის (დამსაქმებელთა გაერთიანების), დასაქმებულის (დასაქმებულთა გაერთიანების) და სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლებს – შორის დიალოგისა და თანამშრომლობის სისტემა.
2. სამმხრივი კომისიის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
  - ა) მხარეთა თანასწორობა და დამოუკიდებლობა;
  - ბ) სოციალური პარტნიორის ინტერესების პატივისცემა;
  - გ) ნდობა და კეთილსინდისიერება
  - დ) კოორდინაცია და პასუხისმგებლობა;
  - დ) ინფორმირებულობა;
  - ე) ვალდებულებათა შესრულება;
  - ვ) ტრიპარტიზმი;
  - ზ) კონსენსუსი.



3. სოციალური პარტნიორობის განვითარება შესაძლებელია ეროვნულ, სექტორულ, ტერიტორიულ, საწარმოო და სხვა ორგანიზაციულ დონეებზე.

მუხლი 84. სამმხრივი კომისიის ფუნქციები

სამმხრივი კომისიის ფუნქციებია:

- ა) ქვეყანაში სოციალური პარტნიორობის განვითარების, აგრეთვე დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა ყველა დონეზე, წევრებს შორის შეთანხმებისა და კონსენსუსის წახალისება;
- ბ) მთავრობასთან კონსულტაციების გამართვა შრომის, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საერთო ინტერესის მქონე საკითხების, მათ შორის, იმ რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, მინიმალურ ხელფასს და ნებისმიერ სხვა საკითხს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ინტერესებზე;
- გ) შრომით და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ, სამმხრივი კომისიის წევრთათვის მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ სხვა საკითხზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

მუხლი 85. სამმხრივი კომისიის უფლებამოსილებები

1. თავისი ფუნქციების შესასრულებლად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამმხრივი კომისია უფლებამოსილია:

- ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს მხარეთა მიერ დასმული საკითხები;
- ბ) კომისიის სხდომაზე მოისმინოს მხარეთა ინფორმაციები მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან, აგრეთვე სხვა დაწესებულებებისაგან მის მიერ საკითხების განსახილველად საჭირო მასალები;
- დ) საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად მოიწვიოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები და ექსპერტები. მათი მოწვევის დროს უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი;
- ე) შეიმუშაოს და დაინტერესებულ პირებს წარუდგინოს წინადადებები მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე.

2. სამმხრივი კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადაა 3 წელი. სამმხრივი კომისიის ახალი შემადგენლობა განისაზღვრება წინა შემადგენლობის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

3. სამმხრივი კომისიის დებულებას, რომლითაც განისაზღვრება სამმხრივი კომისიის შემადგენლობა, სტრუქტურა, საქმიანობისა და შემადგენლობის დამტკიცების წესები, დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. კონკრეტული საკითხების განხილვის მიზნით, სამმხრივი კომისია უფლებამოსილია შექმნას მუდმივი ან დროებითი ქვეკომიტეტები და სამუშაო ჯგუფები. სამმხრივი კომისიის ფარგლებში მუდმივად უნდა მოქმედებდეს ქვეკომიტეტი, რომლის ფუნქციაა საკონსულტაციის გამართვა „შრომის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სამმხრივი კონსულტაციების შესახებ“ 1976 წლის №144 კონვენციის შესახებ და სხვა საერთაშორისო შრომით სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.





საკითხების შესახებ.

## კარი VIII

### დასკვნითი დებულებანი

მუხლი 86. კანონის გავრცელება არსებულ შრომით ურთიერთობებზე

ეს კანონი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა.“

#### მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილში მითითებული მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-5-მე-6 პუნქტების და 75-ე-81-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილში მითითებული მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 28-ე მუხლის მე-5-მე-6 პუნქტები, 75-ე-81-ე მუხლები ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის N329 დადგენილება.

#### მუხლი 3.

1. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის გამოქვეყნებიდან 2022 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს მინიმალური ხელფასის განსაზღვრის მექანიზმის, მოქმედების ფარგლების და ანაზღაურების დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა.
3. საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ერთზე მეტი შეთავსებით მუშაობისთვის რისკის შემცველი პროფესიებისა და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი პროფესიების ჩამონათვალის განსაზღვრა.
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს სამუშაო დროის აღრიცხვის წესის დამტკიცება.
5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს სამთო-მომპოვებელ სფეროში სამუშაო დროის რეგულირების წესის დამტკიცება.
6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს წლიური სამუშაო დროის ფარგლებში ღამის სამუშაოს პროპორციული განაკვეთის განსაზღვრა.
7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ღამის სამუშაოზე დასაქმებულისათვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომ პერიოდული სამედიცინო შემოწმების პერიოდულობისა და ფარგლების დამტკიცება.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



## საქართველოს კანონი შრომის ინსპექციის შესახებ

### თავი I ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს და საქმიანობის მიმართულებებს, შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფას, შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილებებს და ამ უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

#### მუხლი 2. შრომის ინსპექციის სამსახურის სამართლებრივი სტატუსი

შრომის ინსპექციის სამსახური არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

#### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **შრომის კანონმდებლობა** - საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, სამუშაო ადგილზე ტრეფიკინგის - იძულებითი შრომის ამკრძალავი საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, მინისტრის ბრძანებების, შრომით უფლებებთან და პირობებთან მიმართებით საქართველოს სხვა ნებისმიერი ნორმატიული აქტის, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებების, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების და კოლექტიური დავის ფარგლებში მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნორმები;

ბ) **სამინისტრო** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

გ) **მინისტრი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;



- დ) შრომის ინსპექციის სამსახური- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი და სამინისტროს კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- ე) მთავარი შრომის ინსპექტორი - შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი;
- ვ) შრომის ინსპექტორი - მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დანიშნული პირი;
- ზ) ქცევის კოდექსი - ამ კანონის შესაბამისად მინისტრის მიერ დამტკიცებული შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსი;
- თ) დამსაქმებელი - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრული ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან/და პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო დაწესებულება;
- ი) დასაქმებული - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს, აგრეთვე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე;
- კ) სამუშაო ადგილი - კონკრეტული ადგილი, სადაც დასაქმებული და სხვა პირი უშუალოდ ახორციელებენ შრომით საქმიანობას;
- ლ) სამუშაო სივრცე - ყველა სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებული და სხვა პირი იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით და რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დამსაქმებელი აკონტროლებს;
- მ) პროფესიული დაავადება - დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით, იწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას მოკლე პერიოდში ან ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;
- ნ) დაინტერესებული პირი - დასაქმებული, რომლის მიმართაც დაირღვა შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, ან პირი, რომელიც დასაქმებულია ამავე დამსაქმებელთან და მისთვის ცნობილი გახდა შრომის კანონმდებლობით დაცული უფლებების დარღვევის ფაქტის შესახებ, „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით შექმნილ დასაქმებულთა გაერთიანება ან სახალხო დამცველის აპარატი;

## თავი II. ძირითადი დებულებები

### მუხლი 4. შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის პრინციპები





1. შრომის ინსპექციის სამსახური, თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით, შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. შრომის ინსპექციის სამსახური, ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას, ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

ა) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;

ბ) კანონიერება;

გ) პროფესიონალიზმი;

დ) კონფიდენციალურობის დაცვა.

## **მუხლი 5. შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები**

1. შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანია შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.

2. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, შრომის ინსპექციის სამსახური მათ შორის იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

ა) შრომის კანონმდებლობის შესრულებასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შესაბამისად, კონსულტაციის გაწევა ან/და ინფორმაციის მიწოდება;

ბ) საქართველოში შრომის კანონმდებლობის დაცვის ხელშეწყობისკენ მიმართული საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მისი ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა, საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების მეშვეობით.

გ) შრომის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების მიღება და განხილვა;

დ) ინსპექტირება;

ე) წინადადებების შემუშავება შრომის კანონმდებლობის დახვეწისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების მიზნით.

3. შრომის ინსპექციის სამსახურმა ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები უნდა გამოიყენოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს მაქსიმალურად შესაძლო გავლენის მოხდენა შრომის კანონმდებლობის ეფექტიან გამოყენებაზე.

4. შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურზე, საქართველოს დაზვერვის სამსახურზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე და მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებზე, თუ ამ კანონით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქარ თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამს



საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემებში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით.

5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება შრომით საქმიანობაზე საგანგებო მდგომარეობისა და საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### თავი III. შრომის ინსპექციის სამსახურის ქონება, სტრუქტურა და საქმიანობა

#### მუხლი 6. შრომის ინსპექციის სამსახურის ქონება და დაფინანსება

1. შრომის ინსპექციის სამსახურს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად და ფუნქციების შესასრულებლად აქვს ქონება.

2. შრომის ინსპექციის სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქონება, შემოსავლები და დაფინანსება სრულად ხმარდება შრომის ინსპექციის სამსახურის მიზნებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განხორციელებას.

#### მუხლი 7. შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურა

1. შრომის ინსპექციის სამსახურს ხელმძღვანელობს მთავარი შრომის ინსპექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი.

2. მთავარ შრომის ინსპექტორს ჰყავს არანაკლებ ორი მოადგილე, რომელთაგანაც ერთ-ერთი იკავებს პირველი მოადგილის პოზიციას.

3. მთავარი შრომის ინსპექტორის პირველ მოადგილეს და მოადგილე(ებ)ს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავარი შრომის ინსპექტორი. მთავარი შრომის ინსპექტორის პირველი მოადგილის საკურატურო სფეროში შედის შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, გარდა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული შრომის კანონმდებლობისა, რომელიც შედის მთავარი შრომის ინსპექტორის სხვა მოადგილე(ებ)ის საკურატურო სფეროში.

4. მთავარი შრომის ინსპექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, მთავარი შრომის ინსპექტორის უფლებამოსილებას ახორციელებს მთავარი შრომის ინსპექტორის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – მთავარი შრომის ინსპექტორის მოადგილე.

5. შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურა და ადმინისტრაციული მოწყობის წესი განისაზღვრება შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებით, რეგულირდება და ამტკიცებს მინისტრი.



6. შრომის ინსპექციის სამსახურის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს მინისტრი, რომელიც ზედამხედველობს შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის კანონიერებას, ეფექტიანობას და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, მინისტრი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავარი შრომის ინსპექტორის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

## **მუხლი 8. მთავარი შრომის ინსპექტორი**

1. მთავარი შრომის ინსპექტორი:

ა) ხელმძღვანელობს შრომის ინსპექციის სამსახურს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს შრომის ინსპექციის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ბ) გამოსცემს ამ კანონის, შრომის ინსპექტორის სამსახურის დებულების და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, მათ შორის, გადაწყვეტილებას, ბრძანებას, მითითებას;

გ) შეიმუშავებს და ამტკიცებს შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების, თანამშრომლების უფლებამოსილებებს და საშტატო ნუსხას. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში შრომის ინსპექტორთა თანამდებობის კლასიფიცირებასთან და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ მიღებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შრომის ინსპექტორებს და შრომის ინსპექციის სამსახურის სხვა თანამშრომლებს;

ე) უზრუნველყოფს შრომის ინსპექტორის სამსახურისათვის გადაცემული სახელმწიფო ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას;

ვ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, მთავარი შრომის ინსპექტორი განსაზღვრავს შრომის ინსპექტორის დანიშვნისათვის აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ზ) ახორციელებს ამ კანონით, შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. მთავარი შრომის ინსპექტორი ნიშნავს იმ რაოდენობის შრომის ინსპექტორებს, რაც აუცილებელია შრომის ინსპექციის სამსახურის მოვალეობების ეფექტიანად შესრულების უზრუნველსაყოფად. შრომის ინსპექტორთა დანიშვნისას მთავარი შრომის ინსპექტორი ვალდებულია გაითვალისწინოს შრომის ინსპექტორთა კვალიფიკაცია და გენდერულ ბალანი. საჭიროების შემთხვევაში, მამაკაც და ქალ ინსპექტორებს შეიძლება დაეკისროთ სპეციალური მოვალეობები.

3. მთავარი შრომის ინსპექტორი უზრუნველყოფს შრომის ინსპექტორების პროფესიულ ზრდას, კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიულ მომზადეი შორის, პერიოდულ სწავლებას (ტრენინგებს).



4. მთავარი შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია ითანამშრომლოს უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან შრომის ინსპექტორთათვის სასწავლო მოდულის შემუშავებისა და განვითარების მიზნით.

### **მუხლი 9. მრჩეველთა საბჭო**

1. მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებულ საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს შრომის ინსპექციის სამსახურისთვის შრომის ინსპექციის სამსახურის სტრატეგიის, ფუნქციონირებისა და საქმიანობის შესახებ.

2. მრჩეველთა საბჭო შედგება არაუმეტეს 7 წევრისგან. წევრები აირჩევიან არაუმეტეს 2 წლის ვადით, ზედიზედ ორჯერ.

3. მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან:

ა) სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის (დასაქმებულთა მხრიდან) ყველა წევრისაგან ნომინირებული 2 წარმომადგენელი;

ბ) სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის (დამსაქმებელთა მხრიდან) ყველა წევრისაგან ნომინირებული 2 წარმომადგენელი;

გ) საქართველოს პარლამენტის მიერ ნომინირებული საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 1 წევრი და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 1 წევრი;

დ) საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი;

4. მრჩეველთა საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით შეიმუშავებს და ამტკიცებს მისი საქმიანობის წესს.

### **მუხლი 10. შრომის ინსპექციის სამსახურის ყოველწლიური ანგარიში**

1. მთავარი შრომის ინსპექტორი ვალდებულია შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს მრჩეველთა საბჭოს და საქართველოს პარლამენტს, კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში.

2. შრომის ინსპექციის სამსახურის წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და რეგულაციების მიმოხილვა;

ბ) შრომის ინსპექციის სამსახურის სამომავლო ხედვა და სტრატეგია;

გ) ინფორმაცია შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ;

დ) ინსპექციას დაქვემდებრებული სამუშაო ადგილების სტატისტიკა

ე) ინსპექტირების მიზნით განხორციელებული ვიზიტების სტატისტიკა;

ვ) დარღვევებისა და დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომების შესახებ სტატისტიკა;

ზ) უბედური შემთხვევების სტატისტიკა;

თ) პროფესიული დაავადებების სტატისტიკა.

3. შრომის ინსპექციის სამსახურის წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა.





4. საქართველოს პარლამენტში ანგარიშის მოსმენა ხდება საქართველოს პარლამენტის რეგლმენტით განსაზღვრული წესით.

#### IV თავი. შრომის ინსპექტორის სტატუსი, საქმიანობის ფარგლები და სამართლებრივი გარანტიები

##### მუხლი 11. შრომის ინსპექტორის სტატუსი და საქმიანობის ფარგლები

1. შრომის ინსპექტორი არის საჯარო მოსამსახურე და მისი თანამდებობაზე დანიშვნა, სტატუსი, სოციალური გარანტიები და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. შრომის ინსპექტორებისათვის ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები უნდა განხორციელდეს:

ა) გონივრულობის ფარგლებში, ამ კანონის მოთხოვნებისა და იმ პირის ინტერესების გათვალისწინებით, რომელსაც ეხება შრომის ინსპექტორის მიერ უფლების რეალიზება;

ბ) ქცევის კოდექსით გათვალისწინებული წესით;

3. შრომის ინსპექციის სამსახურის ხარჯით, შრომის ინსპექტორები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ჯანმრთელობის დაზღვევით. შრომის ინსპექტორთა ჯანმრთელობის დაზღვევის მინიმალური პირობები განისაზღვრება მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ მიღებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 12. შრომის ინსპექტორთა საქმიანობის საქმიანობისთვის ხელშემშლის აღკვეთა** ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის ინსპექციის სამსახურისთვის განზრახ ხელის შეშლისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

#### თავი V. ინსპექტირების დაწყების საფუძვლები, შრომის კანონმდებლობის გამოყენება და აღსრულება

##### მუხლი 13. ინსპექტირების დაწყების საფუძვლები

1. შრომის ინსპექციის სამსახური შრომის ინსპექტირებას ახორციელებს:

ა) დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე;

ბ) საკუთარი ინიციატივით, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

გ) ნებისმიერი პირის შეტყობინების საფუძველზე, „შრომის უსაფრთხოების საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ნორმების დარღვევაზე“ დაკავშირებით.



2. ამ მუხლით გათვალისწინებული ინსპექტირების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავარი შრომის ინსპექტორი.

#### **მუხლი 14. საჩივარის განხილვის ვადა**

1. შრომის ინსპექციის სამსახური ამ კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში. საქმის გარემოებებისა და სირთულის გათვალისწინებით, მთავარი შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, გააგრძელოს საჩივრის განხილვის ვადა 1 თვის ვადით.

2. თუ შრომის კანონმდებლობით დაცული უფლების დარღვევით საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, შრომის ინსპექციის სამსახური, მისი შესაძლებლობის ფარგლებში, მყისიერად ახდენს რეაგირებას შემოსულ შეტყობინებასა და საჩივარზე.

#### **მუხლი 15. ინფორმაციის გამოთხოვის წესი**

1. ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ვალდებულია შრომის ინსპექციას, მისი მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, პროფესიული საიდუმლოების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი, რომელიც აუცილებელია ამ კანონით გათვალისწინებული ინსპექტირების განსახორციელებლად. შრომის ინსპექცია უფლებამოსილია საგადასახადო ორგანოსგან გამოითხოვოს საგადასახადო საიდუმლოება.

2. ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი შრომის ინსპექციის სამსახურს მიაწოდოს დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე.

#### **მუხლი 16. ინსპექტირების განხორციელების წესი**

1. სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში დაშვების მიზნით, შრომის ინსპექტორი ვალდებულია მაიდენტიფიცირებელი ბარათი, რომელიც გადაეცემა მას ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას და ფუნქციების შესრულებისათვის, წარუდგინოს:

ა) დამსაქმებელს ან მის წარმომადგენელს;

ბ) სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის მფლობელს, მესაკუთრეს ან მის წარმომადგენელს;

2. ინსპექტირების განხორციელების მიზნით, შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია:

ა) „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, თავისუფლად, წინასწარი შეტყობინების გარეშე, შევიდეს ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო ადგილზე სამუშაო სივრცეში დღე-ღამის ნებისმიერ დროს;



- ბ) წინასწარი შეტყობინების გარეშე, სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შევიდეს ნებისმიერ შენობაში/სივრცეში, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის არსებობასთან დაკავშირებით;
- გ) მოითხოვოს სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის ან მისი ნებისმიერი ნაწილის ხელშეუხებლობა, რამდენადაც აღნიშნული გონივრულად აუცილებელია სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის მოკვლევისათვის საჭირო ვადით.
- დ) მოიძიოს, გამოითხოვოს და გამოიკვილოს ნებისმიერი მასალა, ინფორმაცია, დოკუმენტი ან/და ნივთი, რასაც შრომის ინსპექტორი გონივრულობის ფარგლებში, აუცილებლად მიიჩნევს შრომის ინსპექტორის მიერ მოკვლევის ჩასატარებლად ან/და სხვა ფუნქციის შესასრულებლად;
- ე) მოკვლევის მიზნებისათვის დალუქოს ან/და ამოიღოს ამ მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ნებისმიერი მასალა, დოკუმენტი, საგანი ან/და ნივთიერება ან განახორციელოს ასლის გადაღება. დალუქვასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის, დალუქვის ვადები, განისაზღვრება მასალის, დოკუმენტის ან ნივთის დალუქვის ან/და ამოღების შესახებ მინისტრი სამართლებრივი აქტით.
- ვ) აიღოს ნებისმიერი ნივთის, მასალის, არსებული ნივთიერების ან ატმოსფერული ჰაერის ნიმუში;
- ზ) განახორციელოს აზომვები, ჩანაწერები, ფოტო, ვიდეოგადაღება, ამონაწერის გაკეთება;
- თ) გამოკითხოს სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში ნებისმიერი პირი, აღნიშნული პირისგან ისეთი ინფორმაციის მოთხოვნის გარეშე, რომელმაც შესაძლოა ამხილოს ეს პირი;
- ი) კონფიდენციალობის პირობის დაცვით, შრომის ინსპექციის სამსახურში მოიწვიოს დამსაქმებელი, დასაქმებული ან ნებისმიერი სხვა პირი და გაესაუბროს მას;
- კ) შეამოწმოს ან დაათვალიეროს დამსაქმებლის სამუშაო ადგილი, სამუშაო სივრცე, მასალა, მანქანა-დანადგარები ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობა ან/და ხელსაწყო;
- ლ) მოითხოვოს ნებისმიერი პირისგან, მის განკარგულებაში მყოფი მასალის, დოკუმენტის, ნივთის ან ნივთიერების გადაცემა ან/და ნებისმიერ დოკუმენტში არსებული ჩანაწერის განმარტება, რასაც შრომის ინსპექტორი, გონივრულობის ფარგლებში, აუცილებლად მიიჩნევს მოკვლევის ჩასატარებლად ან/და სხვა ფუნქციის შესასრულებლად, მიუხედავად იმისა აღნიშნული არის თუ არა დამსაქმებლის სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში;
- მ) საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს პოლიციის, თარჯიმნის ან შესაბამისი ტექნიკური ექსპერტის დახმარება;
- ნ) ამ კანონით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოსცეს ინდივიდუალურ სამართლებრივ გააფორმოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, გამ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა და გასცეს შესაბამისი მითითე



3. შრომის ინსპექტორი, რომელმაც ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, დროებით ამოიღებს/დააღუქავს მასალას, დოკუმენტს ან/და ნივთს, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნული მასალის, დოკუმენტის ან/და ნივთის მფლობელს მისცეს ასლის ან ფოტოს გადაღების შესაძლებლობა.
4. შრომის ინსპექტორი ვალდებულია, მასალის, დოკუმენტის ან ნივთის დააღუქვას ან/და ამოღების შესახებ შეადგინოს ოქმი და გადასცეს მისი ასლი ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პირს.
5. შრომის ინსპექტორი ვალდებულია მასალის, დოკუმენტის ან ნივთის დააღუქვას ან/და ამოღების შემთხვევაში, მასალის, დოკუმენტის ან ნივთის მფლობელს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს, მისცეს აღნიშნულ მასალის, დოკუმენტის ან ნივთის თავისებურებისა და საჭიროების გათვალისწინებით, გონივრული პერიოდულობით, მისი შემოწმების ან ასლების გადაღების შესაძლებლობა.
6. თუ შრომის ინსპექტორი მოახდენს ამ კანონით გათვალისწინებული ატმოსფერული ჰაერის, მასალის, ნივთის ან ნივთიერების ნიმუშის აღებას, იგი ვალდებულია აღნიშნული აცნობოს დამსაქმებელს, სამუშაო ადგილის მესაკუთრეს, მფლობელს ან სავარაუდო მფლობელს და გადასცეს მას ამ ნიმუშის ნაწილი.

### **მუხლი 17. თანამშრომლობა სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან**

1. შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია, სხვადასხვა ფორმით ითანამშრომლოს საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან.
2. შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია, აუცილებლობით განპირობებულ გამონაკლის შემთხვევაში, ერთობლივი ინსპექტირება განახორციელოს სხვა შესაბამის საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალურ საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობით.
3. თუ შრომის ინსპექციის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას მიიჩნევს, რომ არსებობს ეჭვი მისი კომპეტენციის მიღმა ჩადენილი სამართალდარღვევის ან დანაშაულის შესახებ, იგი ვალდებულია ამგვარი ფაქტის გამოვლენიდან დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს უფლებამოსილ სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ ორგანოს.

## **VI. ინტერესთა შეუთავსებლობა და კონფიდენციალურობის დაცვა**

### **მუხლი 18. ინტერესთა შეუთავსებლობა**

1. შრომის ინსპექტორს არ შეიძლება ჰქონდეს ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტის მიმართ. შრომის ინსპექტორი ვალდებულია ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მის ; ხელმძღვანელს.





2. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა იწვევს შრომის ინსპექტორის გათავისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

### **მუხლი 19. კონფიდენციალურობის დაცვა**

1. შრომის ინსპექტორი ვალდებულია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შრომის ინსპექტორს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ეს ვალდებულება შრომის ინსპექტორს უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაშიც.

2. გარდა უშუალო ხელმძღვანელისთვის ინფორმაციის მიწოდებისა, შრომის ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი გაამჟღავნოს შრომის ინსპექციის სამსახურში შემოსული საჩივრის წყარო.

3. საჩივარი ან/და შრომის ინსპექტორის მიერ პირის გამოკითხვა სრულად არის დაცული კონფიდენციალობის გარანტიით და შრომის ინსპექტორი, მათ შორის შრომის ინსპექციის ყველა თანამშრომელი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს საჩივრის ავტორის ან/და გამოკითხული პირის ვინაობა. ინსპექტირების განხორციელებისას, შრომის ინსპექციის სამსახური არ მიუთითებს, რომ ინსპექტირება დაიწყო საჩივრის საფუძველზე.

4. საჩივრის ავტორის ან/და გამოკითხული პირის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ ამ პირის თანხმობის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. შრომის ინსპექტორი ვალდებულია დაიცვას ამ კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაციისას მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს დაინტერესებულ ხელისუფლების ორგანოს თუ არსებობს ამგვარი ინფორმაციის მიწოდების კანონიერი საფუძველი.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა იწვევს შრომის ინსპექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას ან სხვა სახის დისციპლინარულ პასუხისმგებლობას.

## **თავი VII. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის და გასაჩივრების წესი**

### **მუხლი 20. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სამართადარღვევისათვის**

1. შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება:

- ა) „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით;
- ბ) საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.



2. შრომის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული დარღვევისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და სხვა სპეციალური კანონით. საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება წინამდებარე თავით.

3. შრომითი ნორმების დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები:

ა) გაფრთხილება;

ბ) ჯარიმა;

გ) სამუშაო პროცესის შეჩერება.

4. შრომის ინსპექციის სამსახური სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ფარგლებში განსაზღვროს როდის და რომელი ადმინისტრაციული სახდელი უნდა იქნეს გამოყენებული ან/და რა ოდენობის ჯარიმა უნდა იქნეს დაკისრებული.

5. შრომის ინსპექციის სამსახური ამ მუხლის მესამე პუნქტის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისას გასცემს მითითებას აღმოჩენილი დარღვევის შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში გამოსწორების შესახებ.

6. აღმოჩენილი დარღვევის გამოსწორებისათვის დადგენილი გონივრული ვადა განისაზღვრება შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დამსაქმებელთან და დასაქმებულთა გაერთიანებასთან (ასეთი არსებობის შემთხვევაში) ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელთან (ასეთი არსებობის შემთხვევაში) კონსულტაციის საფუძველზე და აღინიშნება შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს შრომის ინსპექციის სამსახური და დამსაქმებელი. დამსაქმებლის უარი ოქმის ხელმოწერაზე, უარის თქმის მიზეზის მითითებით, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ აღინიშნება შესაბამის ოქმში. დამსაქმებლის უარი ვერ ჰპოვებს გავლენას ოქმის ნამდვილობაზე.

7. შრომის ინსპექციის სამსახური ამ მუხლის მესამე პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა.

8. დარღვევის გამოსასწორებლად გაცემული მითითებით დადგენილ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში შრომის ინსპექციის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების და გაცემული მითითების შესასრულებლად სამართალდამრღვევისათვის დამატებითი გონივრული მიცემის შესახებ.



9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შრომის ინსპექციის სამსახური გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა დაინტერესებულ მხარეს. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში მითითებული მხარისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის პირადად ჩაბარება ვერ ხერხდება, გამოიყენება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი.

10. დაკისრებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს შრომის ინსპექციის სამსახურს დააკისრებს საურავს აღნიშნული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

11. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება არ ათავისუფლებს დამსაქმებელს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისაგან.

12. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება დასაშვებია ბავშვთა შრომის ან/და იძულებითი შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევისათვის, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ სხვა შემთხვევების გარდა.

13. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

## **მუხლი 21. გასაჩივრების წესი**

1. ამ თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღება შრომის ინსპექტორის მიერ. შრომის ინსპექტორის აღნიშნული გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში.

2. ამ თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, მისი შევსების, წარდგენის და ჩაბარების წესი განისაზღვრება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

## **თავი VIII გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 22. გარდამავალი დებულებები**

1. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მინისტრი თანამდებობაზე მთავარ შრომის ინსპექტორს.



2. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 4 თვის ვადაში მთავარი შრომის ინსპექტორი მოიწვევს მრჩეველთა საბჭოს პირველ სხდომას. მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილია შეიმუშაოს და დაამტკიცოს მისი საქმიანობის წესი თუ მრჩეველთა საბჭოს სხდომას ესწრება წევრთა ორი მესამედი.

3. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცებას.

ბ) შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსის დამტკიცებას.

4. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განხორციელდეს რეორგანიზაცია და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შრომის ინსპექციის სამსახურს.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შრომის ინსპექციის სამსახური ჩაითვალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

6. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შრომის ინსპექციის სამსახურმა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებამდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე.

7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ გამოცეული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

8. ამ კანონის ამოქმედებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შექმნას შესაბამისი კომისია, რომელიც თავის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურისათვის გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების, აგრეთვე სამსახურებრივი დოკუმენტაციის მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა, სხვა დოკუმენტაციის) და შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქონების განსაზღვრას, განკარგვას და აღნიშნული შრომის ინსპექციის სამსახურისათვის გადაცემას. აღნიშნული კომისიის სხვა უფლებამოსილებებს განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მინისტრის ბრძანებით.





9. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ამ კანონთან შესაბამისობის მიზნით სათანადო კანონქვემდებარე აქტების მომზადება და მათი მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

### **მუხლი 23. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე  
„შრომის ინსპექციის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი, რომლითაც სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში „შრომის სამინისტრო“) არსებული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გარდაქმნას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და განსაზღვროს ახალშექმნილი იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო. შესაბამისად, წინამდებარე კანონპროექტის მომზადება განპირობებულია, ერთი მხრივ, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის ამ დანაწესით, ხოლო, მეორე მხრივ, იგი მიზნად ისახავს გაავრცელოს შრომის საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილება არა მხოლოდ შრომის უსაფრთხოების სფეროზე, არამედ შრომის უფლებების სრულ სპექტრზე.

შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. 2013 წლიდან დღემდე, შრომითი უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2013 წელს, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ (შემდგომში „საქართველოს შრომის კოდექსი“) განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სხვა საკითხებს შორის, გართულდა დასაქმებულთა თვითნებური გათავისუფლება, აიკრძალა დისკრიმინაცია დასაქმების პროცესში და სავალდებულო გახდა შრომითი ხელშეკრულების წერილობითი გაფორმება იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება. 2015 წელს, საქართველოს შრომის სამინისტროში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი დაარსდა; დეპარტამენტის მანდატი შრომის უსაფრთხოების საკითხებით შემოიფარგლებოდა და სამუშაო ადგილზე ინსპექტირებისთვის მას დამსაქმებლის წინასწარ თანხმობა სჭირდებოდა; ამასთან, ინსპექტირების შემდგომ, დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა არ გააჩნდა. 2019 წლის თებერვალში მიღებულმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა შრომის ინსპექციის უფლებამოსილება და მანდატი მნიშვნელოვნად გააფარა ინსპექტირების ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბება და ისახა მიზნად.



2015 წლიდან 2019 წლის 28 აგვისტომდე, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა 25-დან 40-მდე გაიზარდა; ამჟამად, დეპარტამენტი ახალ თანამშრომელთა აყვანას გეგმავს. ცვლილებათა მიუხედავად, კანონმდებლობა დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვას ვერ უზრუნველყოფს. მოქმედი კანონმდებლობით, საზედამხველო ორგანოს არ აქვს უფლებამოსილება, ზედამხედველობა შრომის უფლებების (მათ შორის, სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაო და მისი ანაზღაურება, დასვენებისა და შვებულების უფლება და სხვ.) დაცვაზე განახორციელოს.

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეგიდით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოქალაქეები შრომის უფლებების დარღვევას, სხვა უფლებებს შორის, ყველაზე ხშირად უჩივიან<sup>1</sup>. საგულისხმოა, რომ 2012 წელს ჩატარებული მსგავსი შინაარსის კვლევის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეთა ყველაზე დიდი ნაწილი შრომის უფლების დარღვევაზე საუბრობდა<sup>2</sup>. ამასთან, 2019 წელს, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა (CRRC) და ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით, სამუშაო ადგილზე ხდება არასათანადო ანაზღაურება (71%), შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა (64%), სამუშაო საათების ხანგრძლივობის ნორმების დარღვევა (57%), ანაზღაურების დაგვიანება (42%), ანაზღაურებადი შვებულების უფლების დარღვევა (30%), დეკრეტული შვებულების უფლების დარღვევა (15%)<sup>3</sup>. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის<sup>4</sup> ფარგლებში, 2019 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 15 აგვისტოს ჩათვლით განხორციელდა 109 შემოწმება, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ შრომის უსაფრთხოების პირობების დარღვევასთან ერთად, ხშირად სახეზეა შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტებიც, მათ შორის, სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება, გამოსაცდელი ვადის პირობების დარღვევა, სამუშაო საათების, ზეგანაკვეთური ანაზღაურების, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების გამოყენების წესის დარღვევა. 2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა, შრომის უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების საჭიროებასთან ერთად<sup>5</sup>,

<sup>1</sup> ACT (2017). ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში: საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა, გვ. 42-45. ხელმისაწვდომია მზულზე: [https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP\\_GE\\_DG\\_Human\\_Rights\\_Survey\\_2017\\_geo.pdf](https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP_GE_DG_Human_Rights_Survey_2017_geo.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>2</sup> იქვე, გ. 44.

<sup>3</sup> CRRC (2018). გამოკითხვა პოლიტიკური და სოციალური საკითხების შესახებ, გ. 30. ხელმისაწვდომია მზულზე: <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/04/CRRC-research.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>4</sup> იხ. საქართველოს მთავრობის N603 დადგენილება (31.12.2018) შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია მზულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4443902?publication=0> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>5</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის



ხაზი გაუსვა შრომის უფლებების შემდგომი რეგულირებისა და დამოუკიდებელი და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას<sup>6</sup>.

აღსანიშნავია, რომ შრომის ზედამხედველობის შესახებ რეგულაციები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებსა და საქართველოს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება, შრომის ეროვნული დებულებები ევროკავშირის კანონმდებლობას დაუახლოვოს<sup>7</sup>. ასოცირების შეთანხმების 229-ე მუხლის მიხედვით, საქართველო ვალდებულია, პატივი სცეს, ხელი შეუწყოს, საკუთარ კანონმდებლობაში ასახოს და პრაქტიკაში დანერგოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუნდამენტური, პრიორიტეტული და სხვა კონვენციებით აღიარებული შრომის ძირითადი სტანდარტები, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტთა კომიტეტის თანახმად კი შრომის ინსპექციის შესახებ კონვენცია (No. 81), რომელიც ითვალისწინებს ინსპექტირებას „სამუშაო დროსთან, ანაზღაურებასთან, უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობასთან და კეთილდღეობასთან, ბავშვთა და ახალგაზრდების დასაქმებასთან და სხვა შესაბამის საკითხებთან“<sup>8</sup> დაკავშირებით, პრიორიტეტული კონვენციების ნუსხას<sup>9</sup> მიეკუთვნება. ამასთან, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის მიხედვით, საქართველო იღებს ვალდებულებას, გააგრძელოს მუშაობა ქმედითი შრომის ინსპექციის შესაქმნელად და უზრუნველყოს მისი უფლებამოსილების გავრცელება შრომის ყველა პირობასა და შრომითი ურთიერთობის ყველა ასპექტზე<sup>10</sup>.

გვ. 186-193. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>6</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). ეროვნული საბაზისო კვლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/1jlujQ6bN40WriBJFukOx3wv326Stell/view> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>7</sup> იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, თავი 13: ვაჭრობა და მდგრადი განვითარება და თავი 14. დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>8</sup> იხ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია შრომის ინსპექციის შესახებ (No. 81; 1947). ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100\\_ILO\\_CODE:C081](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C081) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>9</sup> იხ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრიორიტეტული კონვენციების ჩამონათვალი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.ilo.org/global/standards/introduction-to-international-labour-standards/conventions-and-recommendations/lang-en/index.htm> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019]

<sup>10</sup> იხ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex\\_ii\\_-\\_eu-georgia\\_association\\_agenda\\_text.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].





ამასთან, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში შრომის უფლების დაცვის შესახებ 2018 წელს მომზადებულ დასკვნაში მითითებულია, რომ შრომის ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. კომიტეტის შეფასებით, საქართველოს შრომის ინსპექციის უწყება არ ზედამხედველობს დამსაქმებელთა მიერ ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაო დროის მარეგულირებელი ნორმების დაცვას, რაც საქართველოს მიერ რატიფიცირებული ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნათა დარღვევაა<sup>11</sup>. ამასთან, 2019 წლის მაისში, საქართველოსა და ევროკავშირს ყოველწლიური ადამიანის უფლებათა დიალოგის მე-12 რაუნდის ფარგლებში, ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს, უზრუნველყოს სრულყოფილი შრომის ინსპექციის შექმნა.

შრომის უფლებების დაცვის მდგომარეობა ასევე გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2018 წლის ანგარიშის ნაწილი; დასკვნის მიხედვით, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქმედით ზედამხედველობას მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და შრომის სხვა უფლებებთან მიმართებით<sup>12</sup>. ამასთან, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის ოფიციალური განცხადებით, 2019 წლის 1 სექტემბრის შემდეგ კი, საქართველოს შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაბამისობაში არ იქნება არსებულ გამოწვევებთან, თუ შრომითი ზედამხედველობა არ გავრცელდება შრომის უფლებების ყველა ასპექტზე<sup>13</sup>. საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2019 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით, საქართველომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, უნდა შექმნას „დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკოპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას; Human Rights Watch-ის რეკომენდაციითვე, შრომის ინსპექციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, „სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის და

<sup>11</sup> იხ. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის დასკვნა საქართველოს შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://hudoc.esc.coe.int/eng#%22tabview%22:%22document%22,%22ESCDcIdentifier%22:%222018/def/GE/2/1/EN%22> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>12</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (2018). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEORGIA-2018-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>13</sup> იხ. გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24474&LangID> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დაღლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები“<sup>14</sup>.

შესაბამისად, კანონპროექტის უმთავრესი მიზანია, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების ქმედითი დაცვა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნისა და მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების, შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის, შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილებების და ამ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განსაზღვრის გზით.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემების გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი, რომლითაც სახელმწიფომ აიღო ნორმატიული ვალდებულება, საქართველოს შრომის სამინისტროში არსებული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გარდაქმნას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და განსაზღვროს ახალშექმნილი იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო. წინამდებარე კანონპროექტის მიღების გარეშე, ვერ განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პრინციპები, უფლებამოსილების ფარგლები, საქმიანობის ფორმები და მისი დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტები. მეორე მხრივ, საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ, კანონპროექტის მიღების გარეშე, სახელმწიფო ვერ განახორციელებს ქმედით ზედამხედველობას დამსაქმებელთა მიერ შრომის უფლებებისა და შრომითი უსაფრთხოების დაცვაზე.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტის მიღების შემდეგ, შეიქმნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახური და განისაზღვრება მისი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო. კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სახელმწიფო

<sup>14</sup> Human Rights Watch (2019). No Year without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian M Risk. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.hrw.org/report/2019/08/22/no-year-without-deaths-deregulation-puts-georgian-miners-risk> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



დამსაქმებელთა მიერ შრომის უფლებებისა და შრომითი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე ქმედით ზედამხედველობას განახორციელებს.

### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ქვაკუთხედია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიდგომა შრომის ინსპექტირების სტრატეგიული შესაბამისობის შესახებ. განსხვავებით ტრადიციული აღსრულების მოდელისგან, რომელიც უპირატესად ფოკუსირებულია უფლების ხელყოფის ფაქტის შემდგომ კანონის აღსრულების კლასიკურ პრინციპზე, სტრატეგიული შესაბამისობის მოდელი გულისხმობს სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევას პროაქტიული მიდგომით და, მათ შორის, აღსრულების მექანიზმის გამოყენებით. ამის უზრუნველყოფა მოითხოვს ტრადიციული აღსრულების მოდელის მიღმა პროაქტიული, მიზანზე და საჭიროებაზე მორგებული სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას. სტრატეგიული შესაბამისობის მოდელი მოიცავს ანალიზის საფუძველზე შეჯერებული მიზნებისა და საჭიროების ფარგლებში კანონთან შესაბამისობისკენ სწრაფვას კონსულტირების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, სწავლების, ცნობიერების ამაღლების, საკითხისადმი სისტემური მიდგომის და, მათ შორის, აღსრულების მექანიზმის მეშვეობით. სტრატეგიული შესაბამისობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, დასაქმებულთა და დამსაქმებლის, მათი წარმომადგენლების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და ყველა დაინტერესებული სუბიექტის (რომელთაც შეუძლიათ კანონთან შესაბამისობასზე გავლენის მოხდენა) ჩართულობა. შესაბამისად, სტრატეგიული შესაბამისობის მოდელის თანახმად, შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კანონის იმპლემენტირებაში მონაწილეობს არამხოლოდ შრომის ინსპექცია, ასევე ყველა დაინტერესებული სუბიექტი.<sup>15</sup>

კანონპროექტი 8 თავისგან შედგება.

პირველი თავი („ზოგადი დებულებები“) განსაზღვრავს კანონპროექტის რეგულირების სფეროს, შრომის ინსპექციის სამსახურის სამართლებრივ სტატუსს და ადგენს გამოყენებულ ტერმინთა განმარტებებს. კანონპროექტის მიხედვით, შრომის ინსპექციის სამსახური არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. კანონპროექტის პირველი თავი განმარტავს, რომ დამსაქმებლად მიიჩნევა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“

<sup>15</sup> ვრცლად იხ. ILO (2017). ILO Approach to Strategic Compliance Planning for Labour Inspectorate: ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/publication/wcms\\_606471.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_606471.pdf) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].



განსაზღვრული ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან/და პირთა გაერთიანება, რომელისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო დაწესებულება. ამასთან, კანონპროექტის თანახმად, დასაქმებულად მიიჩნევა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე.

კანონპროექტის მე-2 თავი („ძირითადი დებულებები“) შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის პრინციპებს, მის მიზანს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ფუნქციებს ეხება. კანონპროექტის მიხედვით, შრომის ინსპექციის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კანონიერების, პროფესიონალიზმისა და კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპებით. კანონპროექტის თანახმად, შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანია შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად, ის კონსულტაციებს უწევს დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს, იღებს და განიხილავს საჩივრებს შრომის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევებზე, ატარებს ინსპექტირებას, ზრუნავს შრომის კანონმდებლობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე და შეიმუშავებს წინადადებებს შრომის კანონმდებლობის დახვეწისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების მიზნით. კანონპროექტის მეორე თავის მიხედვით, შრომის ინსპექციის საქმიანობა არ ვრცელდება შრომით საქმიანობაზე საგანგებო და საომარი მოქმედების დროს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურზე, საქართველოს დაზვერვის სამსახურზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე და მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებზე, თუ შრომის ინსპექციის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემებში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით.

კანონპროექტის მე-3 თავი შრომის ინსპექციის სამსახურის ქონების, დაფინანსების, მისი სტრუქტურის, მართვისა და წარმომადგენლობის საკითხებს ეხება. კანონპროექტის მიხედვით, შრომის ინსპექციის სამსახურის დაფინანსების წყაროებია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სგრანტები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოს ამავე თავის მიხედვით, შრომის ინსპექციის სამსახურს ხელმძღვანელობს





შრომის ინსპექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. შრომის მთავარი ინსპექტორი, სხვა უფლებამოსილებებს შორის, წარმოადგენს შრომის ინსპექციის სამსახურს, წარმართავს შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობას და ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ინდივიდუალურ აქტებს. მთავარ შრომის ინსპექტორს, თავის მხრივ, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 მოადგილე. კანონპროექტის მიხედვით, იქმნება მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებულ საკონსულტაციო ორგანოს. მრჩეველთა საბჭო უზრუნველყოფს შრომის ინსპექციის სამსახურისთვის რჩევების მიცემას სტრატეგიის, ფუნქციონირებისა და საქმიანობის შესახებ. ამავე თავით დადგენილია შრომის ინსპექციის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშის მარეგულირებელი ნორმები, რომელთა მიხედვით ანგარიში საქართველოს პარლამენტსა და მრჩეველთა საბჭოს წარედგინება.

კანონპროექტის მე-4 თავი შრომის ინსპექტორის სტატუსს, საქმიანობის ფარგლებსა და სამართლებრივ გარანტიებს ეხება. კანონპროექტის მიხედვით, შრომის ინსპექტორი არის საჯარო მოსამსახურე და მისი თანამდებობაზე დანიშვნა, სტატუსი, სოციალური გარანტიები და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრება. ამასთან, კანონპროექტის მიხედვით, შრომის ინსპექტორები უზრუნველყოფლი იქნებიან ჯანმრთელობის დაზღვევით. კანონპროექტი კრძალავს შრომის ინსპექტორის საქმიანობისთვის ხელის შეშლას.

კანონპროექტის მე-5 თავი ინსპექტირების და შრომის კანონმდებლობის გამოყენებისა და აღსრულების საკითხებს ეხება. კანონპროექტის მიხედვით, შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის ინსპექტირებას ახორციელებს დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შრომის ინსპექციის სამსახური ასევე უფლებამოსილია, ინსპექტირება განახორციელოს ნებისმიერი პირის შეტყობინების საფუძველზე „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით. შრომის ინსპექციის სამსახური, კანონპროექტის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში; საქმის გარემოებებისა და სირთულის გათვალისწინებით, შრომის მთავარი ინსპექტორი უფლებამოსილია, გააგრძელოს საჩივრის განხილვა 1 თვის ვადით. კანონპროექტის მიხედვით, ინსპექტორს უფლება აქვს, თავისუფლად და წინასწარი შეტყობინების გარეშე შევიდეს ინსპექციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო ადგილზე სამუშაო სივრცეში და მოიძიოს, გამოითხოვოს, გამოიკვლიოს და დაწინაურდეს ნებისმიერი მასალა, ინფორმაცია, დოკუმენტი ან ნივთი, თუ ეს აუცილ



მოკვლევის ან ინსპექციის ჩასატარებლად; ასევე განახორციელოს აზომვები, ჩანაწერები, ფოტო- და ვიდეოგადაღება და გამოკითხოს დამსაქმებელი, დასაქმებული ან სამუშაო სივრცეში მყოფი ნებისმიერი პირი. ამავე თავით გათვალისწინებულია შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლობის საფუძვლები სხვა სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან.

კანონპროექტის მე-6 თავი ინტერესთა შეუთავსებლობასა და კონფიდენციალურობის დაცვას შეეხება. ამ თავის მიხედვით, აკრძალულია შრომის ინსპექტორებს ჰქონდეთ ნებისმიერი ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი ინტერესი ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტის მიმართ - ასეთ შემთხვევაში, შრომის ინსპექტორი ვალდებულია, აცნობოს მის უშუალო ხელმძღვანელს. კანონპროექტის მიხედვით, შრომის ინსპექტორი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. კონფიდენციალურობის გარანტიით არის დაცული შრომის ინსპექციის სამსახურში შესული საჩივრის წყარო, გარდა დადგენილი გამონაკლისებისა.

კანონპროექტის მე-7 თავი შრომის კანონმდებლობის დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისგებლობისა და მისი გასაჩივრების საკითხებს არეგულირებს. კანონპროექტის მიხედვით, შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი სახდელები: გაფრთხილება, ჯარიმა, სამუშაო პროცესის შეჩერება. სახდელის გამოყენებისას, შრომის კანონმდებლობის ფარგლებში, შრომის ინსპექტორს გააჩნია დისკრეცია, განსაზღვროს, როდის და რომელი ადმინისტრაციული სახდელი უნდა იქნეს გამოყენებული ან/და რა ოდენობის ჯარიმა უნდა იქნეს დაკისრებული. ამასთან, სამუშაო პროცესის შეჩერება მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისას არის ნებადართული. კანონპროექტის მიხედვით, ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისას, შრომის ინსპექციის სამსახური, შესაბამისი კონსულტაციების გავლის შემდეგ, გასცემს მითითებას აღმოჩენილი დარღვევის გონივრულ ვადაში გამოსწორების შესახებ; ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების ოქმი მითითების შესრულების ან მითითების არშესრულების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება არ ათავისუფლებს დამსაქმებელს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისგან. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღება შრომის ინსპექტორის მიერ და იგი საჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კანონპროექტის მე-8 თავი გარდამავალ და დასკვნით დებულებებს შეიცავს. ამ დებულებების მიხედვით, კანონი გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება. ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კანონის გამოქვეყნებიდან ვადაში, თანამდებობაზე დანიშნავს მთავარ შრომის ინსპექტორს, ხოლო



შრომის ინსპექტორი, კანონის გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში, მოიწვევს მრჩეველთა საბჭოს პირველ სხდომას. ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კანონის გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში, უზრუნველყოფს შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებისა და შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსის დამტკიცებას, ხოლო 3 თვის ვადაში - შრომის ინსპექციის სამსახურს მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ქონებას გადასცემს.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

ასეთი არ არსებობს. ამასთან, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არ არის აუცილებელი და შესაბამისად, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

ასეთი არ არსებობს.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი). მასში აღინიშნება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო არის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილი იქნება, მიიღოს გრანტი და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები, რაც მას საშუალებას მისცემს გაამრავალფეროვნოს დაფინანსების წყაროები. საქარ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობ სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარ



ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებს ევროკავშირი და შრომის საქრთაშორის ორგანიზაცია.

დღევანდელი მდგომარეობით შრომის ინსპექციის სამსახური ჩამოყალიბებული არ არის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში. შესაბამისად, იგი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. იქიდან, გამომდინარე, რომ საქართველოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის გზით გამოეყოფა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის დაფინანსება მოხდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მომავალი წლებისთვის განსაზღვრული ფინანსური რესურსის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილი იქნება, შრომითი კანონმდებლობის დარღვევისათვის გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით, ხოლო ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამსაქმებელს დაეკისრება ჯარიმა ორმაგი ოდენობით. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ჯარიმის გადახდა დაეკისრება დამსაქმებელს და იგი მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლის გავლენა დამოკიდებულია სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომითი კანონმდებლობის ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილ დარღვევთა რაოდენობაზე და დამსაქმებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ჯარიმების ოდენობაზე. ამასთან, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილი იქნება სანქციის სახედ ყოველთვის არ გამოიყენოს ჯარიმა და მის ნაცვლად პირველ ეტაპზე გამოიყენოს გაფრთხილების მექანიზმი, თუმცა, ვინაიდან, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, ფართოვდება სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილებები, სავარაუდოა, რომ შემდეგ წლებში გაიზრდება შრომის კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა და დამსაქმებელთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხების ოდენობაც.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ნაწილზე:**





2020 წელს სსიპ საქართველოს შრომის ინსპექციის ცენტრალური აპარატი განთავსდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობაში და მას გადაეცემა უკვე არსებული ინვენტარი, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და აღჭურვილობა. გარდა ამისა, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა ქუთაისსა და ბათუმში უნდა გახსნას რეგიონალური წამომადგენლობა, რომლისთვისაც საჭირო იქნება საოფისე ტექნიკა, ინვენტარი, საიჯარო ქირა, ოფისის ფუნქციონირებასა და შენახვასთან დაკავშირებული თანხები. წელიწადში თითოეული რეგიონალური წამომადგენლობისთვის საშუალოდ საჭიროა - 300 000 ლარი. 2021 წლიდან, დაგეგმილია ინსპექტორთა რაოდენობის გაიზრდა 100-მდე, რაც გამოიწვევს ინსპექტორების აღჭურვილობისთვის (მათ შორის, მზომი ხელსაწყოები, სამხრე კამერები, პლანშეტები), სატრანსპორტო საშუალების მოვლა-შენახვისათვის, სატრანსპორტო საშუალების დაზღვევისა და საწვავისათვის საჭირო ხარჯებს საშუალოდ - 350 000 ლარის ოდენობით.

ამჟამად, საქართველოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში დასაქმებულია შტატით გათვალისწინებული 7 თანამშრომელი და 17 შრომის ინსპექტორი, როგორც ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს 2020 წლის ბოლომდე (სავარაუდოდ მესამე კვარტალში) დაემატება ხელშეკრულებით დასაქმებული 63 პირი, აქედან 60 დასაქმდება შრომის ინსპექტორის, ხოლო 3 - იურიდიულ საკითხებში კონსულტანტის პოზიციაზე. შესაბამისად, მიმდინარე წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 87 თანამშრომლისათვის (27 05 02 პროგრამული კოდით) სახელფასო ბიუჯეტისთვის გათვალისწინებულია - 1 300 000 ლარი. ვინაიდან, 2021 წლისთვის დაგეგმილია შრომითი ინსპექტორების რაოდენობის 100-მდე გაზრდა, მათთვის რანჟირების სისტემის შემოღება და კატეგორიებად დაყოფა (ინსპექტორი, უფროსი ინსპექტორი), წინა წელთან შედარებით 2021 წლის სახელფასო ბიუჯეტი დაახლოებით გაიზრდება - 2 340 000 ლარით. ხოლო, 2022 წლისთვის დაგეგმილია შრომითი ინსპექტორების რაოდენობის 150-მდე ზრდა, რაც თავის მხრივ, წინა წელთან შედარებით, 2022 წლის სახელფასო ბიუჯეტს დაახლოებით - 1 310 000 ლარით გაზრდის. 2023 წლისთვის წინა წელთან შედარებით არ იზრდება სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის სახელფასო ბიუჯეტი. რაც შეეხება სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის აპარატისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დაზღვევას და სოციალურ უზრუნველყოფას, უნდა აღინიშნოს, რომ 2022 - 2023 წლის ბიუჯეტში იგი წლიურად, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილში გამოიწვევს დაახლოებით - 76 000 ლარით ზრდას.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის საჭირო საინფორმაციო კამპანია სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება დაფინ



ევროკავშირის და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია დღემდე აქტიურად ეხმარება შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს თანამშრომელთა გადამზადებასა და საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფაში. 2017-2018 წლებში 40 შრომის ინსპექტორი აღიჭურვა სამხრე კამერებით, პლანშეტებით, პერსონალური კომპიუტერებით. სამინისტროს გადაეცა მზომი ხელსაწყოები და ა.შ. ამასთან, 2019 წლის ოქტომბრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირებისა და შემოწმების დეპარტამენტი მთავარ ბენეფიციარად ჩაერთო ევროკავშირის დამმობილების პროექტში.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**

კანონპროექტს პირდაპირი ფინანსური გავლენა არ ექნება დასაქმებულზე, ხოლო იგი გავლენას იქონიებს მხოლოდ იმ დამსაქმებელზე, რომელიც არ დაიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებს. ვინაიდან, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომითი კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ჯარიმის გადახდა დაეკისრება დამსაქმებელს.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, დამსაქმებელს წარმოეშობა ვალდებულება, შრომის უსაფრთხოების სისტემის გამართვის გარდა, სამუშაო ადგილზე უზრუნველყოს შრომითი კანონმდებლობით დადგენილი დასაქმებულთა უფლებების ეფექტური დაცვა, რაც შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ორგანიზაციაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, დასაქმებულთა გადამზადებასთან, დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდასთან, კომპანიაში სხვადასხვა სახის ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებასთან და ა.შ. დამსაქმებელთა მიერ დასაქმებულთა უფლებების ეფექტურ დაცვასთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯების და პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული იქნება კონკრეტულ ორგანიზაციის არსებულ და გასატერეხელ ღონისძიებათა მასშტაბურობას.



**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი ან მოსაკრებელი. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილი იქნება შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში, დამსაქმებელთა მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული ჯარიმა, შესაბამისი საფუძვლითა და წესით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**

ასეთი არ არსებობს.



დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა; სოციალურმა პარტნიორებმა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და მის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა; შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო კილაძე, დავით მათიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი, თამარ ხულორდავა.





**საქართველოს ორგანული კანონი**

**საქართველოს ორგანულ კანონში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს ორგანულ კანონში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 19/02/2019, სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.017910) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზედამხედველი ორგანო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შრომის ინსპექცია“.

2. მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კანონით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ზედამხედველი ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა -

გამოიწვევს:

ა) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით;

ბ) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;

გ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 100 000 ლარს არ აღემატება, დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;

დ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს, მაგრამ არ აღემატება 500 000 ლარს, დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით;

ე) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 500 000 აღემატება, დაჯარიმებას 7 000 ლარის ოდენობით;



ვ) ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის, მათ შორის იმ პირის, რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.“

3. 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის, მათ შორის იმ პირის, რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.“

4. 22-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის, მათ შორის იმ პირის, რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2 000 ლარისა, შესაბამისი საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული თითოეული პირობის შეუსრულებლობისათვის;“

5. 22-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის, მათ შორის იმ პირის, რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 3 000 ლარისა, შესაბამისი საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული თითოეული პირობის შეუსრულებლობისათვის.“

6. 22-ე მუხლის მეოთხე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის, მათ შორის იმ პირის, რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.“

7. 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის, მათ შორის იმ პირის, რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2 000 ლარისა, ამ კანონით გათვალისწინებული თითოეული მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის.“



მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



განმარტებითი ბარათი  
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე  
„საქართველოს ორგანულ კანონში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ცვლილების  
შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. 2013 წლიდან დღემდე, შრომითი უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2015 წელს, საქართველოს შრომის სამინისტროში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი დაარსდა. დეპარტამენტის მანდატი შრომის უსაფრთხოების საკითხებით შემოიფარგლებოდა და სამუშაო ადგილზე ინსპექტირებისთვის მას დამსაქმებლის წინასწარ თანხმობა სჭირდებოდა. ამასთან, ინსპექტირების შემდგომ, დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა არ გააჩნდა. 2019 წლის თებერვალში მიღებულმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა შრომის ინსპექციის უფლებამოსილება და მანდატი მნიშვნელოვნად გააფართოვა და ინსპექტირების ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბება დაისახა მიზნად.

აღსანიშნავია, რომ შრომის ზედამხედველობის შესახებ რეგულაციები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებსა და საქართველოს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება, შრომის ეროვნული დებულებები ევროკავშირის კანონმდებლობას დაუახლოვოს.<sup>1</sup> ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის მიხედვით, საქართველო იღებს ვალდებულებას, გააგრძელოს მუშაობა ქმედითი შრომის ინსპექციის შესაქმნელად და უზრუნველყოს მისი უფლებამოსილების გავრცელება შრომის ყველა პირობასა და შრომითი ურთიერთობის ყველა ასპექტზე.<sup>2</sup> 2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა,

<sup>1</sup> იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, თავი 13: ვაჭრობა და მდგრადი განვითარება და თავი 14. დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები“. ხელმისაწვდომი ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>2</sup> იხ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი. ხელმისაწვდომი [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex\\_ii\\_-\\_eu-georgia\\_association\\_agenda\\_text.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვ]





შრომის უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების საჭიროებასთან ერთად<sup>3</sup>, ხაზი გაუსვა შრომის უფლებების შემდგომი რეგულირებისა და დამოუკიდებელი და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას.<sup>4</sup>

საგულისხმოა ILO-ს ექსპერტთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშები,<sup>5</sup> სადაც წარმოდგენილია არაერთი კრიტიკული შენიშვნა და რეკომენდაცია „შრომის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე ხაზი უნდა გაესვას ევროპის სოციალური ქარტიის ზოგიერთი რატიფიცირებული ნორმის ეროვნული იმპლემენტაციის საკითხს. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში შრომის უფლების დაცვის შესახებ 2018 წელს მომზადებულ დასკვნაში მითითებულია, რომ შრომის ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. შრომის უფლებების დაცვის მდგომარეობა ასევე გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2018 წლის ანგარიშის ნაწილი. დასკვნის მიხედვით, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქმედით ზედამხედველობას მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და შრომის სხვა უფლებებთან მიმართებით.<sup>6</sup> ამასთან, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის ოფიციალური განცხადებით, 2019 წლის 1 სექტემბრის შემდეგ კი, საქართველოს შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაბამისობაში არ იქნება არსებულ გამოწვევებთან, თუ შრომითი ზედამხედველობა არ გავრცელდება შრომის უფლებების ყველა ასპექტზე.<sup>7</sup> საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2019 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით, საქართველომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, უნდა შექმნას „დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკოპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას; Human Rights Watch-ის რეკომენდაციითვე, შრომის ინსპექციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, „სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 186-193. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>4</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). ეროვნული საბაზისო კვლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/1jluJQ6bN40WriBJFukQx3wv326StellI/view> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>5</sup> [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_CONTEXT:102639,SC](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110_COUNTRY_ID,P11110_CONTEXT:102639,SC) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].

<sup>6</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (2018). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEORGIA-2018-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>7</sup> იხ. გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24474&LangID=E> [ბოლო ნახვა: 29 2019].



დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის და არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დადლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები“.<sup>8</sup>

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით მომზადდა ეროვნულ შრომის სამართლის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად გულისხმობს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანას და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას (შემდგომში „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტი“). სწორედ აღნიშნული „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ნაწილია წარმოდგენილი კანონპროექტი.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი, რომლითაც სახელმწიფომ აიღო ნორმატიული ვალდებულება, საქართველოს შრომის სამინისტროში არსებული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გარდაქმნას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და განსაზღვროს ახალშექმნილი იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო. წინამდებარე კანონპროექტის მიღების გარეშე, ვერ განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პრინციპები, უფლებამოსილების ფარგლები, საქმიანობის ფორმები და მისი დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტები. მეორე მხრივ, საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ, კანონპროექტის მიღების გარეშე, სახელმწიფო ვერ განახორციელებს ქმედით ზედამხედველობას დამსაქმებელთა მიერ შრომის უფლებებისა და შრომითი უსაფრთხოების დაცვაზე.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტის მიღების შემდეგ, შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახური და განისაზღვრება მისი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო. კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სახელმწიფო დამსაქმებელთა მიერ შრომის უფლებებისა და შრომითი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე ქმედით ზედამხედველობას განახორციელებს.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

<sup>8</sup> Human Rights Watch (2019). No Year without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian Miners at Risk ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.hrw.org/report/2019/08/22/no-year-without-deaths/decade-deregulation-georgian-miners-risk> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



„შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ფარგლებში წარმოდგენილია „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სტრუქტურის ფარგლებში ყალიბდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექცია. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება სათანადოდ უნდა იქნეს ასახული „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანულ კანონში. ამასთან, „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ თანახმად, შრომის ინსპექციის ზედამხედველობის ფარგლებში მათ შორის ექცევა შრომითი უფლებების აღსრულება. შესაბამისად, შრომის ინსპექციის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება შრომის კოდექსის აღსრულება. ამდენად, ზედამხედველი ორგანოს საქმიანობისთვის ხელის შეშლის შესახებ სანქციის მუხლი მოითხოვს დაზუსტებას, რომ შრომის ინსპექციის საქმიანობა მათ შორის მოიცავს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებას.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

ასეთი არ არსებობს. ამასთან, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არ არის აუცილებელი და შესაბამისად, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

ასეთი არ არსებობს.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხ დაფინანსების წყარო:**



ასეთი არ არსებობს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

ასეთი არ არსებობს.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

ასეთი არ არსებობს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**

ასეთი არ არსებობს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

ასეთი არ არსებობს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქარ წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**





კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**

ასეთი არ არსებობს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა; სოციალურმა პარტნიორებმა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და მის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა; შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.



დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო კილაძე, დავით მათიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი, თამარ ხულორდავა.



**საქართველოს კანონი**

**საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39(46), 1999 წელი, მუხ. 190) 21<sup>61</sup> მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შრომის ინსპექციის მიერ წარდგენილ სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს 48 საათის განმავლობაში, მხარეთათვის შეუტყობინებლად. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს აღნიშნული შუამდგომლობის ზეპირი განხილვაც, თუ ეს ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. შუამდგომლობის ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სასამართლო სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის  
შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. 2013 წლიდან დღემდე, შრომითი უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2015 წელს, საქართველოს შრომის სამინისტროში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი დაარსდა. დეპარტამენტის მანდატი შრომის უსაფრთხოების საკითხებით შემოიფარგლებოდა და სამუშაო ადგილზე ინსპექტირებისთვის მას დამსაქმებლის წინასწარ თანხმობა სჭირდებოდა. ამასთან, ინსპექტირების შემდგომ, დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა არ გააჩნდა. 2019 წლის თებერვალში მიღებულმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფლებამოსილება და მანდატი მნიშვნელოვნად გააფართოვა და ინსპექტირების ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბება დაისახა მიზნად.

აღსანიშნავია, რომ შრომის ზედამხედველობის შესახებ რეგულაციები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებსა და საქართველოს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება, შრომის ეროვნული დებულებები ევროკავშირის კანონმდებლობას დაუახლოვოს.<sup>1</sup> ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის მიხედვით, საქართველო იღებს ვალდებულებას, გააგრძელოს მუშაობა ქმედითი შრომის ინსპექციის შესაქმნელად და უზრუნველყოს მისი უფლებამოსილების გავრცელება შრომის ყველა პირობასა და შრომითი

<sup>1</sup> იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერო და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, თავი 13: ვაჭრობა და მდგრადი განვითარება და თავი 14. დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები“. ხელმისაწვდომი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].





ურთიერთობის ყველა ასპექტზე.<sup>2</sup> 2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა, შრომის უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების საჭიროებასთან ერთად<sup>3</sup>, ხაზი გაუსვა შრომის უფლებების შემდგომი რეგულირებისა და დამოუკიდებელი და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას.<sup>4</sup>

საგულისხმოა ILO-ს ექსპერტთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშები,<sup>5</sup> სადაც წარმოდგენილია არაერთი კრიტიკული შენიშვნა და რეკომენდაცია „შრომის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე ხაზი უნდა გაესვას ევროპის სოციალური ქარტიის ზოგიერთი რატიფიცირებული ნორმის ეროვნული იმპლემენტაციის საკითხს. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში შრომის უფლების დაცვის შესახებ 2018 წელს მომზადებულ დასკვნაში მითითებულია, რომ შრომის ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. შრომის უფლებების დაცვის მდგომარეობა ასევე გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2018 წლის ანგარიშის ნაწილი. დასკვნის მიხედვით, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქმედით ზედამხედველობას მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და შრომის სხვა უფლებებთან მიმართებით.<sup>6</sup> ამასთან, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის ოფიციალური განცხადებით, 2019 წლის 1 სექტემბრის შემდეგაც კი, საქართველოს შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაბამისობაში არ იქნება არსებულ გამოწვევებთან, თუ შრომითი ზედამხედველობა არ გავრცელდება შრომის უფლებების ყველა ასპექტზე.<sup>7</sup> საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2019 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით, საქართველომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, უნდა შექმნას „დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკოპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს სამუშაო

<sup>2</sup> იხ. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex\\_ii\\_-\\_eu-georgia\\_association\\_agenda\\_text.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 186-193. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>4</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). ეროვნული საბაზისო კვლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/1jluJQ6bN40WrIBJFukQx3wv326StellI/view> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>5</sup> [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_CONTEXT:102639,SC](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110_COUNTRY_ID,P11110_CONTEXT:102639,SC) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].

<sup>6</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (2018). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEORGIA-2018-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>7</sup> იხ. გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24474&LangID=E> [ბოლო ნახვა: 29 2019].



ადგილის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას; Human Rights Watch-ის რეკომენდაციითვე, შრომის ინსპექციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, „სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის და არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დადლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები“.<sup>8</sup>

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით მომზადდა ეროვნულ შრომის სამართლის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად გულისხმობს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანას და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას (შემდგომში „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტი“). სწორედ აღნიშნული „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ნაწილია წარმოდგენილი კანონპროექტი.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი, რომლითაც სახელმწიფომ აიღო ნორმატიული ვალდებულება, საქართველოს შრომის სამინისტროში არსებული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გარდაქმნას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და განსაზღვროს ახალშექმნილი იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო. წინამდებარე კანონპროექტის მიღების გარეშე, ვერ განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პრინციპები, უფლებამოსილების ფარგლები, საქმიანობის ფორმები და მისი დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტები. მეორე მხრივ, საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ, კანონპროექტის მიღების გარეშე, სახელმწიფო ვერ განახორციელებს ქმედით ზედამხედველობას დამსაქმებელთა მიერ შრომის უფლებებისა და შრომითი უსაფრთხოების დაცვაზე.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

„შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ფარგლებში კანონპროექტის მიღების შემდეგ, შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახური და განისაზღვრება მისი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო. კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სახელმწიფო დამსაქმებელთა მიერ შრომის უფლებებისა და

<sup>8</sup> Human Rights Watch (2019). No Year without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian Miners at Risk ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.hrw.org/report/2019/08/22/no-year-without-deaths/decade-deregulation-georgian-miners-risk> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



შრომითი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე ქმედით ზედამხედველობას განახორციელებს.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

„შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ფარგლებში წარმოდგენილია „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სტრუქტურის ფარგლებში ყალიბდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექცია. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება სათანადოდ უნდა იქნეს ასახული საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

ასეთი არ არსებობს. ამასთან, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არ არის აუცილებელი და შესაბამისად, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

ასეთი არ არსებობს.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ასეთი არ არსებობს.



ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ასეთი არ არსებობს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.





გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა; სოციალურმა პარტნიორებმა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და მის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა; შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონის იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგ,



იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო კილაძე, დავით მათიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი, თამარ ხულორდავა.



საქართველოს კანონი  
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, NN21-22, მუხ. 455) მე-9 მუხლის მე-72 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ მუხლის 7<sup>1</sup> პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეები ვალდებული არიან მარეგისტრირებელი ორგანოსათვის რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენამდე გააგზავნონ შეტობინება საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლით დადგენილი წესით. ამ წესის დაცვის გარეშე რეგისტრაციის შეწყვეტის შემთხვევაში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე  
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

შრომითი უფლებების და შრომის უსაფრთხოების დაცვა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. 2013 წლიდან დღემდე, შრომითი უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2015 წელს, საქართველოს შრომის სამინისტროში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი დაარსდა. დეპარტამენტის მანდატი შრომის უსაფრთხოების საკითხებით შემოიფარგლებოდა და სამუშაო ადგილზე ინსპექტირებისთვის მას დამსაქმებლის წინასწარ თანხმობა სჭირდებოდა. ამასთან, ინსპექტირების შემდგომ, დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა არ გააჩნდა. 2019 წლის თებერვალში მიღებულმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა შრომის ინსპექციის უფლებამოსილება და მანდატი მნიშვნელოვნად გააფართოვა და ინსპექტირების ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბება დაისახა მიზნად.

აღსანიშნავია, რომ შრომის ზედამხედველობის შესახებ რეგულაციები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებსა და საქართველოს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება, შრომის ეროვნული დებულებები ევროკავშირის კანონმდებლობას დაუახლოვოს.<sup>1</sup> ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის მიხედვით, საქართველო იღებს ვალდებულებას, გააგრძელოს მუშაობა ქმედითი შრომის ინსპექციის შესაქმნელად და უზრუნველყოს მისი უფლებამოსილების გავრცელება შრომის ყველა პირობასა და შრომითი

<sup>1</sup> იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერო და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, თავი 13: ვაჭრობა და მდგრადი განვითარება და თავი 14. დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები“. ხელმისა ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].





ურთიერთობის ყველა ასპექტზე.<sup>2</sup> 2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა, შრომის უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების საჭიროებასთან ერთად,<sup>3</sup> ხაზი გაუსვა შრომის უფლებების შემდგომი რეგულირებისა და დამოუკიდებელი და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას.<sup>4</sup>

საგულისხმოა ILO-ს ექსპერტთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშები,<sup>5</sup> სადაც წარმოდგენილია არაერთი კრიტიკული შენიშვნა და რეკომენდაცია „შრომის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე ხაზი უნდა გაესვას ევროპის სოციალური ქარტიის ზოგიერთი რატიფიცირებული ნორმის ეროვნული იმპლემენტაციის საკითხს. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში შრომის უფლების დაცვის შესახებ 2018 წელს მომზადებულ დასკვნაში მითითებულია, რომ შრომის ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. შრომის უფლებების დაცვის მდგომარეობა ასევე გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2018 წლის ანგარიშის ნაწილი. დასკვნის მიხედვით, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქმედით ზედამხედველობას მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და შრომის სხვა უფლებებთან მიმართებით.<sup>6</sup> ამასთან, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის ოფიციალური განცხადებით, 2019 წლის 1 სექტემბრის შემდეგაც კი, საქართველოს შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაბამისობაში არ იქნება არსებულ გამოწვევებთან, თუ შრომითი ზედამხედველობა არ გავრცელდება შრომის უფლებების ყველა ასპექტზე.<sup>7</sup> საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2019 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით, საქართველომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, უნდა შექმნას „დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკოპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს სამუშაო

<sup>2</sup> იხ. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex\\_ii\\_-\\_eu-georgia\\_association\\_agenda\\_text.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 186-193. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>4</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). ეროვნული საბაზისო კვლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/1jluJQ6bN40WrIBJFukQx3wv326StellI/view> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>5</sup> [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_CONTEXT:102639,SC](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110_COUNTRY_ID,P11110_CONTEXT:102639,SC) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].

<sup>6</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (2018). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEORGIA-2018-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>7</sup> იხ. გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24474&LangID=E> [ბოლო ნახვა: 29 2019].



ადგილის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას; Human Rights Watch-ის რეკომენდაციითვე, შრომის ინსპექციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, „სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის და არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დაღლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები“.<sup>8</sup>

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით მომზადდა ეროვნულ შრომის სამართლის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად გულისხმობს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანას და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას (შემდგომში „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტი“). სწორედ აღნიშნული „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტი“ ნაწილია წარმოდგენილი კანონპროექტი.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემების გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

ზემოთ განხილული პრობლემური საკითხები, გამოწვევები და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები საჭიროებს შესაბამის ნორმატიულ აქტში - კონკრეტულად კი „შრომის კოდექსში“ ცვლილებების განხორციელებას. „შრომის კოდექსში“ ცვლილებების განხორციელება, მათ შორის მოითხოვს ტექნიკური ხასიათის ცვლილებას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

„შრომის სამართლის რეფორმის პაკეტი“ ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას. „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ტექნიკური ნაწილია მათ შორის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

„შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ფარგლებში შრომის კოდექსში ცვლილება გულისხმობს შრომის კოდექსის ახალ ნუმერაციას. შესაბამისად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომის კოდექსის კონკრეტულ მუხლზე მითითებისას იცვლება აღნიშნული მუხლის ნუმერაციაც.

<sup>8</sup> Human Rights Watch (2019). No Year without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian Miners at Risk ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.hrw.org/report/2019/08/22/no-year-without-deaths/decade-deregulation-georgian-miners-risk> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ასეთი არ არსებობს. ამასთან, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არ არის აუცილებელი და შესაბამისად, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.



ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ასეთი არ არსებობს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:





კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა; სოციალურმა პარტნიორებმა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და მის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა; შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.



**ე) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს პარლამენტის წევრები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო კილაძე, დავით მათიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი, თამარ ხულორდავა.



საქართველოს ორგანული კანონი  
„პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** საქართველოს ორგანულ კანონის „პროფესიული კავშირების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 30/11/2018, სარეგისტრაციო კოდი: 040040010.04.001.016259, მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"9. პროფესიული კავშირი შეიძლება დაფუძნდეს სულ ცოტა 25 პირის ინიციატივით."

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე**  
**„პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში**  
**ცვლილების შეტანის შესახებ**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

შრომითი უფლებებისა და ცვა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებული აქვს ILO-ს რვავე ფუნდამენტური კონვენცია. მათ შორისაა გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიურ მოლაპარაკების მომწესრიგებელი კონვენციები (No. 87-ე და No. 98-ე კონვენციები). ასოციაციის თავისუფლებისა და გაერთიანების უფლების დაცვის შესახებ (No. 87) 1948 წლის კონვენციიდან გამომდინარე პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროფესიული კავშირის წევრთა მინიმალური რაოდენობის საკითხი.

2012 წელს „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც დადგენილი პროფესიული კავშირის წევრთა მინიმალური რაოდენობა შემცირდა 100 პირიდან 50 პირამდე. აღნიშნულის შემდგომ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტი მრავალი წლის განმავლობაში აღნიშნავს, რომ „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროფესიული კავშირის წევრთა მინიმალური რაოდენობის მოთხოვნამ (50 ინდივიდუალური პირი) მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში/ორგანიზაციებში შესაძლოა შეაფერხოს პროფესიული კავშირების შექმნის უფლება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ ეს რაოდენობა შემცირდეს და დადგინდეს გონივრული სახით.<sup>1</sup>

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ორგანულ კანონში „პროფესიული კავშირების შესახებ“ დადგენილია პროფესიული კავშირის რეგისტრაციისათვის განსაზღვრული მინიმალური რაოდენობა. შესაბამისად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად აუცილებელია

<sup>1</sup> [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_CONTEXT:102](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110_COUNTRY_ID,P11110_CONTEXT:102)  
[ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].





საქართველოს ორგანულ კანონში „პროფესიული კავშირების შესახებ“ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

**ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას. საქართველოს კანონმდებლობა მყარ შესაბამისობაში აღმოჩნდება ასოციაციის თავისუფლებისა და გაერთიანების უფლების დაცვის შესახებ (No. 87) 1948 წლის კონვენციასთან.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის დასკვნებისა და გაერთიანების თავისუფლების კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, კანონპროექტი გულისხმობს პროფესიული კავშირის წევრთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას 25 პირით.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

ასეთი არ არსებობს. ამასთან, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არ არის აუცილებელი და შესაბამისად, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

ასეთი არ არსებობს.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფი წყარო:**



ასეთი არ არსებობს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ასეთი არ არსებობს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქარ წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:



კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**

ასეთი არ არსებობს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა; სოციალურმა პარტნიორებმა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და მის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა; შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.



დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო კილაძე, დავით მათიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი, თამარ ხულორდავა.





საქართველოს კანონი  
საქართველოს საგადასახადო კოდექსში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N54, 12.10.2010, მუხ. 343) 39-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის "შ" ქვეპუნქტი:

„შ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე  
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“  
ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

შრომითი უფლებების და შრომის უსაფრთხოების დაცვა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. 2013 წლიდან დღემდე, შრომითი უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2015 წელს, საქართველოს შრომის სამინისტროში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი დაარსდა. დეპარტამენტის მანდატი შრომის უსაფრთხოების საკითხებით შემოიფარგლებოდა და სამუშაო ადგილზე ინსპექტირებისთვის მას დამსაქმებლის წინასწარ თანხმობა სჭირდებოდა. ამასთან, ინსპექტირების შემდგომ, დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა არ გააჩნდა. 2019 წლის თებერვალში მიღებულმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა შრომის ინსპექციის უფლებამოსილება და მანდატი მნიშვნელოვნად გააფართოვა და ინსპექტირების ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბება დაისახა მიზნად.

აღსანიშნავია, რომ შრომის ზედამხედველობის შესახებ რეგულაციები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებსა და საქართველოს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება, შრომის ეროვნული დებულებები ევროკავშირის კანონმდებლობას დაუახლოვოს.<sup>1</sup> ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის მიხედვით, საქართველო იღებს ვალდებულებას, გააგრძელოს მუშაობა ქმედითი შრომის ინსპექციის შესაქმნელად და უზრუნველყოს მისი უფლებამოსილების გავრცელება შრომის ყველა პირობასა და შრომითი

<sup>1</sup> იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერო და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, თავი 13: ვაჭრობა და მდგრადი განვითარება და თავი 14. დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები“. ხელმისა ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



ურთიერთობის ყველა ასპექტზე.<sup>2</sup> 2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა, შრომის უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების საჭიროებასთან ერთად,<sup>3</sup> ხაზი გაუსვა შრომის უფლებების შემდგომი რეგულირებისა და დამოუკიდებელი და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას.<sup>4</sup>

საგულისხმოა ILO-ს ექსპერტთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშები,<sup>5</sup> სადაც წარმოდგენილია არაერთი კრიტიკული შენიშვნა და რეკომენდაცია „შრომის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე ხაზი უნდა გაესვას ევროპის სოციალური ქარტიის ზოგიერთი რატიფიცირებული ნორმის ეროვნული იმპლემენტაციის საკითხს. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში შრომის უფლების დაცვის შესახებ 2018 წელს მომზადებულ დასკვნაში მითითებულია, რომ შრომის ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. შრომის უფლებების დაცვის მდგომარეობა ასევე გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2018 წლის ანგარიშის ნაწილი. დასკვნის მიხედვით, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქმედით ზედამხედველობას მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და შრომის სხვა უფლებებთან მიმართებით.<sup>6</sup> ამასთან, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის ოფიციალური განცხადებით, 2019 წლის 1 სექტემბრის შემდეგაც კი, საქართველოს შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაბამისობაში არ იქნება არსებულ გამოწვევებთან, თუ შრომითი ზედამხედველობა არ გავრცელდება შრომის უფლებების ყველა ასპექტზე.<sup>7</sup> საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2019 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით, საქართველომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, უნდა შექმნას „დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკოპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს სამუშაო

<sup>2</sup> იხ. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex\\_ii\\_-\\_eu-georgia\\_association\\_agenda\\_text.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 186-193. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>4</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). ეროვნული საბაზისო კვლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/1jluJQ6bN40WrIBJFukQx3wv326StellI/view> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>5</sup> [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_CONTEXT:102639,SC](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110_COUNTRY_ID,P11110_CONTEXT:102639,SC) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].

<sup>6</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (2018). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEORGIA-2018-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>7</sup> იხ. გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24474&LangID=E> [ბოლო ნახვა: 29 2019].



ადგილის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას; Human Rights Watch-ის რეკომენდაციითვე, შრომის ინსპექციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, „სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის და არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დადლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები“.<sup>8</sup>

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით მომზადდა ეროვნულ შრომის სამართლის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად გულისხმობს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანას და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას (შემდგომში „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტი“). სწორედ აღნიშნული „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ნაწილია წარმოდგენილი კანონპროექტი.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი, რომლითაც სახელმწიფომ აიღო ნორმატიული ვალდებულება, საქართველოს შრომის სამინისტროში არსებული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გარდაქმნას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და განსაზღვროს ახალშექმნილი იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო. წინამდებარე კანონპროექტის მიღების გარეშე, ვერ განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პრინციპები, უფლებამოსილების ფარგლები, საქმიანობის ფორმები და მისი დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტები. მეორე მხრივ, საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ, კანონპროექტის მიღების გარეშე, სახელმწიფო ვერ განახორციელებს ქმედით ზედამხედველობას დამსაქმებელთა მიერ შრომის უფლებებისა და შრომითი უსაფრთხოების დაცვაზე.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სახელმწიფო დამსაქმებელთა მიერ შრომის უფლებებისა და შრომითი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე ქმედით ზედამხედველობას განახორციელებს.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

<sup>8</sup> Human Rights Watch (2019). No Year without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian Miners at Risk ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.hrw.org/report/2019/08/22/no-year-without-deaths/decade-deregulation-georgian-miners-risk> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].





„შრომის სამართლის რეფორმის პაკეტი“ ფარგლებში წარმოდგენილია „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის თანახმადაც, იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექცია. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ასევე „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტით“ გათვალისწინებული საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ შესატანი ცვლილებების თანახმად, შრომის ინსპექციას ადმინისტრაციული სახდელის – ჯარიმის გამოყენებას ახდენს დამსაქმებლის შემოსავლებისა და დღ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხების შესაბამისად. შრომის ინსპექციის გამართული ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი საკითხია შრომის ინსპექტორის წვდომა ინსპექციას დაქვემდებარებული პირის საგადასახადო ინფორმაციაზე.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ასეთი არ არსებობს. ამასთან, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არ არის აუცილებელი და შესაბამისად, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ასეთი არ არსებობს.



ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ასეთი არ არსებობს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:



კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**

ასეთი არ არსებობს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა; სოციალურმა პარტნიორებმა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და მის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა; შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.



დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო კილაძე, დავით მათიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი, თამარ ხულორდავა.





საქართველოს კანონი  
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში  
ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს (პარლამენტის უწყებანი, N47-48, 31.12.1997, გვ. 21) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეშვიდე<sup>7</sup> კარი:**

„კარი მეშვიდე<sup>7</sup>

სასამართლოს მონაწილეობა კოლექტიური შრომითი დავისას მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაში

თავი XLIV<sup>14</sup>

კოლექტიური შრომითი დავისას მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულება

**მუხლი 363<sup>34</sup>.** კოლექტიური შრომითი დავისას მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხის განხილვა

1. ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხი.
2. კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხს განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში, განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო დამსაქმებლის ადგილსამყოფლის მიხედვით.
3. მხარემ, რომელიც სასამართლოს მიმართავს კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების მოთხოვნით, უნდა წარადგინოს მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების დედანი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.
4. კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვა, თუ ეს ხელს უწყობს საქმის გარემოებათა გამორკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

**მუხლი 363<sup>35</sup>.** უარი კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაზე



სასამართლო უარს იტყვის კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაზე თუ შეთანხმების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონდებლობას, საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს, ან თუ, მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია.

**მუხლი 363'36. განჩინება კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებასთან დაკავშირებით**

1. კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაზე სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით. მხარეს განჩინებასთან ერთად გადაეცემა სააღსრულებო ფურცელი.
2. კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.
3. კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.“

## **2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეშვიდე'8 კარი:**

„კარი მეშვიდე<sup>8</sup>

სასამართალწარმოება გაფიცვასთან ან ლოკაუტთან დაკავშირებულ საქმეებზე

**მუხლი 363'37. რეგულირების სფერო**

გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების საქმეზე ვრცელდება ამ კოდექსით დადგენილი წესები, ამ თავით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

**მუხლი 363'38. გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სარჩელი**

1. გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო დამსაქმებლის ადგილსამყოფლის მიხედვით.
2. გაფიცვის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელი შეიძლება აღძრას გაფიცვაში მონაწილე დასაქმებულებთან შრომით ურთიერთობაში მყოფმა დამსაქმებელმა.
3. ლოკაუტის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელი შეიძლება აღძრას იმ დასაქმებულმა, რომელსაც ეხება ლოკაუტი ან დასაქმებულთა გაერთიანებამ, რომელთა წევრებსაც ეხება ლოკაუტი.
4. გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სარჩელი შეიძლება გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყების თარიღიდან 7 დღის ვადაში. გაფიცვის ან ლ



გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელი შეიძლება აღიძრას გაფიცვის ან ლოკაუტის გადადების ან შეჩერების საფუძვლის წარმოშობიდან 3 დღის ვადაში.

მუხლი 363'39. გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღება

1. სასამართლო სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში იხილავს მისი წარმოებაში მიღების საკითხს.
2. სასამართლოს სარჩელი ამ კოდექსის მოთხოვნების დაცვით უნდა წარედგინოს.
3. გაფიცვის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელში მითითებული უნდა იყოს ყველა ის დასაქმებული, რომლებიც მონაწილეობენ გაფიცვაში.
4. სარჩელის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად წარდგენის შემთხვევაში სასამართლო ადგენს ხარვეზს და მოსარჩელეს მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები. განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს წარმოებაში იღებს, ხოლო თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და სარჩელსა და თანდართულ დოკუმენტებს მოსარჩელეს უბრუნებს.
5. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინება კერძო საჩივრით შეიძლება გასაჩივრდეს სააკველაციო სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსარჩელისათვის მისი გაცნობიდან 3 დღის ვადაში.
6. სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ ეგზავნება მოპასუხეს და მას შესაგებლის წარსადგენად 10 დღის ვადა ეძლევა.

მუხლი 363'40. გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელის განხილვა

1. გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სარჩელს სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში.
2. გაფიცვის ან ლოკაუტის გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელს სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს წარმოებაში მიღებიდან 7 დღის ვადაში.

მუხლი 363'41. გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება მხარემ შეიძლება გაასაჩივროს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში ამავე კოდექსით დადგენილი წესით.
2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ( გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 7 დღისა.



3. გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების შესახებ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.
4. სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - ა) გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა;
  - ბ) განსახილველად იღებს სააპელაციო საჩივარს.
6. სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში ზეპირი მოსმენით განიხილავს სააპელაციო საჩივარს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - ა) მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს;
  - ბ) უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.
7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დაიშვება საკასაციო წესით გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 7 დღისა.
8. საკასაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას და გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ან განსახილველად იღებს საკასაციო საჩივარს.
9. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს საკასაციო საჩივარს და მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს ან უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი





**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საგულისხმოა ILO-ს ექსპერტთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშები,<sup>5</sup> სადაც წარმოდგენილია არაერთი კრიტიკული შენიშვნა და რეკომენდაცია „შრომის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე ხაზი უნდა გაესვას ევროპის სოციალური ქარტიის ზოგიერთი რატიფიცირებული ნორმის ეროვნული იმპლემენტაციის საკითხს. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში შრომის უფლების დაცვის შესახებ 2018 წელს მომზადებულ დასკვნაში მითითებულია, რომ შრომის ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. შრომის უფლებების დაცვის მდგომარეობა ასევე გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2018 წლის ანგარიშის ნაწილი. დასკვნის მიხედვით, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქმედით ზედამხედველობას მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და შრომის სხვა უფლებებთან მიმართებით.<sup>6</sup> ამასთან, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის ოფიციალური განცხადებით, 2019 წლის 1 სექტემბრის შემდეგ კი, საქართველოს შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაბამისობაში არ იქნება არსებულ გამოწვევებთან, თუ შრომითი ზედამხედველობა არ გავრცელდება შრომის უფლებების ყველა ასპექტზე.<sup>7</sup> საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2019 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით, საქართველომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, უნდა შექმნას „დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკოპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას; Human Rights Watch-ის რეკომენდაციითვე, შრომის ინსპექციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, „სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 186-193. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>4</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). ეროვნული საბაზისო კვლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/1jlujQ6bN40WriBJFukQx3wv326Stell/view> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>5</sup> [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_CONTEXT:102639,SC](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110_COUNTRY_ID,P11110_CONTEXT:102639,SC) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].

<sup>6</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (2018). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEORGIA-2018-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>7</sup> იხ. გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24474&LangID=E> [ბოლო ნახვა: 29 2019].





დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის და არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დადლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები“.<sup>8</sup>

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით მომზადდა ეროვნულ შრომის სამართლის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად გულისხმობს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანას და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას (შემდგომში „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტი“). სწორედ აღნიშნული „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ნაწილია წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი.

**ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად რეგლამენტის პროექტის მიღების აუცილებლობა:**

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი, რომლითაც სახელმწიფომ აიღო ნორმატიული ვალდებულება, საქართველოს შრომის სამინისტროში არსებული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გარდაქმნას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და განსაზღვროს ახალშექმნილი იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო. წინამდებარე რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული ცვლილება ეხება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შრომის ინსპექციის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვან პრინციპს.

**ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

რეგლამენტის პროექტის მიღება ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას. რეგლამენტის პროექტის მიღების შემთხვევაში, სახელმწიფო დამსაქმებელთა მიერ შრომის უფლებებისა და შრომითი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე ქმედით ზედამხედველობას განახორციელებს.

**ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი**

„შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ფარგლებში წარმოდგენილია „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის თანახმადაც, იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექცია. შრომის ინსპექციას ზედამხედველობას განახორციელებს მთავარი შრომის ინსპექტორი. შრომის

<sup>8</sup> Human Rights Watch (2019). No Year without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian Miners at Risk ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.hrw.org/report/2019/08/22/no-year-without-deaths/decade-deregulation-georgian-miners-risk> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



ინსპექციის სტრუქტურის გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურზე განხორციელდეს საპარლამენტო კონტროლი.

ა.დ) რეგლამენტის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) რეგლამენტის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ასეთი არ არსებობს. ამასთან, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არ არის აუცილებელი და შესაბამისად, რეგლამენტის პროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

ა.ვ) რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.



ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება, რეგლამენტის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია რეგლამენტის პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ასეთი არ არსებობს.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:



რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, რეგლამენტის პროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა; სოციალურმა პარტნიორებმა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და მის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა; შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეგლამენტის პროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.





ე) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო კილაძე, დავით მათიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი, თამარ ხულორდავა.



საქართველოს კანონი  
„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ1“ ქვეპუნქტი:

„ჰ1 განმცხადებელი, რომელიც ითხოვს კოლექტიური შრომითი დავისას მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებას.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე  
„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

შრომითი უფლებებისა დაცვა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. 2013 წლიდან დღემდე, შრომითი უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში „ILO“) ზოგიერთ კონვენციასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ (შემდგომში „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) და კონკრეტულად მისი IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ცნობილია, როგორც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (შემდგომში „DCFTA“). აღნიშნული შეთანხმების 227-ე მუხლში (რომელიც განსაზღვრავს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ძირითად მიზნებსა და კონტექსტს) აღიარებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო მხარს უჭერს, მათ შორის, ILO-ს 1998 წლის დეკლარაციას შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ და 2008 წლის დეკლარაციას სოციალური თანასწორობა სამართლიანი გლობალიზაციის შესახებ. იმავე მუხლში ყურადღება გამახვილებულია ვაჭრობასთან დაკავშირებულ შრომითი საკითხების, როგორც ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების მიმართ გლობალური მიდგომის ნაწილის მნიშვნელობაზე. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ 229-ე მუხლის თანახმად, შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ ILO-ს 1998 წლის დეკლარაციით აღებული ვალდებულებების შესაბამისად და მის განსახორციელებლად საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს, ხელი შეუწყოს, რეალურად ასახოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში განახორციელონ ILO-ს (ფუნდამენტური) კონვენციები.<sup>1</sup>

<sup>1</sup> „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ 228.1-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს უფლებას განსაზღვროს ეროვნულ დონეზე შრომითი ურთიერთობების დაცვის დონე. აცხადებულია, რომ მიზნებისათვის სახელმწიფოს უნდა მიიღოს და/ან შეცვალოს ადგილობრივი კანონი თუ სხვა ნორმატიული აქტები.



„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ - *DCFTA*-ის 235-ე მუხლი აღიარებს ქვეყანაში შრომით სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო მოწესრიგების უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს. საუბარია ინვესტიციის წახალისების მიმართებაზე შრომით ურთიერთობის დაცვის დონესთან. კერძოდ, 235.1-ე მუხლში მითითებულია, რომ მხარეები აცნობიერებენ, რომ მიუღებელია ვაჭრობისა თუ ინვესტიციების წახალისება იმ დაცვის დონის შესუსტებით, რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომითი კანონმდებლობით. იმავე მუხლის მეორე პუნქტში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს თავის არიდება და უგულვებელყოფა ან შესთავაზოს თავის არიდება და უგულვებელყოფა მისი შრომის კანონმდებლობიდან ვაჭრობის წახალისების ან მათ ტერიტორიაზე ინვესტორის ინვესტიციების შემოყვანის, მოძიების, გაძლიერების ან შენარჩუნების მიზნით. განსაკუთრებით საყურადღებოა მესამე ნაწილი, რომელიც ეხება შრომის კანონმდებლობის ეფექტურ აღსრულებას - საქართველოს სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას მუდმივი ან პერიოდული ქმედებების ან უმოქმედობის ერთობლიობით ჩაიშალოს შრომითი კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება, ინვესტიციებისა და ვაჭრობის წახალისებისთვის. ეჭვგარეშეა, რომ ზემოაღნიშნული საბაზისო სამართლებრივი პოსტულატი განსაზღვრავს იმ მიმართულებებს, რომლებსაც მკაცრად უნდა დაეფუძნოს საქართველოში შრომით სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი პოლიტიკა.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI კარი, რომელიც ეხება საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის თანამშრომლობის სხვა სფეროებს, მოიცავს მე-14 თავს - დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები. 354-ე მუხლში კი მითითებულია, რომ „*საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXX დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად*“. XXX დანართი ეხება იმავე საკითხს (დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები) და განსაზღვრავს საქართველოს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო

რათა უზრუნველყოფილი იქნეს *ILO*-ს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და შეთანხმებებთან თანხვედრა. 228.2-ე პუნქტი დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სახელმწიფომ უნდა სცადოს იმის უზრუნველყოფა, რომ მისი კანონები და პოლიტიკა ითვალისწინებდეს და ხელს უწყობდეს შრომითი ურთიერთობების დაცვის მაღალი დონის მიღწევას და შეეცადოს გააგრძელოს ამ კანონებისა და პოლიტიკის და მათი ძირითადი დაცვის დონის გაუმჯობესება. 229-ე მუხლში დეკლარირებულია სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული შრომა, როგორც გლობალიზაციის მართვის ძირითადი ელემენტები. იმავე ნორმის ძალით საქართველოს საადასტურებს მის ვალდებულებას, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეულ არსებობას ყველასათვის.





სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სამ სფეროში: შრომის სამართალი; დისკრიმინაციის აკრძალვა და გენდერული თანასწორობა და ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე. XXX დანართში შრომის სამართალთან, დისკრიმინაციის აკრძალვასთან და გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსაზღვრულია დირექტივები (კონკრეტული ვადების მითითებით), რომელთანაც ჰარმონიზაციის ვალდებულება გააჩნია საქართველოს სახელმწიფოს.

2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა, შრომის უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების საჭიროებასთან ერთად,<sup>2</sup> ხაზი გაუსვა შრომის უფლებების შემდგომი რეგულირებისა და დამოუკიდებელი და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას.<sup>3</sup>

საგულისხმოა ILO-ს ექსპერტთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშები,<sup>4</sup> სადაც წარმოდგენილია არაერთი კრიტიკული შენიშვნა და რეკომენდაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შესახებ. ასევე ხაზი უნდა გაესვას ევროპის სოციალური ქარტიის ზოგიერთი რატიფიცირებული ნორმის ეროვნული იმპლემენტაციის საკითხს. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში შრომის უფლების დაცვის შესახებ 2018 წელს მომზადებულ დასკვნაში მითითებულია, რომ შრომის ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. შრომის უფლებების დაცვის მდგომარეობა ასევე გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2018 წლის ანგარიშის ნაწილი. დასკვნის მიხედვით, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქმედით ზედამხედველობას მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და შრომის სხვა უფლებებთან მიმართებით.<sup>5</sup> საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2019 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით, საქართველომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, უნდა შექმნას „დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკოპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა

<sup>2</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 186-193. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). ეროვნული საბაზისო კვლევა ზიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/1jluJQ6bN40Wr1BJFukQx3wv326Stell/view> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>4</sup> [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_CONTEXT:102639,SC](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110_COUNTRY_ID,P11110_CONTEXT:102639,SC) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].

<sup>5</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (2018). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEOR\\_HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf](https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEOR_HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



საკითხის შემოწმებას; Human Rights Watch-ის რეკომენდაციითვე, შრომის ინსპექციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, „სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის და არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დადლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები“.<sup>6</sup>

**ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით მომზადდა ეროვნულ შრომის სამართლის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად გულისხმობს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანას და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას (შემდგომში „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტი“). სწორედ აღნიშნულის „შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ნაწილია წარმოდგენილი კანონპროექტი.

**ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მოწესრიგდება კოლექტიური შრომითი დავის ფარგლებში მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხი.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

„შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ფარგლებში წარმოდგენილია ინიციატივა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, წესრიგდება მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების მექანიზმი. იგი გულისხმობს მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებას სასამართლოს მეშვეობით. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმის მოწესრიგება გულისხმობს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების განხორციელებას, რათა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდეს განმცხადებელი, რომელიც მოითხოვს კოლექტიურ შრომით დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებას.

<sup>6</sup> Human Rights Watch (2019). No Year without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian Miners at Risk ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.hrw.org/report/2019/08/22/no-year-without-deaths/decade-deregulation-georgian-miners-risk> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ასეთი არ არსებობს. ამასთან, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არ არის აუცილებელი და შესაბამისად, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება, კანონპროექტის გაკვირვებით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირ ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითი:



კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ასეთი არ არსებობს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველ მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას





წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა; სოციალურმა პარტნიორებმა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და მის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა; შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო კილაძე, დავით მათიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი, თამარ ხულორდავა.



**საქართველოს კანონი**

**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4346-ლს 010320000.05.001.017921) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. 55-ე მუხლ(ი)ს:**

ა) მე-2 პუნქტს, „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი:

„ბ<sup>1</sup>) ამ კანონის 64-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში მოხელეს უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ<sup>1</sup>“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული და მოხელის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის შემთხვევებისა.“

**2. მე-60 მუხლს მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:**

„4. მოხელეს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერია, უფლება აქვს, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დასვენების დღეების გარდა, თვეში ერთხელ ისარგებლოს დამატებითი ანაზღაურებადი დასვენების დღით ან საჯარო დაწესებულებასთან შეათანხმოს შინაგანაწესისაგან განსხვავებული სამუშაო დრო.“

**3. 61-ე მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> პუნქტი:**

„1<sup>1</sup>. აკრძალულია, მისი თანხმობის გარეშე, მოხელის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება, რომელიც არის ორსული ან ახალნამშობიარები, მეძუძური დედა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი, აგრეთვე მოხელის, რომელსაც ჰყავს 3 წლამდე ასაკის ბავშვი.“

**4. 64-ე მუხლს მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:**

„7. 65-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ო ახალნამშობიარები ან მეძუძური მოხელის სამუშაო პირობების შემსუბუქება:



მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა შეუძლებელია, სამედიცინო დასკვნაში მითითებული ვადის, აგრეთვე ორსულობის, ახალნაშობიარობის და მეძუძურობის ფაქტის გათვალისწინებით, მოხელე დროებით თავისუფლდება სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისაგან, თანამდებობრივი სარგოს და საკლასო დანამატის შენარჩუნების გარეშე, ამ კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. ეს არ ჩაეთვლება ამ კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და 108-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოხელის დროებითი თუ ხანგრძლივი შრომისუუნარობის ვადაში.“

**5. 77-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. მოხელეზე ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-9 მუხლი, 31-ე მუხლის მე-4-მე-5 პუნქტები, 49-ე მუხლი, 55-ე-57-ე მუხლები, 61-ე-69-ე მუხლები, 75-ე-78-ე მუხლები, მე-80 მუხლი.“

**6. მე-80 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ვრცელდება ამ კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 51-ე, 55-ე და 56-ე მუხლები, 57-ე მუხლის პირველი პუნქტი, 58-ე, მე-60-62-ე, 64-ე, 64<sup>1</sup>-ე, 66-ე-68-ე და 70-ე-76-ე მუხლები, 77-ე მუხლის მე-3 პუნქტი და X თავი. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ასევე ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-9 მუხლი, 31-ე მუხლის მე-4-მე-5 პუნქტი, 49-ე მუხლი, 55-ე-57-ე მუხლები, 61-ე-69-ე მუხლები, 75-ე-78-ე მუხლები, მე-80 მუხლი.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი



განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე  
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

შრომითი უფლებებისა და ცვა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. 2013 წლიდან დღემდე, შრომითი უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში „ILO“) ზოგიერთ კონვენციასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ (შემდგომში „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) და კონკრეტულად მისი IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ცნობილია, როგორც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (შემდგომში „DCFTA“). აღნიშნული შეთანხმების 227-ე მუხლში (რომელიც განსაზღვრავს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ძირითად მიზნებსა და კონტექსტს) აღიარებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო მხარს უჭერს, მათ შორის, ILO-ს 1998 წლის დეკლარაციას შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ და 2008 წლის დეკლარაციას სოციალური თანასწორობა სამართლიანი გლობალიზაციის შესახებ. იმავე მუხლში ყურადღება გამახვილებულია ვაჭრობასთან დაკავშირებულ შრომითი საკითხების, როგორც ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების მიმართ გლობალური მიდგომის ნაწილის მნიშვნელობაზე. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ 229-ე მუხლის თანახმად, შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ ILO-ს 1998 წლის დეკლარაციით აღებული ვალდებულებების შესაბამისად და მის განსახორციელებლად საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს, ხელი შეუწყოს, რეალურად ასახოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში განახორციელონ ILO-ს (ფუნდამენტური) კონვენციები.<sup>1</sup>

<sup>1</sup> „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ 228.1-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს უფლებას განსაზღვრონ ეროვნულ დონეზე შრომითი ურთიერთობების დაცვის დონე. აც მიზნებისათვის სახელმწიფოს უნდა მიიღოს და/ან შეცვალოს ადგილობრივი კანონი თუ რათა უზრუნველყოფილი იქნეს ILO-ს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტე შეთანხმებებთან თანხვედრა. 228.2-ე პუნქტი დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სახე





„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ - *DCFTA*-ის 235-ე მუხლი აღიარებს ქვეყანაში შრომით სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო მოწესრიგების უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს. საუბარია ინვესტიციის წახალისების მიმართებაზე შრომით ურთიერთობის დაცვის დონესთან. კერძოდ, 235.1-ე მუხლში მითითებულია, რომ მხარეები აცნობიერებენ, რომ მიუღებელია ვაჭრობისა თუ ინვესტიციების წახალისება იმ დაცვის დონის შესუსტებით, რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომითი კანონმდებლობით. იმავე მუხლის მეორე პუნქტში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს თავის არიდება და უგულვებელყოფა ან შესთავაზოს თავის არიდება და უგულვებელყოფა მისი შრომის კანონმდებლობიდან ვაჭრობის წახალისების ან მათ ტერიტორიაზე ინვესტორის ინვესტიციების შემოყვანის, მოძიების, გაძლიერების ან შენარჩუნების მიზნით. განსაკუთრებით საყურადღებოა მესამე ნაწილი, რომელიც ეხება შრომის კანონმდებლობის ეფექტურ აღსრულებას - საქართველოს სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას მუდმივი ან პერიოდული ქმედებების ან უმოქმედობის ერთობლიობით ჩაიშალოს შრომითი კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება, ინვესტიციებისა და ვაჭრობის წახალისებისთვის. ეჭვგარეშეა, რომ ზემოაღნიშნული საბაზისო სამართლებრივი პოსტულატი განსაზღვრავს იმ მიმართულებებს, რომლებსაც მკაცრად უნდა დაეფუძნოს საქართველოში შრომით სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი პოლიტიკა.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI კარი, რომელიც ეხება საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის თანამშრომლობის სხვა სფეროებს, მოიცავს მე-14 თავს - დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები. 354-ე მუხლში კი მითითებულია, რომ „*საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXX დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად*“. XXX დანართი ეხება იმავე საკითხს (დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები) და განსაზღვრავს საქართველოს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სამ სფეროში: შრომის სამართალი; დისკრიმინაციის აკრძალვა და გენდერული თანასწორობა და ჯანმრთელობა და

უნდა სცადოს იმის უზრუნველყოფა, რომ მისი კანონები და პოლიტიკა ითვალისწინებდეს და ხელს უწყობდეს შრომითი ურთიერთობების დაცვის მაღალი დონის მიღწევას და შეეცადოს გააგრძელოს ამ კანონებისა და პოლიტიკის და მათი ძირითადი დაცვის დონის გაუმჯობესება. 229-ე მუხლში დეკლარირებულია სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული შრომა, როგორც გლობალიზაციის მართვის ძირითადი ელემენტები. იმავე ნორმის ძალით საქართველოს სა ადასტურებს მის ვალდებულებას, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეულ არსებობას ყველასათვის.



უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე. XXX დანართში შრომის სამართალთან, დისკრიმინაციის აკრძალვასთან და გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსაზღვრულია დირექტივები (კონკრეტული ვადების მითითებით), რომელთანაც ჰარმონიზაციის ვალდებულება გააჩნია საქართველოს სახელმწიფოს.

2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა, შრომის უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების საჭიროებასთან ერთად,<sup>2</sup> ხაზი გაუსვა შრომის უფლებების შემდგომი რეგულირებისა და დამოუკიდებელი და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას.<sup>3</sup>

საგულისხმოა ILO-ს ექსპერტთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშები,<sup>4</sup> სადაც წარმოდგენილია არაერთი კრიტიკული შენიშვნა და რეკომენდაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შესახებ. ასევე ხაზი უნდა გაესვას ევროპის სოციალური ქარტიის ზოგიერთი რატიფიცირებული ნორმის ეროვნული იმპლემენტაციის საკითხს. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში შრომის უფლების დაცვის შესახებ 2018 წელს მომზადებულ დასკვნაში მითითებულია, რომ შრომის ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. შრომის უფლებების დაცვის მდგომარეობა ასევე გახდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2018 წლის ანგარიშის ნაწილი. დასკვნის მიხედვით, მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქმედით ზედამხედველობას მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათებისა და შრომის სხვა უფლებებთან მიმართებით.<sup>5</sup> საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის 2019 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით, საქართველომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, უნდა შექმნას „დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკოპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას; Human Rights Watch-ის რეკომენდაციითვე, შრომის ინსპექციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, „სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან

<sup>2</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 186-193. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (2018). ეროვნული საბაზისო კვლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/1jluJQ6bN40Wr1BJFukQx3wv326Stell/view> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].

<sup>4</sup> [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110\\_COUNTRY\\_ID,P11110\\_CONTEXT:102639,SC](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11110:0::NO:11110:P11110_COUNTRY_ID,P11110_CONTEXT:102639,SC) [ბოლო ნახვა: 2 სექტემბერი, 2019].

<sup>5</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (2018). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEOR\\_HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf](https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/03/GEOR_HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf) [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის და არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დადლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები“.<sup>6</sup>

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემების გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით მომზადდა ეროვნულ შრომის სამართლის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად გულისხმობს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანას და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას. მოხელისა და დასაქმებულთა მიმართ თანაბრი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ცვლილებები და დამატებები უნდა განხორციელდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში. მოხელეების წინაშე მდგარი პრობლემები გამოწვეულია რიგ შემთხვევებში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზიანი მოწესრიგებით, ხოლო რიგ შემთხვევებში - შესაბამისი საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობით. ამ პრობლემების მოგვარება და შესაბამისად, საჯარო სამსახურში დასაქმებულთა უფლების ჯეროვანი დაცვა შეუძლებელია წინამდებარე კანონის მიღების გარეშე.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტის მიღება იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს შრომის სამართლის ევროპულ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვების თვალსაზრისით. არსებული გამოწვევების, პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზებისა და პრობლემების გათვალისწინებით საქართველოს შრომის კანონმდებლობა უფრო დაუახლოვდება ევროპული კავშირის დირექტივით და ILO-ს კონვენციებით გათვალისწინებულ სტანდარტებს. გარდა ამისა, კანონპროექტის მიღებით, საქართველო შეასრულებს „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს. კანონპროექტი თავის მხრივ ხელს შეუწყობს, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას.

კანონპროექტის მიღება იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული კანონმდებლობის შემუშავებისათვის.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

<sup>6</sup> Human Rights Watch (2019). No Year without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian Miners at Risk ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.hrw.org/report/2019/08/22/no-year-without-deaths/decade-deregulation-georgian-miners-risk> [ბოლო ნახვა: 29 აგვისტო, 2019].



ეროვნული კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, კანონპროექტით მოწესრიგებდა აქამდე დაურეგულირებელი ან არასრულყოფილად რეგულირებული შრომითსამართლებრივი საკითხები. იგი ძირითადად გულისხმობს მოხელისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირისათვის იგივე შრომითი უფლებების გარანტირებას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების პროექტით.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

ასეთი არ არსებობს. ამასთან, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არ არის აუცილებელი და შესაბამისად, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

ასეთი არ არსებობს.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ასეთი არ არსებობს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

ასეთი არ არსებობს.





**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტი ითვალისწინებს მოხელესთვის ახალ შრომით და სოციალურ უფლებებს და შესაბამის ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან რასაც პირდაპირი გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**

კანონპროექტმა შესაძლოა წარმოშვას საჯარო დაწესებულებებისათვის დამატებითი ფინანსური ხარჯები, რამდენადაც შემოთავაზებული ცვლილებებით რამდენადაც შემოთავაზებული ცვლილებებით ახლებურად რეგულირდება საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის არაერთი კომპონენტი

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

ასეთი არ არსებობს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

კანონპროექტი შეესაბამება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.



გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა; სოციალურმა პარტნიორებმა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და მის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა; შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:



ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო კილაძე, დავით მათიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი, თამარ ხულორდავა.



ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>1998 წლის 20 ივლისის საბჭოს 98/59/EC დირექტივა სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში :</p> <p>№1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“</p> <p>№2. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ - სრულად შესაბამისი</p> <p>ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი</p> <p>შ - შეუსაბამო</p> <p>ას - არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1.1.	წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:	2	1.2 (49.1)	მასობრივ დათხოვნად ჩაითვლება დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა 30 კალენდარული დღის განმავლობაში ისეთი	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტში „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ გათვალისწინებულია მასობრივი დათხოვნის და გაზიარებულია დირექტივის მიერ შემოთავ





<p>a) „კოლექტიური დათხოვნა“ არის გათავისუფლება, რომელსაც დამსაქმებელი ახორციელებს ერთი ან რამოდენიმე საფუძვლით, რომელიც არ არის დაკავშირებული დასაქმებულ პირთან და რომლის დროსაც, წევრი სახელმწიფოების არჩევანის მიხედვით, გათავისუფლების რაოდენობა მოიცავს:</p> <p>(i) ან 30 დღის განმავლობაში - მინიმუმ 10 იმ საწარმოებში, სადაც, როგორც წესი, 20 დასაქმებულზე მეტი და 100 დასაქმებულზე ნაკლებია,</p> <p>- მინიმუმ 10% საწარმოში, სადაც, როგორც წესი, მინიმუმ 100 და არანაკლებ 300 დასაქმებულია,</p> <p>- მინიმუმ 30 საწარმოებში, სადაც, როგორც წესი, მინიმუმ 300 დასაქმებულია,</p>		<p>საფუძვლით, რომელიც არ არის განპირობებული დასაქმებულის პიროვნებით ან ქცევით ან შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვით:</p> <p>ა) არანაკლებ 10 დასაქმებულთან ორგანიზაციაში, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა 20-ზე მეტი და 100-ზე ნაკლებია;</p> <p>ბ) არანაკლებ დასაქმებულთა 10%-ისა ორგანიზაციაში, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა 100-ზე მეტია.</p>	<p>მასობრივ დათხოვნასთან დაკავშირებული ვარიანტების პირველი ვერსია.</p>
---	--	--	--



<p>(ii) ან 90 დღის ვადაში მინიმუმ 20 და იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი დასაქმებულია შესაბამის საწარმოში დასაქმებული;</p> <p>b) „დასაქმებულთა წარმომადგენელი“ არის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით ან პრაქტიკით განსაზღვრული დასაქმებულთა წარმომადგენელი.</p> <p>გათავისუფლების რაოდენობის დაანგარიშებისთვის პირველი აბზაცის „ა)“ პუნქტის შესაბამისად ეს გათავისუფლებები უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დასრულებას დამსაქმებლის ინიციატივით და ერთი ან რამოდენიმე საფუძვლის არსებობისას, რომლებიც არ არიან კავშირში დასაქმებულ</p>					
---	--	--	--	--	--



	პირთან, თუ გათავისუფლების რაოდენობა შეადგენს მინიმუმ 5.					
1.2.	ეს დირექტივა არ გამოიყენება:  ა) კოლექტიური დათხოვნისთვის შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში, რომლებიც იდება განსაზღვრული ვადით ან განსაზღვრული საქმიანობისთვის, გამონაკლისად ითვლება ის გათავისუფლებები, რომლებიც ხორციელდება ასეთი ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გასვლამდე ან შესრულებამდე;  ბ) საჯარო ადმინისტრაციული ორგანოების ან საჯარო დაწესებულებების (ან წევრ სახელმწიფოებში, სადაც ასეთი ცნება არ	1	1.1.	ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ არ ითვალისწინებს დირექტივით დადგენილ გამონაკლისებს და ის ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებით დირექტივისგან (რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისებს), კანონპროექტი უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს რამეთუ იგი ვრცელდება მასობრივ დათხოვნაზე, რომელიც სახეზეა განსაზღვრული ვადით დადებული შრომით ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.



	არსებობს, ტოლფასოვანი სამუშაო ადგილები) დასაქმებულები.					
2.1.	თუ დამსაქმებელი გეგმავს კოლექტიურ განთავისუფლებას, მაშინ მან დროულად უნდა გამართოს დასაქმებულთა წარმომადგენლებთან კონსულტაციები, რათა მიაღწიონ შეთანხმებას.	2	1.2 (49.2 )	როდესაც დამსაქმებელი გეგმავს მასობრივ დათხოვნას, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში დაიწყოს კონსულტაციები დასაქმებულთა გაერთიანებასთან (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებთან) იმ მიზნით, რომ მიღწეული იქნას შეთანხმება. კონსულტაციები მინიმუმ უნდა მოიცავდეს მასობრივი დათხოვნის თავიდან აცილების ან დასათხოვ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების გზებსა და საშუალებებს და დათხოვნილი დასაქმებულების კვლავ დასაქმების ან გადამზადების მხარდაჭერის შესაძლებლობას.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტში „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ სრულად არის გათვალისწინებული მასობრივი დათხოვნის შემთხვევაში კონსულტაციები დასაქმებულთა ჩართულობით, მასობრივ დათხოვნის პრევენციის ან/და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ეფექტების შემცირების თვალსაზრისით.
2.2.	ეს კონსულტაციები მინიმუმ ვრცელდება შესაძლებლობაზე, თავიდან იქნეს აცილებული მასობრივი დათხოვნა ან მისი	2	1.2 (49.2 )	როდესაც დამსაქმებელი გეგმავს მასობრივ დათხოვნას, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში დაიწყოს კონსულტაციები დასაქმებულთა გაერთიანებასთან (ასეთის	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტში „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ სრულად არის გათვალისწინებული მასობრივი დათხოვნის შემთხვევაში კონსულტაციები დასაქმებულთა ჩართულობით, დათხოვნის პრევენციის ან/და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ეფექტების შემცირების თვალსაზრისით.





	<p>რაოდენობრივი შეზღუდვა, ასევე შესაძლებლობაზე, შერბილდეს მისი შედეგები თანმდევი სოციალური ღონისძიებებით, რომელთა მიზანია დახმარება გათავისუფლებული დასაქმებულების დასაქმებასა და გადამზადებაში. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ დასაქმებულთა წარმომადგენლებს შეეძლოთ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის და/ან პრაქტიკის შესაბამისად მოიწვიონ ექსპერტები.</p>			<p>არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებთან) იმ მიზნით, რომ მიღწეული იქნას შეთანხმება. კონსულტაციები მინიმუმ უნდა მოიცავდეს მასობრივი დათხოვნის თავიდან აცილების ან დასათხოვ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების გზებსა და საშუალებებს და დათხოვნილი დასაქმებულების კვლავ დასაქმების ან გადამზადების მხარდაჭერის შესაძლებლობას.</p>		
2.3.	<p>იმისათვის, რომ დასაქმებულთა წარმომადგენლებს შეეძლოთ კონსტრუქციული წინადადებების წარდგენა, დამსაქმებელმა მათ კონსულტაციების პერიოდში დროულად</p>	2	1.2 (49.4 )	<p>დასაქმებულებს უნდა მიეცეს კონსტრუქციული წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა. დამსაქმებელი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს დასაქმებულთა გაერთიანებას (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებს)</p>	სშ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტში „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ასახულია ყველა ის ინფორმაცია, რომელიც უნდა მიეწოდოს დასაქმებულს დირექტივის შესაბამისად.</p>



<p>ა) მიაწოდოს ყველა შესაბამისი ინფორმაცია და</p> <p>ბ) ყველა შემთხვევაში აცნობოს წერილობით შემდეგი:</p> <p>i) დაგეგმილი გათავისუფლების მიზეზები;</p> <p>ii) გასათავისუფლებელი დასაქმებულების რაოდენობა და კატეგორია;</p> <p>iii) ჩვეულებრივ დასაქმელთა რაოდენობა და კატეგორია;</p> <p>iv) პერიოდი, რომლის დროსაც უნდა განხორციელდეს გათავისუფლება;</p> <p>v) გასათავისუფლებელი დასაქმებულების შერჩევის კრიტერიუმები, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და/ან პრაქტიკით დამსაქმებელს ამის კომპეტენცია ენიჭება.</p> <p>vi) გათვალისწინებული მეთოდები შესაძლო</p>	<p>2</p> <p>1.2 (49.5)</p> <p>)</p>	<p>დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის მიზეზები, დასათხოვ დასაქმებულთა რაოდენობა და კატეგორია, ორგანიზაციაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა და კატეგორიები, დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც განხორციელდება მასობრივი დათხოვნა და ასევე კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდება დასათხოვ დასაქმებულთა შერჩევა და კომპენსაციის გადახდა.</p> <p>დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთა გაერთიანებისადმი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებისადმი) ამ პუნქტში მითითებული ინფორმაციის შესახებ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებისასლი გაუგზავნოს მინისტრს.</p>	
--	-------------------------------------	---	--



	<p>კომპენსაციებისთვის, თუ ისინი არ არის განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და/ან პრაქტიკით.</p> <p>დამსაქმებელმა უნდა გაუზიაროს კომპეტენტურ უწყებას დოკუმენტების ასლები პირველი ქვეაბზაცის ბ) პუნქტის i)-v) ქვეპუნქტებში დასახელებული წერილობითი შეტყობინების შემადგენელი ნაწილები.</p>					
2.4.	<p>პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებში დასახელებული ვალდებულებები ძალაშია იმისდა მიუხედავად, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას მასობრივი დათხოვნის თაობაზე, დამსაქმებელი, თუ დამსაქმებლის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმო. შესაძლო დარღვევებთან</p>	1	2.1	<p>შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.</p>	სშ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ არ ითვალისწინებს რაიმე ტიპის დებულებას, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში გამორიცხავს დამსაქმებლის პასუხისმგებლობას და მის ვალდებულებებს მასობრივი დათხოვნის პროცესში.</p>
		1	3.2	<p>დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო.</p>		



<p>დაკავშირებით ამ დირექტივაში მოცემული ინფორმირების, კონსულტაციებისა და შეტყობინების ვალდებულების მიმართ დამსაქმებლის თავის მართლება, რომ მასობრივ დათხოვნაზე პასუხისმგებელმა საწარმომ მას არ წარუდგინა საჭირო ინფორმაცია, მხედველობაში არ მიიღება.</p>	1	3.3	<p>დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.</p>		
<p>3 (1)დამსაქმებელმა უნდა წარუდგინოს კომპეტენტურ უწყებას წერილობითი ინფორმაცია ყველა დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის შესახებ.</p> <p>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ დამსაქმებელმა დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის შემთხვევაში, რომელიც</p>	2	1.2 (49.3 )	<p>დამსაქმებელი ვალდებულია მასობრივ დათხოვნამდე სულ მცირე 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მინისტრს და იმ დასაქმებულებს, რომელთაც უწყდებათ შრომითი ხელშეკრულებები.</p> <p>დამსაქმებელი ვალდებულია მინისტრისათვის გაგზავნილი შეტყობინების ასლი გაუგზავნოს დასაქმებულთა გაერთიანებას (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებს).</p> <p>მასობრივი დათხოვნა ძალაში</p>	ნშ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტში „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ გათვალისწინებულია მასობრივი დათხოვნის თაობაზე კომპეტენტური უწყებისთვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება, ფორმა და წესი. საზღვაო გემის ეკიპაჟის მასობრივი დათხოვნის სპეციალურ წესთან დაკავშირებით, ამ ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს სპეციალურ წესს საზღვაო გემის ეკიპაჟისათვის.</p>



<p>ხორციელდება საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის შესახებ სასამართო გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპეტენტურ უწყებას მხოლოდ მათი მოთხოვნის შემთხვევაში უნდა აცნობონ წერილობით.</p> <p>თუ მოსალოდნელი მასობრივი დათხოვნა ეხება საზღვაო გემის ეკიპაჟის წევრებს, დამსაქმებელი ვალდებულია მასობრივი დათხოვნის შესახებ წერილობით შეატყობინოს იმ სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებას, რომლის დროშის ქვეშაც ის დაცურავს.</p> <p>შეტყობინება უნდა შეიცავდეს ყველა აუცილებელ მონაცემს დაგეგმილი მასობრივი დათხოვნისა და დასაქმებულთა</p>	2	1.2 (49.4 )	<p>შედის მინისტრისათვის შეტყობინების გაგზავნიდან 45 დღის შემდეგ.</p> <p>დასაქმებულებს უნდა მიეცეს კონსტრუქციული წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა. დამსაქმებელი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს დასაქმებულთა გაერთიანებას (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებს) დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის მიზეზები, დასათხოვ დასაქმებულთა რაოდენობა და კატეგორია, ორგანიზაციაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა და კატეგორიები, დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც განხორციელდება მასობრივი დათხოვნა და ასევე კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდება დასათხოვ დასაქმებულთა შერჩევა და კომპენსაციის გადახდა.</p>		
--	---	-------------	--	--	--





	<p>წარმომადგენლებთან კონსულტაციების შესახებ მე-2 მუხლის შესაბამისად, განსაკუთრებით გათავისუფლების მიზეზები, გასათავისუფლებელი დასაქმებულების რაოდენობა, ჩვეულებრივ დასაქმებულთა რაოდენობა და პერიოდი, რომლის დროსაც უნდა განხორციელდეს გათავისუფლება.</p> <p>(2)დამსაქმებელმა უნდა გაუგზავნოს დასაქმებულთა წარმომადგენლებს პირველ კუნქტში დასახელებული დოკუმენტების ასლები. დასაქმებულთა წარმომადგენლებს შეუძლიათ მიაწოდონ კომპეტენტურ უწყებას ნებისმიერი შენიშვნები.</p>					
4	(1)კომპეტენტური უწყებისთვის გადაგზავნილი	2	1.2 (49.3 )	დამსაქმებელი ვალდებულია მასობრივ დათხოვნამდე სულ მცირე 30 კალენდარული	სშ	საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველო



<p>დაგეგმილი მასობრივი დათხოვნა ძალაშია არაუადრეს 30 დღისა მე-3 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული განაცხადის შესვლიდან; ეს არ ეხება ხელშეკრულების შეწყვეტის ცალკეული უფლებების შემთხვევაში მოქმედებულებებს.</p> <p>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მისიონის კომპეტენტურ უწყებებს უფლება, შეამოკლონ პირველი პუნქტით გათვლისწინებული ვადა.</p> <p>(2) პირველ პუნქტში დასახელებული ვადა კომპეტენტური უწყების მიერ იმისათვის უნდა იქნას გამოყენებული, რომ გადაჭრას დაგეგმილი მასობრივი დათხოვნით გამოწვეული პრობლემები.</p>		<p>დღით ადრე წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მინისტრს და იმ დასაქმებულებს, რომელთაც უწყდებათ შრომითი ხელშეკრულებები.</p> <p>დამსაქმებელი ვალდებულია მინისტრისათვის გაგზავნილი შეტყობინების ასლი გაუგზავნოს დასაქმებულთა გაერთიანებას (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებს).</p> <p>მასობრივი დათხოვნა ძალაში შედის მინისტრისათვის შეტყობინების გაგზავნიდან 45 დღის შემდეგ.</p>	<p>კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილი ვადები შესაბამისობაშია დირექტივის სტანდარტთან.</p>
--	--	--	---



<p>(3) თუ პირველ პუნქტში დასახელებული თავდაპირველი ვადა 60 დღეზე ნაკლებია, მაშინ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მიანიჭონ კომპეტენტურ უწყებას უფლება, გააგრძელოს თავდაპირველი 60 დღიანი ვადა განაცხადის შემოსვლიდან, თუ არსებობს საფრთხე, რომ დაგეგმილი მასობრივი დათხოვნით გამოწვეული პრობლემები თავდაპირველ ვადაში ვერ გადაწყდება. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ კომპეტენტურ უწყებას მიანიჭონ ვადის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობები. დამსაქმებელს ვადის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია და მისის მიზეზები უნდა ეცნობოს პირველი პუნქტით გათვალისწინებული</p>					
---	--	--	--	--	--



<p>თავდაპირველი ვადის გასვლამდე.</p> <p>(4) წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უარი თქვან ამ მუხლის გამოყენებაზე საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის შედეგად კოლექტიური დათხოვნის შემთხვევაში, თუ ასეთი შეწყვეტა განპირობებულია სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.</p>				
<p>5 ეს დირექტივა არ ზღუდავს წევრი სახელმწიფოების უფლებას გამოიყენონ ან გამოსცენ დასაქმებულებისთვის უფრო ხელსაყრელი სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ნორმები ან ნება დართონ ან წახალისონ დასაქმებულებმა ისარგებლონ კოლექტიური ხელშეკრულების</p>				<p>ას დირექტივა აძლევს წევრ სახელმწიფოებს უფლებას დაადგინონ დირექტივით გათვალისწინებულზე მაღალი სტანდარტი.</p>



	უფრო ხელსაყრელი პირობებით.				
6	წვერი სახელმწიფოები ზრუნავენ, რომ დასაქმებულთა წარმომადგენლებს და/ან დასაქმებულებს გააჩნდეთ ადმინისტრაციული და/ან საკანონმდებლო პროცედურები ამ დირექტივის შესაბამისად თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.	2	1.2 (49.2 ) როდესაც დამსაქმებელი გეგმავს მასობრივ დათხოვნას, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში დაიწყოს კონსულტაციები დასაქმებულთა გაერთიანებასთან (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებთან) შესაძლო შეთანხმების მიღწევის განზრახვით. კონსულტაციები მინიმუმ უნდა მოიცავდეს მასობრივი დათხოვნის თავიდან აცილების ან დასათხოვ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების გზებსა და საშუალებებს და დათხოვნილი დასაქმებულების კვლავდასაქმების ან გადამზადების მხარდაჭერის შესაძლებლობას.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს მასობრივი დათხოვნის პროცესში დასაქმებულთა ჩართულობისა და დაცვის საშუალებებს.
		2	1.2 (49.3 ) დამსაქმებელი ვალდებულია მასობრივ დათხოვნამდე სულ მცირე 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინება		





		<p>2</p> <p>1.2 (49.4)</p>	<p>გაუგზავნოს მინისტრს და იმ დასაქმებულებს, რომელთაც უწყდებათ შრომითი ხელშეკრულებები. დამსაქმებელი ვალდებულია მინისტრისათვის გაგზავნილი შეტყობინების ასლი გაუგზავნოს დასაქმებულთა გაერთიანებას (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებს). მასობრივი დათხოვნა ძალაში შედის მინისტრისათვის შეტყობინების გაგზავნიდან 45 დღის შემდეგ.</p> <p>დასაქმებულებს უნდა მიეცეს კონსტრუქციული წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა. დამსაქმებელი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს დასაქმებულთა გაერთიანებას (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებს) დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის მიზეზები, დასათხოვ დასაქმებულთა რაოდენობა და კატეგორია,</p>	
--	--	--------------------------------	--	--



		2	1.2 (49.5 )	<p>ორგანიზაციაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა და კატეგორიები, დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც განხორციელდება მასობრივი დათხოვნა და ასევე კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდება დასათხოვ დასაქმებულთა შერჩევა და კომპენსაციის გადახდა.</p> <p>დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთა გაერთიანებისადმი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დასაქმებულთა წარმომადგენლებისადმი) ამ პუნქტში მითითებული ინფორმაციის შესახებ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებისასლი გაუგზავნოს მინისტრს.</p>	
7	წევრი სახელმწიფოები აცნობებენ საბჭოს იმ სამართლებრივი და ადმინისტრაციული ნორმების შინაარსს, რომლებიც გამოსცეს ამ დირექტივის გამოყენების სფეროში.			ას	აღნიშნული დებულება ეხება წევრი სახელმწიფოების მიერ საბჭოს ინფორმირების ვალდებულებას, რაც არარელევანტურია საქართველოსთან მიმართებაში.



8	<p>(1) პირველი დანართის A ნაწილში ჩამოთვლილი დირექტივები ძალადაკარგულია; მაგრამ ეს არ ვრცელდება წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაზე პირველი დანართის B ნაწილში მითითებულ იმპლემენტაციის ვადებთან დაკავშირებით.</p> <p>(2) მითითებები ძალადაკარგულ დირექტივებზე უნდა განიმარტოს როგორც მითითება ამ დირექტივაზე და უნდა განიხილებოდეს II დანართში მოცემულ შესაბამისობის ცხრილთან ურთიერთკავშირში.</p>			ას	დასკვნით დებულებებში ასახული ნორმები არასავალდებულოა საქართველოსთვის.
9	ეს დირექტივა ძალაშია მისი ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 20 დღის შემდეგ.			ას	დასკვნით დებულებებში ასახული ნორმები არასავალდებულოა საქართველოსთვის.
10	ეს დირექტივა მიმართულია წევრი სახელმწიფოებისადმი.			ას	დასკვნით დებულებებში ასახული ნორმები არასავალდებულოა საქართველოსთვის.



დანართი I A ნაწილი	შეცვლილი დირექტივები (მე-8 მუხლში მითითებული)  საბჭოს დირექტივა 75/129/EEC და მისი შემდგომი ცვლილება: საბჭოს დირექტივა: 92/56/EEC.				ას	I დანართში მითითებული ნორმა არასავალდებულოა საქართველოსთვის.						
დანართი I B ნაწილი	ეროვნულ სამართალში დირექტივის ტრანსპოზიციისთვის განსაზღვრული საბოლოო ვადა (მე-8 მუხლში მითითებული) <table border="1" data-bbox="275 824 583 1122"> <tr> <td data-bbox="275 824 430 902">დირექტივა</td> <td data-bbox="430 824 583 902">საბოლოო ვადა</td> </tr> <tr> <td data-bbox="275 902 430 1008">75/129/EEC (OJ L 48, 22.2.1975, გვ. 29)</td> <td data-bbox="430 902 583 1008">19 თებერვალი 1977</td> </tr> <tr> <td data-bbox="275 1008 430 1122">92/56/EEC (OJ L 245, 26.8.1992, გვ. 3)</td> <td data-bbox="430 1008 583 1122">24 ივნისი 1994</td> </tr> </table>	დირექტივა	საბოლოო ვადა	75/129/EEC (OJ L 48, 22.2.1975, გვ. 29)	19 თებერვალი 1977	92/56/EEC (OJ L 245, 26.8.1992, გვ. 3)	24 ივნისი 1994				ას	I დანართში მითითებული ნორმები არასავალდებულოა საქართველოსთვის.
დირექტივა	საბოლოო ვადა											
75/129/EEC (OJ L 48, 22.2.1975, გვ. 29)	19 თებერვალი 1977											
92/56/EEC (OJ L 245, 26.8.1992, გვ. 3)	24 ივნისი 1994											
დანართი II	კორელაციის ცხრილი <table border="1" data-bbox="275 1211 583 1425"> <tr> <td data-bbox="275 1211 430 1289">დირექტივა 75/129/EEC</td> <td data-bbox="430 1211 583 1289">ეს დირექტივა</td> </tr> <tr> <td data-bbox="275 1289 430 1425">მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფი, პუნქტი (ა), პირველი</td> <td data-bbox="430 1289 583 1425">მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფი, პუნქტი (ა), პირველი</td> </tr> </table>	დირექტივა 75/129/EEC	ეს დირექტივა	მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფი, პუნქტი (ა), პირველი	მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფი, პუნქტი (ა), პირველი				ას	II დანართში მითითებული ნორმა არასავალდებულოა საქართველოსთვის.		
დირექტივა 75/129/EEC	ეს დირექტივა											
მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფი, პუნქტი (ა), პირველი	მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფი, პუნქტი (ა), პირველი											



<p>ხაზი, ქვეპუნქტი 1</p> <p>მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფ ი, პუნქტი (a), პირველი ხაზი, ქვეპუნქტი 2</p> <p>მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფ ი, პუნქტი (a), პირველი ხაზი, ქვეპუნქტი 3</p> <p>მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფ ი, პუნქტი (a), მეორე ხაზი</p> <p>მუხლი 1(1), მეორე ქვეპარაგრაფ ი</p> <p>მუხლი 1(2) მუხლი 2 მუხლი 3 მუხლი 4 მუხლი 5 მუხლი 5a მუხლი 6(1) მუხლი 6(2) მუხლი 7 ----- ----- ----- -----</p>	<p>პირველი ხაზი</p> <p>მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფ ი, პუნქტი (a), მეორე ხაზი</p> <p>მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფ ი, პუნქტი (a), მესამე ხაზი</p> <p>მუხლი 1(1), პირველი ქვეპარაგრაფ ი, პუნქტი (b)</p> <p>მუხლი 1(1), მეორე ქვეპარაგრაფ ი</p> <p>მუხლი 1(2) მუხლი 2 მუხლი 3 მუხლი 4 მუხლი 5 მუხლი 6 ----- მუხლი 7 ----- მუხლი 8 მუხლი 9 მუხლი 10 დანართი I დანართი II</p>					
---	--	--	--	--	--	--





ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>1997 წლის 15 დეკემბრის საბჭოს <b>97/81/EC დირექტივა</b> ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირის (UNICE), დამსაქმებელთა და საწარმოთა ევროპული ცენტრისა (CEEP) და ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის (ETUC) მიერ გაფორმებული “ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ” ჩარჩო შეთანხმების თაობაზე - დანართი: ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ” ჩარჩო შეთანხმება</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში :</p> <p>№1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“</p> <p>№2. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>№3 საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“</p> <p>შესაბამისობა :</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი</p> <p>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი</p> <p>შ – შეუსაბამო</p> <p>ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	წინამდებარე დირექტივის მიზანია არასრულ				ას	მიემართება წევრ სახელმწიფოს.



<p>განაკვეთზე მუშაობის შესახებ 1997 წლის 6 ივნისს მრავალპროფილურ დარგთაშორის ორგანიზაციებს (UNICE, CEEP და ETUC) შორის გაფორმებული თანდართული ჩარჩო-ხელშეკრულების იმპლემენტაცია.</p>				
<p>2.1 წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც აუცილებელია დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არაუგვიანეს 2000 წლის 20 იანვრამდე, ან უზრუნველყონ სოციალური პარტნიორების მიერ შეთანხმების საფუძველზე აუცილებელი ზომების მიღება არაუგვიანეს ზემოაღნიშნული</p>				<p>ას მიემართება წევრ სახელმწიფოს.</p>



<p>თარიღისა; წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ყველა იმ აუცილებელი ზომის მიღება, რაც მისცემს მათ იმის საშუალებას, რომ დროის ნებისმიერ მონაკვეთში შეძლონ დირექტივით გათვალისწინებულ ი მიზნის მიღწევის უზრუნველყოფა. წევრმა სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ კომისიას.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს შეიძლება დამატებით მიეცეთ მაქსიმუმ ერთწლიანი ვადა განსაკუთრებული სირთულეების გასათვალისწინებლ ად ან კოლექტიური ხელშეკრულებების მეშვეობით</p>					
---	--	--	--	--	--



<p>იმპლემენტაციისთვის.</p> <p>ისინი ვალდებული არიან აღნიშნული გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ კომისიას.</p> <p>წევრი სახელმწიფოების მიერ პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ი ზომების იმპლემენტაციისას, ისინი უნდა შეიცავდეს მითითებას წინამდებარე დირექტივაზე, ან ასეთი მითითება უნდა გაკეთდეს ოფიციალური გამოქვეყნებისას. ასეთი მითითების გაკეთების მეთოდს თავად სახელმწიფოები განსაზღვრავენ.</p>					
---	--	--	--	--	--



2.1(ა)	დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიასთან მიმართებით, პირველ პარაგრაფში მითითებული თარიღი 2000 წლის 20 იანვარი შეიცვალოს 2000 წლის 7 აპრილით.				ას	მიემართება წევრ სახელმწიფოს.
2.2	წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან კომისიას გააცნონ იმ შიდა საკანონმდებლო აქტის ძირითადი პირობები, რომელიც მათ მიიღეს ან რომელსაც იღებენ იმ სფეროში, რომელიც რეგულირდება დირექტივით.				ას	მიემართება წევრ სახელმწიფოს.
3	წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის ევროპული თანამეგობრობის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.				ას	მიემართება წევრ სახელმწიფოს.





4	<p>წინამდებარე დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.</p> <p>ხელმოწერილია ბრიუსელში, 1997 წლის 15 დეკემბერს</p> <p>საბჭოს პრეზიდენტი</p> <p>ჟ.-კ. იუნკერი</p>				<p>ას მიემართება წევრ სახელმწიფოს.</p>
დანართი	<p>ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირის, ევროპის პროფესიული კავშირების კონფედერაციის და დამსაქმებელთა და საწარმოთა ევროპულ ცენტრის ჩარჩო შეთანხმება ნახევარ-განაკვეთზე სამუშაოს შესახებ</p>				



1	წინამდებარე ჩარჩო შეთანხმებამ უნდა ა) დაიცვას არასრულ სამუშაო განაკვეთზე მუშაობა დისკრიმინაციისაგ ან და	2	1.2 (4.1)	ამ კანონის მიზნებისთვის, დისკრიმინაცია ნიშნავს განზრახ ან გაუფრთხილებლობით, პირის განსხვავებას, გამორიცხვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის,	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ კრძალავს დისკრიმინაციულ მოპყრობას, მათ შორის, არასრულ სამუშაო განაკვეთზე მომუშავე დასაქმებულთა მიმართებითაც. აკრძალულ - „შრომითი ხელშეკრულების სტატუსი“.
---	---	---	-----------	---	----	--



<p>გააუმჯობესოს არასრულ სამუშაო განაკვეთზე მუშაობის ხარისხი; ბ) განავითაროს არასრულ სამუშაო განაკვეთზე მუშაობა და ხელი შეუწყოს სამუშაო დროის მოქნილ ორგანიზებას, რომელიც უპასუხებს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა მოთხოვნებს.</p>	<p>2</p>	<p>1.2 (16.1 )</p>	<p>ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დედობის, ასევე ორსულობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო, მათ შორის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ნებისმიერი ნიშნით ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.</p> <p>არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირი არის დასაქმებული, რომლის ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, გათვლილი კვირის ან საშუალოდ ერთ წლამდე ხანგრძლივობის</p>	<p>გარდა ამისა, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ გვთავაზობს არასრული სამუშაო გრაფიკით დასაქმების რეგულირებას.</p>
--	----------	--------------------	--	--



			<p>შრომითი ურთიერთობის პერიოდში, ნაკლებია ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირის ნორმირებულ სამუშაო დროზე.</p> <p>შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირი არის დასაქმებული, რომელიც იმავე ტიპის შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში იგივე დამსაქმებლისთვის ასრულებს იგივე ან მსგავს სამუშაოს ან საქმიანობას და დასაქმებულია იგივე მიმართულებით, იმავე დეპარტამენტში ან სამსახურში. იგივე მიმართულებით, იმავე დეპარტამენტში ან სამსახურში ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირის არარსებობის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია იმავე დამსაქმებელთან ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია საქმიანობის იმავე სფეროში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირი.</p> <p>აკრძალულია შრომით</p>	
		2 1.2		



		<p>(16.2 )</p> <p>3 1</p>	<p>პირობებთან დაკავშირებით არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებულ პირთან შედარებით, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირი დასაქმებულია არასრულ სამუშაო განაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც განსხვავებული მოპყრობა გამართლებულია ობიექტური საფუძვლით.</p> <p>ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული</p>	
--	--	---------------------------	--	--





				შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.		
2.1.	წინამდებარე შეთანხმება ძალაშია არასრულსამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთა მიმართ, რომლებსაც კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებები თ ან პრაქტიკით შესაბამის წევრ სახელმწიფოში გააჩნიათ შრომითი ხელშეკრულება ან არიან შრომით ურთიერთობაში.	1	1.1	ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ შრომით ურთიერთობებზე ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.
2.2.	სოციალური პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ ცალკეული სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, კოლექტიური ხელშეკრულებების	1	1.1	ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ დირექტივასთან შედარებით აღიარებს დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს და არ ითვალისწინებს გამონაკლისი რეგულაციების განსაზღვრას შესაძლებლობას, გარდა 1.2(16.5) მ; რომლის თანახმადაც ერთზე მეტი შეთმუშაობისთვის რისკის შემცველი პროც



<p>ან პრაქტიკის შესაბამისად წევრ სახელმწიფოებს და/ან სოციალური პარტნიორებს შეუძლიათ შესაბამის დონეზე შრომითი ურთიერთობის სფეროში არსებული ცალკეული პრაქტიკის შესაბამისად ობიექტური მიზეზებით გამორიცხონ მთლიანად ან ნაწილობრივ ის არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულები, რომლებიც მხოლოდ პერიოდულად მუშაობენ. ეს გამონაკლისი შემდგომში რეგულარულად უნდა გადამოწმდეს, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა კიდევ ის ობიექტური</p>			<p>შემთხვევაში აკრძალულია ერთზე მეტ სრულ ან/და არასრულ სამუშაო განაკვეთზე პირის დასაქმება თუ დასაქმებულის მიერ მეორე ან/და შემდეგი სრული ან/და არასრული სამუშაო განაკვეთის შესრულებით (შეთავსებით) ჯამურად ირღვევა V თავით დადგენილი სამუშაო დროის სტანდარტი. საქართველოს მთავრობა სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ განსაზღვრავს ერთზე მეტი შეთავსებით მუშაობისთვის რისკის შემცველი პროფესიების ჩამონათვალს. შენიშვნა: აღნიშნული ნორმის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი პროფესიის ფარგლებში მეორე ან/და შემდეგ სრულ ან/და არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის დამსაქმებელს.</p>
--	--	--	---



	მიზნები, რომლებსაც ის ეფუძნება.					
3.1.	„არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული“- დასაქმებული, რომლის ნორმალური სამუშაო დროის ხანგრძლივობა, გათვლილი კვირის ან საშუალოდ ერთ წლამდე დასაქმების პერიოდში, ნაკლებია ნორმალურ სრულ სამუშაო დღის ხანგრძლივობაზე	2	1.2 (16.1 )	არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირი არის დასაქმებული, რომლის ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, გათვლილი კვირის ან საშუალოდ ერთ წლამდე ხანგრძლივობის შრომითი ურთიერთობის პერიოდში, ნაკლებია ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირის ნორმირებულ სამუშაო დროზე. შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირი არის დასაქმებული, რომელიც იმავე ტიპის შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში იგივე დამსაქმებლისთვის ასრულებს იგივე ან მსგავს სამუშაოს ან საქმიანობას და დასაქმებულია იგივე მიმართულებით, იმავე დეპარტამენტში ან სამსახურში. იგივე მიმართულებით, იმავე დეპარტამენტში ან სამსახურში ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირის არარსებობის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია იმავე დამსაქმებელთან ანალოგიურ	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ასახულია როგორც „სრულ განაკვეთზე დასაქმებულის“, ასევე, „არასრულ განაკვეთზე დასაქმებულის“ დეფინიცია. რაც შეეხება „სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთან გათანაბრებულს“ საქართველოს კანონმდებლობა დასაქმებულთა დიფერენციაციას არ ახდენს სამუშაო დროის მიხედვით. შესაბამისად, არ არსებობს ამგვარი დეფინიციის ცალკე არსებობის საჭიროება.



				პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია საქმიანობის იმავე სფეროში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირი.		
3.2.	„სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთან გათანაბრებული“ - იმავე დაწესებულებაში სრულ სამუშაო განაკვეთზე მომუშავე დასაქმებული იმავე სახის შრომითი ხელშეკრულებით ან ურთიერთობით, რომელიც ასრულებს იმავე ან მსგავს სამუშაოს/საქმიანობას, რომლის დროსაც გათვალისწინებულ ია როგორც სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობა და კვალიფიკაცია/უნარები, ასევე სხვა მოსაზრებები. თუ იმავე დაწესებულებაში	2	1.2 (16.1 )	არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირი არის დასაქმებული, რომლის ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, გათვლილი კვირის ან საშუალოდ ერთ წლამდე ხანგრძლივობის შრომითი ურთიერთობის პერიოდში, ნაკლებია ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირის ნორმირებულ სამუშაო დროზე. შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირი არის დასაქმებული, რომელიც იმავე ტიპის შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში იგივე დამსაქმებლისთვის ასრულებს იგივე ან მსგავს სამუშაოს ან საქმიანობას და დასაქმებულია იგივე მიმართულებით, იმავე დეპარტამენტში ან სამსახურში. იგივე მიმართულებით, იმავე დეპარტამენტში ან სამსახურში ანალოგიურ პირობებში სრულ	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ასახულია როგორც „სრულ განაკვეთზე დასაქმებულის“, ასევე, „არასრულ განაკვეთზე დასაქმებულის“ დეფინიცია. რაც შეეხება „სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთან გათანაბრებულს“ საქართველოს კანონმდებლობა დასაქმებულთა დიფერენციაციას არ ახდენს სამუშაო დროის მიხედვით. შესაბამისად, არ არსებობს ამგვარი დეფინიციის ცალკე არსებობის საჭიროება.



	არ არსებობს „სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთან გათანაბრებული“, მაშინ შედარება მიიღწევა მოქმედი სატარიფო ხელშეკრულებები თ ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში საკანონმდებლო ან კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებებით ან ეროვნული პრაქტიკით.			განაკვეთზე დასაქმებული პირის არარსებობის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია იმავე დამსაქმებელთან ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია საქმიანობის იმავე სფეროში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირი.		
4.1.	არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულები მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არასრულ სამუშაო განაკვეთზე არიან დასაქმებულები, არ უნდა სარგებლობდნენ უფრო უარესი პირობებით, ვიდრე სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთან გათანაბრებულები, თუ ასეთი	2	1.2 (16.2 )	აკრძალულია შრომით პირობებთან დაკავშირებით არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებულ პირთან შედარებით, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირი დასაქმებულია არასრულ სამუშაო განაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც განსხვავებული მოპყრობა გამართლებულია ობიექტური საფუძვლებით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ კრძალავს დისკრიმინაციას, მათ შორის, არასრულ განაკვეთზე დასაქმებულებთან მიმართებაშიც.  ამასთანავე, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ სახელდებით მიუთითებს, რომ არასრულ განაკვეთზე დასაქმებული პირები არ უნდა სარგებლობდნენ გაუარესებული პირობებით სრულ განაკვეთზე დასაქმებულ პირებთან შედარებით.





	განსხვავება არ არის გამოწვეული ობიექტური მიზეზებით.				
4.2.	იქ, სადაც ეს შესაძლებელია, გამოიყენება <i>Pro-rata-temporis</i> პრინციპი.				შ დღევანდელი მდგომარეობით შრომის კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს სამუშაოზე დატვირთვის პროპორციულად შესაბამისი ბენეფიტების/სარგებლის დადგენის წესს. შესაბამისად, <i>pro-rata-temporis</i> პრინციპის შემოღება გამოიწვევდა არსებულ შრომის კოდექსთან მიმართებით დასაქმებულთა მდგომარეობის გაუარესებას.
4.3.	ამ მუხლის გამოყენების პროცედურები განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების და/ან სოციალური პარტნიორების მიერ ევროკავშირის სამართლებრივი ნორმებისა და ცალკეული სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო და კოლექტიური	2	1.2 (16.2 ) აკრძალულია შრომით პირობებთან დაკავშირებით არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში სრულ განაკვეთზე დასაქმებულ პირთან შედარებით, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირი დასაქმებულია არასრულ სამუშაო განაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც განსხვავებული მოპყრობა გამართლებულია ობიექტური საფუძვლებით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტში „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ გათვალისწინებულია ის მექანიზმი, რაზეც საუბარია დირექტივის მუხლში. აკრძალვა, შესაძლოა დადგენილ იქნეს კოლექტიური ხელშეკრულებითაც.
	და კოლექტიური		კოლექტიური ხელშეკრულება		



	ხელშეკრულებების დებულებებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.	2	1.2 (55.1 )	იდება ერთ ან მეტ დამსაქმებელს ან ერთ ან მეტ დამსაქმებელთა გაერთიანებას და ერთ ან მეტ დასაქმებულთა გაერთიანებას შორის.		
		2	1.2 (55.2 )	კოლექტიური ხელშეკრულება: ა) განსაზღვრავს შრომის პირობებს; ბ) აწესრიგებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობას; გ) აწესრიგებს ერთ ან მეტ დამსაქმებელს ან ერთ ან მეტ დამსაქმებელთა გაერთიანებას და ერთ ან მეტ დასაქმებულთა გაერთიანებას შორის ურთიერთობას.		
		2	1.2 (55.3 )	მხარეები თავად განსაზღვრავენ კოლექტიური ხელშეკრულების პირობებს.		
4.4.	იქ, სადაც ეს გამართლებულია ობიექტური მიზეზებით, წევრ სახელმწიფოებს სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციების შემდეგ და/ან სოციალურ პარტნიორებს	1	1.1	ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ შრომით ურთიერთობებზე ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.



<p>ცალკეული სახელმწიფოებრივი ნორმების, კოლექტიური ხელშეკრულებების ან პრაქტიკის შესაბამისად შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრულ (ზოგიერთ) საქმიანობის (შრომის) პირობებზე წვდომა დამოკიდებული გახადონ შრომით სტაჟზე, სამუშაო დროზე ან ხელფასზე. არასრული სამუშაო განაკვეთის კრიტერიუმები განსაზღვრულ საქმიანობის (შრომის) პირობების შესახებ უნდა შემოწმდეს რეგულარულად მე-4 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული დისკრიმინაციის აკრძალვის</p>					
---	--	--	--	--	--



	პრინციპის გათვალისწინებით.					
5.1.	წინამდებარე შეთანხმების პირველი მუხლის ფარგლებში და არასრულ სამუშაო განაკვეთზე და სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის შესაბამისად: ა) წევრმა სახელმწიფოებმა სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ ცალკეული სახელმწიფოებრივი ნორმების ან პრაქტიკის შესაბამისად უნდა უზრუნველყონ იმ სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ-ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებების იდენტიფიცირება და შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში აღმოფხვრა,	2	1.2 (82.1)	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია (შემდგომ – სამმხრივი კომისია) არის საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო. სამხრივი კომისია ანგარიშვალდებულია სამმხრივი კომისიის თავმჯდომარის – საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს სოციალური დიალოგის ფორმატს, სამმხრივი კომისიის სახით, რომლის მანდატი, ასევე, მოიცავს სამუშაო დროსთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და მასზე გადაწყვეტილების მიღებას.
		2	1.2 (82.2)	სამმხრივი კომისია საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.		
		2	1.2 (82.3)	სამმხრივი კომისიის მხარეები არიან საქართველოს მთავრობა, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სექტორში მოქმედი		



<p>რომლებსაც შეუძლიათ შეზღუდონ არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმება.</p> <p>ბ) სოციალურმა პარტნიორებმა მათი კომპეტენციის ფარგლებში კოლექტიური ხელშეკრულებები თ</p> <p>გათვალისწინებულ ი პროცედურების შესაბამისად უნდა უზრუნველყონ იმ სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ-ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებების იდენტიფიცირება და შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში აღმოფხვრა,</p> <p>რომლებსაც შეუძლიათ შეზღუდონ არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმება.</p>	<p>2</p> <p>2</p> <p>2</p>	<p>1.2 (82.4)</p> <p>1.2 (82.5)</p> <p>1.2 (82.6)</p>	<p>დამსაქმებელთა გაერთიანებები და დასაქმებულთა გაერთიანებები.</p> <p>თითოეულ მხარეს სამმხრივ კომისიაში ჰყავს 6 წევრი, რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვა ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამმხრივი კომისიის თავმჯდომარე.</p> <p>თითოეული დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც სამმხრივი კომისიის მხარეა, თავად იღებს გადაწყვეტილებას სამმხრივი კომისიის წევრებად წარსადგენად საკუთარ წარმომადგენელთა შერჩევის თაობაზე.</p> <p>სამმხრივი კომისიის წევრებად წარდგენილი უნდა იქნენ მხარეთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, რომლებიც, თავის მხრივ, სამმხრივი კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენენ</p>	
---	----------------------------	---	---	--





				კომისიის დანარჩენ 5-5 წევრს.		
		2	1.2 (82.7)	<p>სამმხრივ კომისიაში საქართველოს მთავრობას სამმხრივი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად წარმოადგენენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირები შემდეგი სახელმწიფო დაწესებულებებიდან:</p> <p>ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;</p> <p>ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;</p> <p>გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;</p> <p>დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;</p> <p>ე) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.</p>		
		2	1.2 (83.1)	<p>სოციალური პარტნიორობა არის შრომითი ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებით სოციალურ პარტნიორებს – დამსაქმებლის (დამსაქმებელთა გაერთიანების), დასაქმებულის (დასაქმებულთა გაერთიანების) და სახელმწიფო დაწესებულების</p>		



				<p>წარმომადგენლებს – შორის დიალოგისა და თანამშრომლობის სისტემა.</p>		
		2	1.2 (83. 2)	<p>სამმხრივი კომისიის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:</p> <p>ა) მხარეთა თანასწორობა და დამოუკიდებლობა;</p> <p>ბ) სოციალური პარტნიორის ინტერესების პატივისცემა;</p> <p>გ) ნდობა და კეთილსინდისიერება</p> <p>დ) კოორდინაცია და პასუხისმგებლობა;</p> <p>დ) ინფორმირებულობა;</p> <p>ე) ვალდებულებათა შესრულება;</p> <p>ვ) ტრიპარტიზმი;</p> <p>ზ) კონსენსუსი.</p>		
		2	1.2 (83. 3)	<p>სოციალური პარტნიორობის განვითარება შესაძლებელია ეროვნულ, სექტორულ, ტერიტორიულ, საწარმოო და სხვა ორგანიზაციულ დონეებზე.</p>		
		2	1.2 (84)	<p>სამმხრივი კომისიის ფუნქციებია:</p> <p>ა) ქვეყანაში სოციალური პარტნიორობის განვითარების, აგრეთვე დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა ყველა დონეზე, წევრებს შორის</p>		



		2	<p>შეთანხმებისა და კონსენსუსის წახალისება;</p> <p>ბ) მთავრობასთან კონსულტაციების გამართვა შრომის, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საერთო ინტერესის მქონე საკითხების, მათ შორის, იმ რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, მინიმალურ ხელფასს და ნებისმიერ სხვა საკითხს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ინტერესებზე;</p> <p>გ) შრომით და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ, სამმხრივი კომისიის წევრთათვის მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ სხვა საკითხზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა .</p> <p>თავისი ფუნქციების შესასრულებლად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამმხრივი კომისია უფლებამოსილია:</p> <p>ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს მხარეთა მიერ</p>	
--	--	---	---	--



			<p>დასმული საკითხები;</p> <p>ბ) კომისიის სხდომაზე მოისმინოს მხარეთა ინფორმაციები მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;</p> <p>გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან, აგრეთვე სხვა დაწესებულებებისაგან მის მიერ საკითხების განსახილველად საჭირო მასალები;</p> <p>დ) საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად მოიწვიოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები და ექსპერტები. მათი მოწვევის დროს უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი;</p> <p>ე) შეიმუშაოს და დაინტერესებულ პირებს წარუდგინოს წინადადებები მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე.</p>	
--	--	--	---	--



		2	1.2 (85.2)	<p>სამმხრივი კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადაა 3 წელი. სამმხრივი კომისიის ახალი შემადგენლობა განისაზღვრება წინა შემადგენლობის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.</p>		
		2	1.2 (85.3)	<p>სამმხრივი კომისიის დებულებას, რომლითაც განისაზღვრება სამმხრივი კომისიის შემადგენლობა, სტრუქტურა, საქმიანობისა და შემადგენლობის დამტკიცების წესები, დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.</p>		
		2	1.2 (85.4)	<p>კონკრეტული საკითხების განხილვის მიზნით, სამმხრივი კომისია უფლებამოსილია შექმნას მუდმივი ან დროებითი ქვეკომიტეტები და სამუშაო ჯგუფები. სამმხრივი კომისიის ფარგლებში მუდმივად უნდა მოქმედებდეს ქვეკომიტეტი, რომლის ფუნქციაა სამმხრივი კონსულტაციის გამართვა „შრომის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სამმხრივი კონსულტაციების შესახებ“ 1976 წლის №144 კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო შრომით</p>		





				სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.		
5.2.	დასაქმებულის უარი სრული სამუშაო განაკვეთიდან არასრულ სამუშაო განაკვეთზე გადაყვანის შესახებ და პირიქით, არ წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკანონმდებლო და კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებების და ეროვნული პრაქტიკის შესაბამისად არსებობს სხვა საფუძველები, როგორცაა საწარმოო აუცილებლობა.	2	1.2 (16.3 )	დაუშვებელია დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სრული სამუშაო განაკვეთიდან არასრულ სამუშაო განაკვეთზე ან არასრული სამუშაო განაკვეთიდან სრულ სამუშაო განაკვეთზე გადასვლის შესახებ დასაქმებულის უარის საფუძველით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი წინაპირობების დაცვით დამსაქმებელს უფლება აქვს შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება ამ კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველით.	სშ	
5.3.	დამსაქმებელმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია უნდა	2	1.2 (16.4 )	რამდენადაც ეს შესაძლებელია, დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს:  ა) დასაქმებულთა მოთხოვნა სრული განაკვეთის სამუშაოდან	სშ	



<p>a) გაითვალისწინოს სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთა განცხადებები დაწესებულებაში არსებულ ვაკანტურ არასრულ სამუშაო განაკვეთზე გადაყვანის შესახებ;</p> <p>b) გაითვალისწინოს არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთა განცხადებები სრულ სამუშაო განაკვეთზე გადაყვანის შესახებ ან მათი სამუშაო დროის გაზრდის შესახებ, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში;</p> <p>c) იზრუნოს სრული სამუშაო განაკვეთიდან არასრულ სამუშაო განაკვეთზე და პირიქით გადასვლის გამარტივებაზე და დროულად</p>		<p>დამსაქმებელთან არსებული არასრულ სამუშაო განაკვეთზე გადასვლის შესახებ;</p> <p>ბ) დასაქმებულთა მოთხოვნა არასრული სამუშაო განაკვეთიდან სრულ სამუშაო განაკვეთზე გადასვლის ან სამუშაო დროის გაზრდის შესახებ, ასეთი შესაძლებლობის არსებობისას;</p> <p>გ) არსებული სრული და არასრული სამუშაო განაკვეთების შესახებ ინფორმაციის დროულად გავრცელება სრული სამუშაო განაკვეთიდან არასრულ სამუშაო განაკვეთზე ან არასრული სამუშაო განაკვეთიდან სრულ სამუშაო განაკვეთზე გადასვლის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.</p> <p>დ) წამახალისებელი ღონისძიებები საწარმოს ყველა დონეზე (მათ შორის წამყვანი/მენეჯერული თანამდებობების ჩათვლით) არასრული სამუშაო განაკვეთის ხელმისაწვდომობისთვის ასევე, სადაც ეს მიზანშეწონილია, არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირების პროფესიული მომზადების, კარიერული წინსვლისა და</p>	
--	--	---	--



<p>         მიაწოდოს ინფორმაცია სრულ და არასრულ სამუშაო განაკვეთებზე დაწესებულებაში არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ;       </p> <p>         d) გაამარტივოს ზომები, რომლებიც გაამარტივებს არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმების ხელმისაწვდომობას დაწესებულების ყველა დონეზე კვალიფიციური და წამყვანი თანამდებობების ჩათვლით და საჭიროების შემთხვევაში, ასევე გაატაროს ზომები არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისთვის, ხელი       </p>		<p>         პროფესიული მობილობის ხელშეწყობისთვის.       </p>	
---	--	--	--



	<p>შეუწყოს კარიერულ წინსვლასა და პროფესიულ მობილობას;</p> <p>e) მიაწოდოს ინფორმაცია არსებულ დასაქმებულთა წარმომადგენლობებს დაწესებულებაში არასრული სამუშაო განაკვეთზე დასაქმების შესახებ.</p>				
6.1.	<p>წევრ სახელმწიფოებს და/ან სოციალურ პარტნიორებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ან შემოიღონ წინამდებარე შეთანხმებაში განსაზღვრულ პირობებზე უფრო ხელსაყრელი პირობები.</p>				<p>ას</p> <p>დირექტივის აღნიშნული დებულებები მიემართება მისი მიღების მომენტისთვის წევრი სახელმწიფოების მიერ გასატარებელ ღონისძიებებს დირექტივის სწორი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად. თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ აუმჯობესებს არსებულ სტანდარტს და სწორედ, დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება არის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.</p>
6.2.	<p>ამ შეთანხმების განხორციელება</p>				<p>ას</p> <p>დირექტივის აღნიშნული დებულებები მიემართება მისი მიღების მომენტისთვის</p>



<p>(იმპლემენტაცია) არ წარმოადგენს ამ შეთანხმებას დაქვემდებარებულ სფეროში დასაქმებულების ზოგადი დაცვის დონის შემცირების საფუძველს; ეს არ ეხება წევრი სახელმწიფოების და/ან სოციალური პარტნიორების უფლებას, გარემოებების ცვლილებისას განავითარონ სამართლებრივი და ადმინისტრაციული ნორმები ან კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებები და არ ეწინააღმდეგება 5(1) პარაგრაფს, თუ დაცულია 4(1) პარაგრაფში განსაზღვრული პრინციპები დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ.</p>					<p>სახელმწიფოების მიერ გასატარებელ ღონისძიებებს დირექტივის სწორი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად. თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ აუმჯობესებს არსებულ სტანდარტს და სწორედ, დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება არის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.</p>
<p>6.3. ეს შეთანხმება არ ეხება სოციალურ პარტნიორების უფლებას შესაბამის</p>				<p>ას</p>	<p>დირექტივის აღნიშნული დებულებები მიიმართება მისი მიღების მომენტისთვის სახელმწიფოების მიერ გასატარებელ ღონისძიებებს დირექტივის სწორი იმპლემ</p>





	<p>დონეზე, ევროპული დონის ჩათვლით, გააფორმონ შეთანხმებები წინამდებარე შეთანხმების ადაპტაციისა და დამატებების შესახებ, რათა გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი სოციალური პარტნიორების სპეციფიკური მოთხოვნები.</p>				<p>უზრუნველსაყოფად. თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ აუქმობებს არსებულ სტანდარტს და სწორედ, დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება არის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.</p>
6.4.	<p>ეს შეთანხმება ძალაშია ევროგაერთიანების სპეციფიკური დებულებების დაურღვევლად, კერძოდ, ევროკავშირის დებულებების მიმართ ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ.</p>				<p>ას მიემართება წევრი სახელმწიფოს ვალდებულებას სხვა დირექტივით გათვალისწინებული თანაბარი მოპყრობის პრინციპის სრული იმპლემენტაციის თვალსაზრისით.</p>



6.5.	ამ შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი სადაო საკითხების თავიდან აცილება და აღმოფხვრა მიიღწევა ცალკეული სახელმწიფოებრივი ი სამართლებრივი ნორმების, კოლექტიური ხელშეკრულებების ან პრაქტიკის შესაბამისად.				ას მიემართება მხოლოდ წევრ სახელმწიფოს.
6.6.	ხელმოწერი მხარეები ამოწმებენ ამ შეთანხმების გამოყენებას საბჭოს კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ, თუ ერთ-ერთი მათგანი განაცხადებს ამის შესახებ.				ას მიემართება მხოლოდ წევრ სახელმწიფოს.



ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>1991 წლის 14 ოქტომბრის საბჭოს 91/533/EEC დირექტივა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან დასაქმებასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა ინფორმირების ვალდებულების შესახებ<sup>i</sup></p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში :</p> <p>№1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“</p> <p>№2. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>შესაბამისობა :</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი</p> <p>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი</p> <p>შ – შეუსაბამო</p> <p>ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შე საბ ა მ ი ს ო ბ ა	შენიშვნები
1.1.	წინამდებარე დირექტივა გამოიყენება ყველა დასაქმებულის მიმართ,	1	1.1.	ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ	სშ	შრომის კოდექსი ვრცელდება ყველა დასაქმებულზე მათი ხელშეკრულების ტიპისა და შრომითი ურთიერთობის წარმოშობის დროის მიუხედავად.



	რომლებსაც წევრ სახელმწიფოში მოქმედი სამართლის შესაბამისად აქვთ შრომითი ხელშეკრულება ან იმყოფებიან შრომითი ურთიერთობაში.	2	1.2(8 6)	რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.  ეს კანონი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა.		
1.2. (a.b)	წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ წინამდებარე დირექტივა არ გამოიყენება იმ დასაქმებულთა იმ რთ, რომელთა შრომითი ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობის ა) - საერთო ვადა მოიცავს მაქსიმუმ ერთ თვეს და/ან - სამუშაო კვირის ხანგრძლივობა მოიცავს მაქსიმუმ 8 საათს ან ბ) თუ სამუშაო და/ან საქმიანობა	1  2	1.1  1.2(8 6)	ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.  ეს კანონი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა.	სშ	შრომის კოდექსი ვრცელდება ყველა დასაქმებულზე და ქვეყანა არ იყენებს დირექტივით დადგენილ დისკრეციას გამონაკლისის დამკვეთთან დაკავშირებით. ამრიგად, შრომის კოდექსი სრულ შესაბამისობაშია დირექტივასთან.



	შემთხვევითი და/ანსპეციფიკური ხასიათისაა და იმ პირობით, რომ წინამდებარე დირექტივის არ გამოყენება ასეთ შემთხვევებში ობიექტური გარემოებებითაა გამართლებული.				
2.1	დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს წინამდებარე დირექტივას დაქვემდებარებული დასაქმებულების (შემდგომში-დასაქმებულები) ინფორმირება შრომითი ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობების არსებითი პირობების შესახებ.	2	1.2 (11.6 ) დამსაქმებელი ვალდებულია კანდიდატს მიაწოდოს ინფორმაცია: ა) შესასრულებელი სამუშაოს შესახებ; ბ) შრომითი ხელშეკრულების ფორმის (წერილობითი ან ზეპირი) და ვადის (განსაზღვრული ან განუსაზღვრელი) შესახებ; გ) შრომის პირობების შესახებ; დ) შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ; ე) შრომის ანაზღაურების შესახებ.	სშ	ჯერ კიდევ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე დამსაქმებელს ეკისრება კანდიდატის ინფორმირების ვალდებულების შრომითი ხელშეკრულების ზოგიერთი არსებითი პირობის შესახებ. მით უფრო, საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ 1.2 (14.1) მუხლში დეტალურადაა გაწერილი შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები, რომელთა ინფორმირების-გაცნობის ვალდებულება დამსაქმებელს ეკისრება.
2.2	პირველი პუნქტით აღნიშნული ინფორმაცია უნდა	2	1.2 (14.1 ) შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ა) ინფორმაცია შრომითი	სშ	





<p>შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ მონაცემებს:</p> <p>a) მხარეთა რეკვიზიტები;</p> <p>b) სამუშაო ადგილი ან, თუ საქმე არ ეხება ფიქსირებულ ან ძირითად სამუშაო ადგილს, მითითებას იმის შესახებ, რომ დასაქმებული ძირითადად სხვადასხვა ადგილებზეა დასაქმებული, ასევე დამსაქმებლის ბიზნესის რეგისტრაციის ან შესაბამისად იურიდიულ მისამართი;</p> <p>c) (i) სამუშაო ადგილის დასახელებას, რანგსა და კატეგორიას, რომელზეც დაინიშნა დასაქმებული</p>		<p>ხელშეკრულების მხარეთა შესახებ;</p> <p>ბ) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;</p> <p>ბ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;</p> <p>გ) სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის იურიდიული მისამართი ან საჭიროების შემთხვევაში, დამსაქმებლის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი და ინფორმაცია სხვადასხვა სამუშაო ადგილის შესახებ თუ არ არის განსაზღვრული დასაქმებულის მუდმივი ან ძირითადი სამუშაო ადგილი.</p> <p>დ) თანამდებობა (რანგის, თანრიგის, კატეგორიის და ა.შ. მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან მისი აღწერილობა;</p> <p>ე) შრომის ანაზღაურების ოდენობა, მისი კომპონენტები (ძირითადი ხელფასი ან/და სატარიფო განაკვეთი, დანამატი, პრემია და სხვ.) და გადახდის წესი;</p> <p>ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;</p>		
---	--	---	--	--



<p>თანამდებობა; ან (ii) სამუშაოს მოკლე დახასიათება ან აღწერა;</p> <p>d) შრომითი ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობის დაწყების თარიღი;</p> <p>e) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობისას: შრომითი ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;</p> <p>f) ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, რომლით სარგებლობის უფლებაც აქვს დასაქმებულს, ან თუ მის შესახებ ინფორმაციის მიწოდება კონკრეტული</p>		<p>ზ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი;</p> <p>თ) დამსაქმებლის და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი;</p> <p>ი) კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განსხვავებულად არეგულირებენ დასაქმებულთა შრომის პირობებს.</p>		
--	--	--	--	--



<p>მომენტისთვის შეუძლებელია, მაშინ ასეთი შვებულების განსაზღვრისა და მიცემის პროცედურა;</p> <p>გ) შრომითი ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ დასაცავი ვადების ხანგრძლივობა ან, თუ მის შესახებ ინფორმაციის მიწოდება კონკრეტული მომენტისთვის შეუძლებელია, მაშინ ასეთი ხელშეკრულების ან ურთიერთობის შეწყვეტის ვადების განსაზღვრის პროცედურა;</p> <p>h) შრომის ანაზღაურების საწყისი მოცულობა, სხვა შემადგენელი</p>					
--	--	--	--	--	--



<p>ნაწილები, ასევე შრომის ანაზღაურების გადახდის პერიოდულობა, რომლის მიღების უფლებაც აქვს დასაქმებულს;</p> <p>I) დასაქმებულის ჩვეულებრივი სამუშაო დღის ან კვირის ხანგრძლივობა;</p> <p>j) საჭიროების შემთხვევაში: (i) კოლექტიური შეთანხმებები რომლებითაც რეგულირდება დასაქმებულთა შრომის სამუშაო პირობები. ii) საწარმოს ფარგლებს გარეთ ცალკეული ერთობლივი ორგანოების ან ინსტიტუციების მიერ დადებული კოლექტიური ხელშეკრულების შემთხვევაში, კომპეტენტური</p>					
--	--	--	--	--	--



	ორგანოების ან კომპეტენტური ინსტიტუციების შესახებ მონაცემები, რომელთა ფარგლებშიც ისინი დაიდო.				
2.3	მე-2 პუნქტის f), g), h) და i) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაცია შესაძლებელია გაცემული იყოს შესაბამისი სფეროებისთვის მოქმედ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ნორმებზე, ასევე კოლექტიური შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების ნორმებზე მითითებით.	2	1.2 (55.1 )	კოლექტიური ხელშეკრულება იდება ერთ ან მეტ დამსაქმებელს ან ერთ ან მეტ დამსაქმებელთა გაერთიანებას და ერთ ან მეტ დასაქმებულთა გაერთიანებას შორის.	სშ
		2	1.2 (55.2 )	კოლექტიური ხელშეკრულება: ა) განსაზღვრავს შრომის პირობებს; ბ) აწესრიგებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობას; გ) აწესრიგებს ერთ ან მეტ დამსაქმებელს ან ერთ ან მეტ დამსაქმებელთა გაერთიანებას და ერთ ან მეტ დასაქმებულთა გაერთიანებას შორის ურთიერთობას.	
		2	1.2 (55.3 )	მხარეები თავად განსაზღვრავენ	
					საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს კოლექტიური ხელშეკრულების რეგულირების საგანს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ დირექტივაში მოცემულ პუნქტებს, არამედ შრომით პირობებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს. უფრო მეტიც, მას აქვს უპირატესი ძალა ვიდრე, შრომის ინდივიდუალურ ხელშეკრულებას, თუკი, იგი აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას.





		2	1.2 (55.4 )	კოლექტიური ხელშეკრულების პირობებს. ერთ-ერთი მხარის მიერ კოლექტიური ხელშეკრულების დადების თაობაზე ინიციატივის გამოჩენის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკება.	
		2	1.2 (55.5 )	მოლაპარაკების პროცესში მხარეები ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას მოლაპარაკებასთან დაკავშირებული საკითხის (საკითხების) თაობაზე. მხარეს უფლება აქვს, არ მიაწოდოს მეორე მხარეს კონფიდენციალური ინფორმაცია, ხოლო კონფიდენციალური ან/და სხვა სახის ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მოითხოვოს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.	
		2	1.2 (57.1 )	კოლექტიური ხელშეკრულება იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.	



		2	1.2 (57.2 )	კოლექტიური ხელშეკრულება იდება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.	
		2	1.2 (57.4 )	განუსაზღვრელი ვადით დადებული კოლექტიური ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მისი გადასინჯვის, შეცვლისა და შეწყვეტის შესახებ დებულებებს.	
		2	1.2 (57.5 )	კოლექტიური ხელშეკრულების არსებობა არ ზღუდავს დამსაქმებლის ან დასაქმებულის უფლებას, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა, რაც არ იწვევს ამ ხელშეკრულების მონაწილე სხვა დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.	
		2	1.2 (57.6 )	კოლექტიურ ხელშეკრულებაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ხელშეკრულების სუბიექტები.	
		2	1.2 (57.7 )	კოლექტიური ხელშეკრულებით	



			<p>გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება ხელშეკრულების მხარეებზე. თუ კოლექტიური ხელშეკრულება დადებულია დამსაქმებელსა და ერთ ან მეტ დასაქმებულთა გაერთიანებას შორის და ასეთ ერთ ან მეტ დასაქმებულთა გაერთიანებაში გაწევრებულია მოცემულ საწარმოში მომუშავე დასაქმებულთა 50%-ზე მეტი, ამავე საწარმოში მომუშავე ნებისმიერ სხვა დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობით მოსთხოვოს დამსაქმებელს, რომ ისიც გახდეს ასეთი კოლექტიური ხელშეკრულების მხარე. დამსაქმებელი ვალდებულია ასეთი წერილობითი მოთხოვნა დააკმაყოფილოს მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ პუნქტის პირობები არ უკრძალავს სხვა დასაქმებულთა გაერთიანებას, რომელიც აერთიანებს აღნიშნულ საწარმოში მომუშავე დასაქმებულთა 50%-ზე</p>	
--	--	--	---	--



				<p>ნაკლებს, რომ დამსაქმებელთან ცალკე აწარმოოს მოლაპარაკება და დადოს ცალკე კოლექტიური ხელშეკრულება.</p> <p>კოლექტიური ხელშეკრულების დებულებები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დასაქმებულთა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია.</p> <p>ბათილია კოლექტიური ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.</p>		
3.1	<p>მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ი მონაცემების შესახებ ინფორმირება მიიღწევა დასაქმებულისთვის შრომითი საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 თვისა შემდეგი წერილობითი</p>	2	<p>1.2 (12.1) შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.</p> <p>2 1.2 (12.2) შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება.</p>	სშ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვლისწინებს დირექტივაში მითითებული ინფორმაციის წერილობით მიწოდების ვალდებულებას წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის დღიდანვე, ხოლო ზეპირი შრომითი ხელშეკრულების შემთხვევაში - დასაქმებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.</p>	



<p>დოკუმენტების გადაცემით:</p> <p>ა) წერილობითი შრომითი ხელშეკრულება და/ან</p> <p>ბ) ბრძანება დანიშვნის შესახებ და/ან</p> <p>გ) ერთი ან მეტი სხვა წერილობითი დოკუმენტი, თუ ამ დოკუმენტებიდან მინიმუმ ერთი მოიცავს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის a), b) c), d), h) და i) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ყველა მოწაგვმს.</p>					
<p>3.2 თუ დასაქმებულს არ გადაეცემა არც ერთი დოკუმენტი პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, მაშინ დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაოზე მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა გადასცეს დასაქმებულს</p>	<p>2</p> <p>2</p>	<p>1.2 (12.1 )</p> <p>1.2 (12.2 )</p>	<p>შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.</p> <p>შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება.</p>	<p>სშ</p>	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ გამორიცხავს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამსაქმებელ არ გადასცემს დასაქმებულს დირექტივით მოთხოვნილ სავალდებულო ინფორმაციას სამუშაოზე მიღებისას ან ზეპირი შრომითი ხელშეკრულების შემთხვევაში - დასაქმებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. ამდენად, აღარ იკვეთება დირექტივის 3.2 მუხლში მითითებული დათქმის კანონპროექტში გათვალისწინებულის საჭიროება.</p>





<p>ხელმოწერილი წერილობითი განმარტება, რომელიც უნდა შეიცავდეს მინიმუმ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემებს.</p> <p>თუ დოკუმენტები მოიცავს პირველ პუნქტში დასახელებული სავალდებულო მონაცემების მხოლოდ ნაწილს, მაშინ ამ პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული წერილობითი განმარტება ვრცელდება მონაცემების დანარჩენ ნაწილზე.</p>					
<p>3.3 თუ შრომითი ხელშეკრულება ან შრომითი ურთიერთობა მთავრდება დასაქმებულის სამუშაოზე მიღებიდან ორთვიანი ვადის</p>	<p>2</p>	<p>1.2 (12.1 )</p> <p>2 1.2 (12.2 )</p>	<p>შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.</p> <p>შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა ერთ</p>	<p>სშ</p>	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ გამორიცხავს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამსაქმებელ არ გადასცემს დასაქმებულს დირექტივით მოთხოვნილ სავალდებულო ინფორმაციას სამუშაოზე მიღებისას ან ზეპირი შრომითი ხელშეკრულების შემთხვევაში - დასაქმებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. ამდენა იკვეთება დირექტივის 3.3 მუხლში მითითებულ კანონპროექტში გათვალისწინებულის საჭიროებ.</p>



	<p>გასვლამდე, მაშინ დასაქმებულის ინფორმირება უნდა განხორციელდეს მე-2 მუხლისა და ამ მუხლის მიხედვით არაუგვიანეს ამ ვადის გასვლამდე.</p>			<p>თვეზე მეტ ხანს გრძელდება.</p>	
4.1	<p>თუ დასაქმებული სამუშაოს ასრულებს ერთ ან რამოდენიმე არაწევრ ქვეყანაში, რომლის სამართლებრივ ნორმებს და/ან პრაქტიკასაც ექვემდებარება შრომითი ხელშეკრულება ან შრომითი ურთიერთობა, მაშინ მე-3 მუხლში დასახელებული დოკუმენტ(ებ)ი უნდა გადაეცეს დასაქმებულს გამგზავრებამდე და უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ დამატებით მონაცემებს:</p> <p>a) საზღვარგარეთ შესასრულებელი</p>			<p>ას</p>	<p>დირექტივის ამ ნორმაში საუბარია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის დასაქმებაზე არაწევრ სახელმწიფოში და შესაბამისად საქართველოთან მიმართებით ეს ნორმა არარელევანტურია.</p>



	<p>სამუშაოს ხანგრძლივობა, b) ვალუტა, რომელშიც ხორციელდება შრომის ანაზღაურება, c) საჭიროების შემთხვევაში საზღვარგარეთ ყოფნასთან დაკავშირებული ბენეფიტები ფულადი სახით და ნატურით, d) საჭიროების შემთხვევაში დასაქმებულის უკან დაბრუნების პირობები.</p>					
4.2	<p>პირველი პუნქტის b) და c) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ი მონაცემების შესახებ ინფორმირება შესაძლებელია გაიცეს შესაბამისი სფეროებისთვის მოქმედ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ნორმებზე, ასევე კოლექტიური</p>				ას	<p>დირექტივის ამ ნორმაში საუბარია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის დასაქმებაზე არაწევ სახელმწიფოში და შესაბამისად საქართველოთან მიმართებით ეს ნორმა არარელევანტურია.</p>



	შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების ნორმებზე მითითებით.				
4.3	პირველი და მე-2 პუნქტები არ გამოიყენება, თუ მუშაობის ხანგრძლივობა საზღვარგარეთის ქვეყანაში, რომლის სამართლის ნორმები და/ან პრაქტიკაც ვრცელდება შრომით ხელშეკრულებაზე ან შრომით ურთიერთობებზე, შეადგენს ერთ თვეს ან ნაკლებს.			ას	დირექტივის ამ ნორმაში საუბარია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის დასაქმებაზე არაწევ სახელმწიფოში და შესაბამისად საქართველოთან მიმართებით ეს ნორმა არარელევანტურია.
5.1	მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ი მონაცემების ნებისმიერი ცვლილება უნდა იყოს წერილობითი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი, რომელიც დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა	2	1.2 (20.2 ) შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რომელიმე არსებით პირობას, ასეთი პირობის განსაზღვრა შესაძლებელია დასაქმებულის თანხმობით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილების შესაძლებლობას მხოლოდ მხარეთა შეთანხმების შედეგად.



	გადასცეს შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.					
5.2	პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ი წერილობითი დოკუმენტი არ არის სავალდებულო საკანონმდებლო და სამართლებრივი ნორმების, ასევე ადმინისტრაციული წესებისა და კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებების ცვლილების შემთხვევაში, რომლებთანაც დაკავშირებულია მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ი დოკუმენტები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში სრულყოფილია მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.	2	1.2 (20.2 )	შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რომელიმე არსებით პირობას, ასეთი პირობის განსაზღვრა შესაძლებელია დასაქმებულის თანხმობით.	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილების შესაძლებლობას მხოლოდ მხარეთა შეთანხმების შედეგად.  საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც საჭირო არ არის შეთანხმება ცვლილებაზე, ეს ეხება შემთხვევებს, როდესაც ცვლილების მიზეზი კანონმდებლობის ცვლილებაა. გარდა ამისა, კანონი მიუთითებს კოლექტიური ხელშეკრულებების უპირატესობაზე ინდივიდუალურ ხელშეკრულებასთან მიმართებით, იმ დათქმით, რომ კოლექტიური ხელშეკრულება აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას.
		2	1.2 (20.3 )	შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას.		
		2	1.2 (57.9 )	ბათილია კოლექტიური ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.		





6	<p>წინამდებარე დირექტივა არ აყენებს ზიანს ეროვნულ კანონმდებლობას და პრაქტიკას შემდეგთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობის ფორმა,</li> <li>-ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობების ფორმის ან შინაარსის არსებობის დადასტურება,</li> <li>- შესაბამისი პროცესუალური ნორმები.</li> </ul>	2	1.2 (12.1 )	<p>შრომითი ხელშეკრულება იდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.</p>	სშ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ არ აუარესებს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს დირექტივის ამ მუხლით გათვალისწინებულ სტანდარტებთან მიმართებით, უფრო მეტიც, შემოდის ერთი თვის შემდეგ წერილობითი ხელშეკრულების დადების ვალდებულება.</p>
7	<p>წინამდებარე დირექტივა არ ეხება წევრი სახელმწიფოების უფლებას, გამოიყენოს ან გამოსცეს დასაქმებულებისთვის უკეთესი საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ნორმები ან ხელი შეუწყოს ან</p>				ას	<p>დირექტივა ამლევს წევრ სახელმწიფოებს უფლებას დაადგინონ დირექტივით გათვალისწინებულზე მაღალი სტანდარტი.</p>



<p>შესაძლებელი გახადოს დასაქმებულებისთვის, რომ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნას უკეთესი პირობები.</p>					
<p>8.1 წევრი სახელმწიფოები გამოსცემენ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ყოველ დასაქმებულს, რომლის უფლებებიც დაირღვა წინამდებარე დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობით, შეეძლოს კომპეტენტური უწყებებისადმი მიმართვის შემდეგ დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოში.</p>	2	1.2 (75)	<p>1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექცია (შემდგომში - შრომის ინსპექცია) უფლებამოსილია უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების, ამ კანონის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის, მათ შორის სამუშაო ადგილზე ტრეფიკინგის - იძულებითი შრომის ამკრძალავი საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, მინისტრის ბრძანებების და შრომით უფლებებთან და</p>	სშ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს შრომის უფლების დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის მექანიზმს სასამართლოსა და შრომის ინსპექციის სახით. ამ უკანასკნელის ფუნქციებში შედის შრომის კოდექსით განსაზღვრული დებულებების აღსრულების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შესაბამის სახდელსა და</p>



		2 1.2 (76)	<p>პირობებთან მიმართებით საქართველოს სხვა ნებისმიერი ნორმატიული აქტის, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებების, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების და კოლექტიური დავის ფარგლებში მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებისა თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების (შემდგომ – „შრომის კანონმდებლობა“) ეფექტური გამოყენება.</p> <p>2. შრომის კანონმდებლობის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, შრომის ინსპექციის ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით.</p> <p>1. შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა და ადმინისტრაციული სახდელები განისაზღვრება ამ კანონით და „შრომის</p>	
--	--	------------------	--	--



			<p>უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.</p> <p>2. შრომის კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ამ კანონის 77-ე-მე-80 მუხლებით და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვს შრომის ინსპექციას.</p> <p>ამ კანონით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების დარღვევა, გარდა ამ კანონის 78-ე-მე-80 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევისა, თითოეული დარღვევისათვის გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას:</p> <p>ა) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე</p>	
	2	1.2 (77.1 )		



			<p>ფიზიკური პირი დამსაქმებლის შემთხვევაში არანაკლებ 200 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 400 ლარისა;</p> <p>ბ) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირი დამსაქმებლის შემთხვევაში, არანაკლებ 300 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა;</p> <p>გ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დამსაქმებლის შემთხვევაში (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 100 000 ლარს არ აღემატება, არანაკლებ 300 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა;</p> <p>დ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დამსაქმებლის შემთხვევაში (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-</p>	
--	--	--	--	--





				<p>ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს, მაგრამ არ აღემატება 500 000 ლარს, არანაკლებ 400 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 900 ლარისა;</p> <p>ე) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დამსაქმებლის შემთხვევაში (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 500 000 ლარს აღემატება, არანაკლებ 600 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა;</p> <p>ვ) ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის შემთხვევაში, მათ შორის რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), არანაკლებ 200 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 400 ლარისა.</p>	
8.2	წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ პირველი	2	1.2 (74.1)	ამ კანონის 48-ე მუხლში მითითებული სარჩელის გარდა, ამ კანონიდან გამომდინარე ნებისმიერი სარჩელით	სმ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას ყოველგვარი წინაპირობის გარეშ



<p>პუნქტით განსაზღვრული სასამართლო წარმოება იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ არსებობს დასაქმებულის შეტყობინება დამსაქმებლისადმი, რომელიც 15 დღის განმავლობაში პასუხგაუცემელია.</p> <p>წინასწარი შეტყობინება არ გამოიყენება მე-4 მუხლში მითითებულ შემთხვევებში და ასევე, არც ვადიანი ხელშეკრულებით ან შრომითი ურთიერთობებით მომუშავე დასაქმებულებისთვის და არც იმ დასაქმებულების მიმართ, რომელთა შრომით ურთიერთობებზე არ ვრცელდება კოლექტიური ხელშეკრულების ნორმები.</p>		<p>სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია 1 წლის განმავლობაში მას შემდეგ რაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.</p>	<p>მოცემული კანონმდებლობა უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს დირექტივასთან მიმართებით.</p>
--	--	--	--



9.1	<p>წვერი სახელმწიფოები გამოსცემენ სავალდებულო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ნორმებს წინამდებარე დირექტივის შესრულების მიზნით არაუგვიანეს 1993 წლის 30 ივნისისა, ან მინიმუმ ამ თარიღისთვის უნდა უზრუნველყონ, რომ სოციალურმა პარტნიორებმა შეთანხმების გზით გაატარონ სავალდებულო ზომები და ამასთანავე წვერი სახელმწიფოები ატარებენ ყველა აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყოს დირექტივაში გაწერილი შედეგების მიზნების</p>				ას	<p>დირექტივის დასკვნითი დებულებები ეხება წვერ სახელმწიფოების ვალდებულებებს დირექტივის მიღების დროისთვის, შესაბამისად, არასავალდებულოა საქართველოსთან მიმართებით.</p>
-----	--	--	--	--	----	--



	შესრულების უზრუნველყოფა.  წვერი სახელმწიფოები დაუყოვნებლივ აცნობებენ ამის შესახებ კომისიას.				
9.2	წვერი სახელმწიფოები ატარებენ აუცილებელ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულს გადასცეს შრომითი ურთიერთობის წარმოშობისას, რომელიც არსებობს მის მიერ გამოცემული აქტის ძალაში შესვლის მომენტისთვის, დასაქმებულის მოთხოვნისას მოთხოვნის მიღებიდან 2 თვის ვადაში მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მე-4				ას დირექტივის დასკვნითი დებულებები ეხება წვერ სახელმწიფოების ვალდებულებებს დირექტივის მიღების დროისთვის, შესაბამისად, არასავალდებულოა საქართველოსთან მიმართებით.



	მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ი.				
9.3	წევრი სახელმწიფოების მიერ პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმების გამოცემისას თვით ეს ნორმები უნდა შეიცავდნენ მითითებას წინამდებარე დირექტივის შესახებ ან ასეთი მითითება უნდა არსებობდეს მისი ოფიციალური გამოქვეყნებისას. ასეთი მითითების შესახებ მეთოდები განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მიერ.			ას	დირექტივის დასკვნითი დებულებები ეხება წევრ სახელმწიფოების ვალდებულებებს დირექტივის მიღების დროისთვის, შესაბამისად, არასავალდებულოა საქართველოსთან მიმართებით.
9.4	წევრი სახელმწიფოები დაუყოვნებლივ ატყობინებენ კომისიას წინამდებარე დირექტივის შესაბამისად			ას	დირექტივის დასკვნითი დებულებები ეხება წევრ სახელმწიფოების ვალდებულებებს დირექტივის მიღების დროისთვის, შესაბამისად, არასავალდებულოა საქართველოსთან მიმართებით.





	გამოცემული ნორმების შესახებ.				
10	ეს დირექტივა მიემართება წევრ ქვეყნებს.			ას	დირექტივის დასკვნითი დებულებები ეხება წევრ სახელმწიფოების ვალდებულებებს დირექტივის მიღების დროისთვის, შესაბამისად, არასავალდებულოა საქართველოსთან მიმართებით.

<sup>i</sup> ევროპის კავშირში გამჭვირვალე და პროგნოზირებადი შრომითი პირობების შესახებ ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის 2019/1152 დირექტივის 24-ე მუხლის თანახმად 2022 წლის 1 აგვისტოდან ძალადაკარგულად გამოცხადდა 91/533/EEC დირექტივა.

**ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის დირექტივა 2019/1152 ევროპის კავშირში გამჭვირვალე და პროგნოზირებადი შრომითი პირობების შესახებ**

თავი I

**ზოგადი დებულებები**

*მუხლი I*

**მიზანი, საგანი და მოქმედების ფარგლები**

1. წინამდებარე დირექტივის მიზანია სამუშაო პირობების გაუმჯობესება უფრო გამჭვირვალე და პროგნოზირებადი დასაქმების ხელშეწყობითა და შრომის ბაზრის ადაპტირების უნარის უზრუნველყოფით.
2. წინამდებარე დირექტივა ადგენს მინიმალურ უფლებებს, რომლებიც გააჩნია ევროკავშირში მუშაკს, რომელსაც აქვს შრომითი ხელშეკრულება ან რომელიც იმყოფება შრომით ურთიერთობაში, როგორც ეს განისაზღვრება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებებით ან პრაქტიკით, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით.
3. წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან არ გაავრცელონ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებები მუშაკებზე, რომლებიც იმყოფებიან ისეთ შრომით ურთიერთობაში, რომელშიც მათი წინასწარ განსაზღვრული და რეალური სამუშაო დრო უწყვეტ ოთხკვირიან საანგარიშო პერიოდში უტოლდება ან ნაკლებია კვირაში საშუალოდ სამ საათზე. იმ დამსაქმებლებთან მუშაობის დრო, რომლებიც ქმნიან ან მიეკუთვნებიან ერთ საწარმოს, ჯგუფს ან ორგანიზაციას, უნდა გამოითვალოს სამსაათიანი საშუალოს მიხედვით.
4. მე-3 პარაგრაფი არ ვრცელდება შრომით ურთიერთობაზე, სადაც გარანტირებული ანაზღაურებადი სამუშაოს მოცულობა დასაქმების დაწყებამდე, წინასწარ არ არის განსაზღვრული.
5. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია განსაზღვრონ პირები, რომლებსაც ეკისრებათ დამსაქმებლებთან მიმართებაში წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულების პასუხისმგებლობა იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნება აღნიშნული ვალდებულებების შესრულება. ისინი აგრეთვე უფრო არიან, რომ აღნიშნული ვალდებულებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცენ ისეთ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან შრომითი ურთიერთობის წინამდებარე პარაგრაფი არ აყენებს ზიანს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივას 2008/104/EC.



6. წევრმა სახელმწიფოებმა, ობიექტური საფუძვლის არსებობისას, შესაძლებელია III თავით გათვალისწინებული დებულებები არ გაავრცელონ საჯარო მოსამსახურეებზე, სახელმწიფო საგანგებო სამსახურებზე, შეიარაღებულ ძალებზე, სამართალდამცავ ორგანოებზე, მოსამართლეებზე, პროკურორებზე, გამომძიებლებზე ან სხვა სამართალდამცავ სამსახურებზე.

7. წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან დაადგინონ, რომ მე-12 და მე-13 მუხლებითა და მე-15(1)(ა) მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები არ ვრცელდება ოჯახებში ფიზიკურ პირებზე, რომლებიც არიან დამსაქმებლები, იმ შემთხვევებში, როდესაც სამუშაოს შესრულება ხდება აღნიშნული ოჯახებისთვის.

8. წინამდებარე დირექტივის II თავი ვრცელდება მეზღვაურებსა და მეთევზეებზე ზღვაში ისე, რომ ზიანს არ აყენებს 2009/13/EC და 2017/159 დირექტივებს. მე-4(2)(ნ) და (პ) მუხლებითა და მე-7, მე-9, მე-10 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებები არ ვრცელდება მეზღვაურებსა და მეთევზეებზე ზღვაში.

## მუხლი 2

### ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი ტერმინები:

(ა) „სამუშაო განრიგი“ ნიშნავს განრიგს, რომლითაც განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების საათები და დღეები;

(ბ) „საანგარიშო საათები და დღეები“ ნიშნავს კონკრეტული დღის დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც ხდება სამუშაოს შესრულება დამსაქმებლის მოთხოვნით;

(გ) „შრომითი რეჟიმი“ ნიშნავს სამუშაო დროის ორგანიზების ფორმასა და მის გადანაწილებას დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული გარკვეული გრაფიკით.

## მუხლი 3

### ინფორმაციის მიწოდება

დამსაქმებელი ვალდებულია ყველა მუშაკს წერილობით მიაწოდოს წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული ინფორმაცია. ინფორმაციის მიწოდება და გადაცემა უნდა მოხდეს ქალაქის მატარებელზე ან ელექტრონული ფორმით, მაგრამ იმ პირობით, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მუშაკისთვის, კერძოდ, შესაძლებელია მისი შენახვა და ამობეჭდვა, და რომ დამსაქმებელი შეინახავს მუშაკისთვის ინფორმაციის გადაცემის მტკიცებულებას.

## თავი II

### ინფორმაცია შრომითი ურთიერთობის შესახებ

## მუხლი 4

### ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ დამსაქმებლების მიერ მუშაკებისთვის ინფორმაციის მიწოდება შრომითი ურთიერთობის ასპექტების შესახებ.

2. პირველი პარაგრაფით განსაზღვრული ინფორმაცია სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგს:



(ა) შრომითი ურთიერთობის მხარეების ვინაობა;

(ბ) სამუშაო ადგილი; იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ფიქსირებული ან ძირითადი სამუშაო ადგილი, პრინციპი, რომ მუშაკი დასაქმებულია სხვადასხვა ადგილას ან თავად შეუძლია განსაზღვროს მისი სამუშაო ადგილი, აგრეთვე, ბიზნესის რეგისტრაციის ადგილი ან, სადაც რელევანტურია, დამსაქმებლის საცხოვრებელი ადგილი;

(გ) ერთ-ერთი შემდეგი:

(i) იმ სამუშაოს დასახელება, ხარისხი, ხასიათი ან კატეგორია, რომელს შესასრულებლად ხდება მუშაკის დასაქმება, ან

(ii) სამუშაოს მოკლე მახასიათებლები ან აღწერა;

(დ) შრომითი ურთიერთობის დაწყების თარიღი;

(ე) ვადიანი შრომითი ურთიერთობის შემთხვევაში, დასრულების თარიღი და მოსალოდნელი ხანგრძლივობა;

(ვ) იმ მუშაკების შემთხვევაში, რომლებიც ასრულებენ დროებითი სამუშაოს, იმ ორგანიზაციის დასახელება, რომელიც იყენებს ასეთ შრომას, როდესაც და როგორც კი ასეთი ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი;

(ზ) გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა და პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

(თ) დამსაქმებლის მიერ ჩასატარებელი ტრენინგების შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

(ი) იმ ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს მუშაკს, ან ასეთი შვებულების მიცემისა და განსაზღვრის პროცედურები იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის მიწოდებისას ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობის განსაზღვრა შეუძლებელია;

(კ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პროცედურები, რომელთა დაცვაც ევალებათ დამსაქმებელსა და მუშაკს, მათ შორის, ფორმალური მოთხოვნები და შეტყობინების გაგზავნის ვადები, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის მიწოდებისას შეუძლებელია შეტყობინების ვადების განსაზღვრა, მეთოდი, რომლითაც უნდა მოხდეს ასეთი შეტყობინების გაგზავნის ვადის განსაზღვრა;

(ლ) ანაზღაურება, საწყისი საბაზისო ოდენობის ჩათვლითა და ნებისმიერი სხვა კომპონენტის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ცალკე მითითებით, და ანაზღაურების გადახდის პერიოდულობა და წესი;

(მ) იმ შემთხვევაში, თუ შრომითი რეჟიმი მთლიანად ან ძირითადად პროგნოზირებადია, მუშაკის სტანდარტული სამუშაო დღის ან კვირის ხანგრძლივობა და ზეგანაკვეთური სამუშაოსა და მისი ანაზღაურების ნებისმიერი წესი და, სადაც რელევანტურია, ცვლიანობის განრიგი;

(ნ) იმ შემთხვევაში, თუ შრომითი რეჟიმი მთლიანად ან ძირითადად არაპროგნოზირებადია, დამსაქმებელი ვალდებულია მიაწოდოს მუშაკს შემდეგი ინფორმაცია:

(i) სამუშაო განრიგის ცვლილების პრინციპი, საათების რაოდენობა, რომელიც ექვემდებარება გარანტირებულად ანაზღაურებას, და იმ სამუშაოს ანაზღაურება, რომლის შესრულებაც ხდება აღნიშნულ გარანტირებულ საათებზე დამატებით;

(ii) საანგარიშო საათები და დღეები, რომელთა განმავლობაშიც მუშაკს შეიძლება მოეთხოვოს მუშაობა;

(iii) სამუშაო დავალების შესრულების დაწყებამდე, მუშაკისთვის სამუშაოს შესრულების შესახებ მოთხოვნის გაგზავნის მინიმალური ვადა და, სადაც რეგულაციები მოქმედებს, მე-10(3) მუხლით განსაზღვრული შეწყვეტის ბოლოს ვადა;



(ო) ნებისმიერი კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მუშაკის სამუშაო პირობებს ან იმ შემთხვევაში, თუ კოლექტიური ხელშეკრულებები გაფორმებულია ბიზნესისგან დამოუკიდებლად, სპეციალური ერთობლივი ორგანოების ან ორგანიზაციების მიერ, იმ ორგანოების ან ორგანიზაციების დასახელება, რომელთა მიერაც მოხდა აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმება;

(პ) იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული დამსაქმებლის ვალდებულებაა, სოციალური დაცვის იმ ორგანიზაციების დასახელება, რომლებიც იღებენ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ სოციალურ შენატანებს და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნებისმიერი დაცვა, რომელსაც უზრუნველყოფს დამსაქმებელი.

3. სადაც მიზანშეწონილია, მე-2(ზ) – (მ) და (პ) პარაგრაფით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მოხდეს იმ კანონებზე, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ ან საკანონმდებლო ნორმებზე, ან კოლექტიურ ხელშეკრულებებზე მითითებით, რომლებიც არეგულირებენ აღნიშნულ საკითხებს.

### მუხლი 5

#### ვადები და ინფორმაციის მიწოდების ფორმა

1. იმ შემთხვევაში, თუ არ მომხდარა მიწოდება, მე-4(2)(ა), (ე), (ზ), (ლ), (მ) და (ნ) მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება მუშაკისთვის უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, ერთი ან მეტი დოკუმენტის ფორმით, პირველი სამუშაო დღის დაწყებიდან არაუგვიანეს შვიდი კალენდარული დღის ვადაში. მე-4(2) მუხლით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია მუშაკს უნდა მიეწოდოს ინდივიდუალურად, დოკუმენტის ფორმით, პირველი სამუშაო დღიდან ერთი თვის ვადაში.

2. წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან შეიმუშაონ პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების ნიმუშები და მოდელები და გახადონ ისინი ხელმისაწვდომი მუშაკებისა და დამსაქმებლებისთვის, მათ შორის, უზრუნველყონ მათი ხელმისაწვდომობა ეროვნულ ვებგვერდზე გამოქვეყნებით ან სხვა შესაბამისი საშუალებით.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იმ კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული ან საკანონმდებლო ნორმების, ან საყოველთაო გამოყენების კოლექტიური ხელშეკრულებების, რომლებიც არეგულირებს შესაბამის ურთიერთობას, შესახებ დამსაქმებლის მიერ მუშაკისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია უფასოდ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი ნათელი, გამჭვირვალე, ყოვლისმომცველი და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით, როგორც დისტანციურად, ისე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, არსებული ელექტრონული პორტალების მეშვეობით.

### მუხლი 6

#### შრომითი ურთიერთობის ცვლილება

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ შრომითი ურთიერთობის მე-4(2) მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი ასპექტის ნებისმიერი ცვლილების შესახებ და იმ დამატებითი ინფორმაციის ცვლილების შესახებ, რომელიც განკუთვნილია მუშაკებისთვის, რომლებიც იზავნებიან სხვა წევრ სახელმწიფოში ან მე-7 მუხლით განსაზღვრულ მესამე ქვეყანაში, დამსაქმებლმა მუშაკს აცნობოს დოკუმენტური ფორმით, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს დღისა, რომელშიც იგი შედის ძალაში.

2. პირველ პარაგრაფში მითითებული დოკუმენტი არ ვრცელდება იმ ცვლილებებზე, რომლებიც ასახავს მხოლოდ კანონებში, რეგულაციებში ან ადმინისტრაციულ ან საკანონმდებლო ნორმებში, ან კოლექტიურ ხელშეკრულებებში, რომლებზე მითითებაც გაკეთებულია მე-5(1) მუხლითა და, სადაც რელევანტურია, მე-7 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებში, შეტანილ ცვლილებებს.

### მუხლი 7

დამატებითი ინფორმაცია მუშაკებისთვის, რომელთა მივლინებაც ხდება სხვა წევრ სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში



1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ, როდესაც მუშაკს მოეთხოვება წევრ სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში მუშაობა, იმ წევრი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, სადაც ის ჩვეულებრივ მუშაობს, დამსაქმებელმა ასეთ მუშაკს მიაწოდოს მე-5(1) მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები მუშაკის გამგზავრებამდე და აღნიშნული დოკუმენტები სულ მცირე უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით ინფორმაციას:

(ა) ქვეყანა ან ქვეყნები, სადაც უნდა შესრულდეს სამუშაო და მისი სავარაუდო ხანგრძლივობა;

(ბ) ვალუტა, რომლითაც მოხდება შრომის ანაზღაურება;

(გ) სადაც რელევანტურია, მივლინებასთან დაკავშირებული ფულადი ან არაფულადი სარგებელი;

(დ) ინფორმაცია იმის შესახებ, გათვალისწინებულია თუ არა პირის დაბრუნება და, თუ გათვალისწინებულია, ასეთი დაბრუნების პირობები.

2. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ მივლინებაში გაგზავნილი მუშაკები, რომლებზეც ვრცელდება 96/71/EC დირექტივა, იღებენ შემდეგ ინფორმაციას:

(ა) ანაზღაურება, რომლის მიღების უფლებაც აქვს მუშაკს იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელშიც ის მიემგზავრება;

(ბ) სადაც რელევანტურია, ნებისმიერი ანაზღაურება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მივლინებასა და მგზავრობის, გადასვლისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;

(გ) ბმული იმ მიმღები სახელმწიფოს ერთიან ეროვნულ ვებგვერდზე, რომელიც შექმნილია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014/67/EU დირექტივის მე-5(2) მუხლის შესაბამისად.

3. პირველი პარაგრაფის (ბ) პუნქტითა და მე-2 პარაგრაფის (ა) პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება, სადაც რელევანტურია, შესაძლებელია მოხდეს იმ კონკრეტულ კანონებზე, რეგულაციებზე და ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ნორმებზე, ან კოლექტიურ ხელშეკრულებებზე მითითების გზით, რომლებიც არეგულირებს აღნიშნულ ინფორმაციას.

4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წევრი სახელმწიფოები სხვაგვარად განსაზღვრავენ, პირველი და მე-2 პარაგრაფები არ გამოიყენება, თუ ყოველი სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობა, იმ წევრი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, რომელშიც მუშაკი ჩვეულებრივ მუშაობს, არის ოთხი უწყვეტი კვირა ან ნაკლები.

### თავი III

#### სამუშაო პირობებთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები

#### მუხლი 8

#### ნებისმიერი გამოსაცდელი ვადის მაქსიმალური ხანგრძლივობა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც შრომითი ურთიერთობა ითვალისწინებს გამოსაცდელ ვადას, კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული ვადა არ აღემატებოდეს ექვს თვეს.

2. ვადიანი შრომითი ურთიერთობის შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა ხელ მოსალოდნელი ხანგრძლივობისა და სამუშაოს ტიპის პროპორციულია. იმ შემთხვევაში, თუ ხდება ხელშეკრულების განახლება, მაგრამ ფუნქციები და მოვალეობები შრომითი ურთიერთობა არ შეიძლება ექვემდებარებოდეს ახალ გამოსაცდელ ვადას.





3. წევრმა სახელმწიფომ გამონაკლისის სახით შესაძლებელია დაადგინოს უფრო ხანგრძლივი გამოსაცდელი ვადა იმ შემთხვევაში, თუ ეს გამართლებულია დასაქმების ხასიათით ან მუშაკის ინტერესით. გამოსაცდელი ვადის პერიოდში გაცდენების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფომ შეიძლება დაუშვან გამოსაცდელი ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობა გაცდენილი პერიოდის შესაბამისი ვადით.

#### მუხლი 9

#### პარალელური დასაქმება

1. წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყონ, რომ დამსაქმებელი არ უკრძალავს მუშაკს სხვა დამსაქმებლებთან მუშაობას დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო განრიგისგან თავისუფალ დროს და არ ავიწროებს მუშაკს ამისთვის.
2. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება განსაზღვროს დამსაქმებელთა მიერ ობიექტური საფუძვლით შეუთავსებლობის შეზღუდვების გამოყენების პირობები, როგორცაა შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება, კომერციული საიდუმლოს დაცვა, საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობა ან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება.

#### მუხლი 10

#### სამუშაოს მინიმალური პროგნოზირებადობა

1. წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყონ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაკის შრომითი რეჟიმი მთლიანად ან ნაწილობრივ არაპროგნოზირებადია, დამსაქმებელმა არ მოსთხოვოს მუშაკს მუშაობა, თუ ორივე შემდეგი პირობა არ იქნება დაკმაყოფილებული:
  - (ა) სამუშაოს შესრულება ხდება წინასწარ განსაზღვრულ საანგარიშო საათებისა და დღეების განმავლობაში, მე-4(2) მუხლის (ნ)(ii) პუნქტის შესაბამისად.
  - (ბ) მუშაკი ინფორმირებულია მისი დამსაქმებლის მიერ სამუშაო დავალების შესახებ გონივრული პერიოდით ადრე, რომელიც განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებებით ან პრაქტიკით, მე-4(2) მუხლის (ნ)(iii) პუნქტის შესაბამისად.
2. იმ შემთხვევაში, თუ პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ან არცერთი მოთხოვნა არ არის შესრულებული, მუშაკს უფლება აქვს უარი თქვას სამუშაო დავალების შესრულებაზე, რისთვისაც მას არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც წევრი სახელმწიფოები უფლებას აძლევენ დამსაქმებელს შეწყვიტოს სამუშაო დავალება კომპენსაციის გარეშე, წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობის, კოლექტიური ხელშეკრულებების ან პრაქტიკის შესაბამისად, უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მუშაკს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი შეწყვეტს მუშაკთან შეთანხმებულ სამუშაო დავალებას, შეწყვეტისთვის განსაზღვრული საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ.
4. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება დაადგინონ პირობები წინამდებარე მუხლის გამოყენებისთვის, ეროვნული კანონმდებლობის, კოლექტიური ხელშეკრულებების ან პრაქტიკის შესაბამისად.

#### მუხლი 11

#### დამატებითი პირობები „მოთხოვნამდე“ ხელშეკრულებებისთვის

იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო უშვებს „მოთხოვნამდე“ ან მსგავსი შრომითი ხელშეკრულებების გამოყენებას, უფლებათა ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ქვემოთ მოცემულიდან მინიმუმ ერთი ზომა:



(ა) „მოთხოვნამდე“ ან მსგავსი შრომითი ხელშეკრულებების გამოყენებაზე შეზღუდვები;

(ბ) უარყოფადი პრეზუმფიცია იმისა, რომ არსებობს შრომითი ხელშეკრულება მინიმალური ანაზღაურებადი საათებით, მოცემულ პერიოდში ნამუშევარი საათების საშუალო რაოდენობაზე დაფუძნებით;

(გ) სხვა ექვივალენტური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს უფლებათა ბოროტად გამოყენების პრევენციას.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას ასეთი ზომების შესახებ.

### *მუხლი 12*

#### **დასაქმების სხვა ფორმაზე გადასვლა**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მუშაკს, რომელიც ერთსა და იმავე დამსაქმებელთან სულ მცირე ექვსი თვის მანძილზე იყო დასაქმებული და რომელმაც დაასრულა გამოსაცდელი პერიოდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სადაც შესაძლებელია, ჰქონდეს უფლება მოითხოვოს დასაქმება უფრო პროგნოზირებადი და უსაფრთხო სამუშაო პირობებით და აღნიშნულის თაობაზე მიიღოს დასაბუთებული წერილობითი პასუხი. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, შეზღუდონ ამ მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მოთხოვნის სიხშირე.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, დამსაქმებლის მხრიდან პირველ პარაგრაფში მითითებულ მოთხოვნაზე დასაბუთებული პასუხის გაცემა, ასეთი მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში. იმ ფიზიკურ პირებთან მიმართებით, რომლებიც არიან დამსაქმებლები, აგრეთვე, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან მიმართებაში, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა გაზარდონ აღნიშნული ვადა არაუმეტეს სამი თვისა და დაუშვან ზეპირსიტყვიერი პასუხის გაცემის შესაძლებლობა შემდგომ მოთხოვნაზე, რომელიც გამოგზავნილია იგივე მუშაკის მიერ, თუ ამ მუშაკის მდგომარეობასთან დაკავშირებული პასუხის დასაბუთება რჩება უცვლელი.

### *მუხლი 13*

#### **სავალდებულო ტრენინგი**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელს კავშირის ან ეროვნული კანონმდებლობით, ან კოლექტიური ხელშეკრულებით მოეთხოვება მუშაკისათვის ტრენინგის ჩატარება იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომლისთვისაც არის იგი დასაქმებული, ამგვარი ტრენინგი მუშაკს ჩაუტარდება უფასოდ, დახარჯული დრო ჩაითვლება სამუშაო დროში და, სადაც შესაძლებელია, ტრენინგი ჩატარდება სამუშაო დროის განმავლობაში.

### *მუხლი 14*

#### **კოლექტიური ხელშეკრულებები**

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება სოციალურ პარტნიორებს მიანიჭონ კოლექტიური ხელშეკრულებების შენარჩუნების, მოლაპარაკების წარმოების, გაფორმებისა და აღსრულების უფლებამოსილება, ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც, მუშაკთა საერთო დაცვის უზრუნველყოფის პარალელურად, ადგენს მუშაკთა შრომის პირობებს, რომლებიც განსხვავდება მე-8 და მე-13 მუხლებით განსაზღვრულისგან.

### *თავი IV*

#### **ჰორიზონტალური დებულებები**



მუხლი 15

**სამართლებრივი პრეზუმფცია და ადრეული ანგარიშსწორების მექანიზმი**

1. თუ მუშაკს არ მიუღია მე-5(1) მუხლით ან მე-6 მუხლით გათვალისწინებული ყველა საბუთი, ან საბუთების ნაწილი, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოხდეს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი ან ორივე წესის გამოყენება:

(ა) მუშაკი უნდა სარგებლობდეს წევრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მუშაკისთვის ხელსაყრელი პრეზუმფციით, რომლის გაბათილების საშუალებაც უნდა ჰქონდეს დამსაქმებელს;

(ბ) მუშაკს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წარადგინოს საჩივარი კომპეტენტურ ინსტანციაში ან ორგანოში და დროულად და ეფექტიანად მიიღოს ადეკვატური რეაგირება.

2. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ დააწესონ პირველი პუნქტით განსაზღვრული პრეზუმფციებისა და მექანიზმების გამოყენების წინაპირობა, რაც მდგომარეობს დამსაქმებლისათვის შეტყობინებასა და ამ უკანასკნელთა მხრიდან ნაკლული ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობაში.

მუხლი 16

**კომპენსაციის მიღების უფლება**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მუშაკებს, მათ შორის, მათ, რომელთა შრომითი ურთიერთობაც დასრულებულია, ჰქონდეთ წვდომა დავების გადაჭრის ეფექტურ და მიუკერძოებელ მექანიზმებზე და მიიღონ კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს წინამდებარე დირექტივიდან გამომდინარე უფლებების დარღვევას.

მუხლი 17

**არასათანადო მოპყრობისაგან ან შედეგებისაგან დაცვა**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ ზომები, რომლებიც აუცილებელია მუშაკთა, მათ შორის, მუშაკთა წარმომადგენლების დასაცავად დამსაქმებლის მხრიდან რაიმე სახის არასათანადო მოპყრობისაგან და ნებისმიერი არასასურველი შედეგისაგან, რომელიც გამოწვეულია დამსაქმებელთან წარდგენილი საჩივრით ან ნებისმიერი საქმისწარმოებით, რომელიც მიზნად ისახავს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული უფლების დაცვას.

მუხლი 18

**გათავისუფლებისაგან დაცვა და მტკიცების ტვირთი**

1. წევრი სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა აკრძალონ გათავისუფლება ან მისი ექვივალენტური ქმედება და ნებისმიერი მზადება მუშაკთა გათავისუფლების თაობაზე, იმ საფუძველით, რომ მათ ისარგებლეს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული უფლებებით.

2. მუშაკებს, რომლებიც თვლიან, რომ ისინი გაათავისუფლეს, ან დაექვემდებარენ ექვივალენტური შედეგის მქონე ზომებს, იმ საფუძველით, რომ მათ ისარგებლეს წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული უფლებებით, უფლება აქვთ მოსთხოვონ დამსაქმებელს გათავისუფლების ან ექვივალენტური ზომის სათანადოდ დასაფუძვლების წარმოდგენა. დამსაქმებელი ვალდებულია, ასეთი დასაბუთება წარმოადგინოს წერილობითი ფორმით.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ, როცა მეორე პარაგრაფში მითითებული მუშაკები სასამართლო კომპეტენტური ორგანოს წინაშე დაადგინენ ფაქტებს, რომლებიდანაც შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ადგილი ჰქონდა ასეთ გათავისუფლებას ან ექვივალენტურ მტკიცების ტვირთი, რომ გათავისუფლება მოხდა სხვა, პირველი პარაგრაფით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საფუძველით, ეკისრება დამსაქმებელს.



4. მე-3 პარაგრაფი არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოებს დაადგინონ მტკიცებით ტვირთთან დაკავშირებული წესები, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მუშაკებისთვის.
5. წევრ სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ მე-3 პარაგრაფით განსაზღვრული მოთხოვნების გავრცელება ისეთ საქმისწარმოებაზე, სადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს ან პირის ვალდებულებაა.
6. მე-3 პარაგრაფი არ ვრცელდება სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წევრი სახელმწიფოს მიერ.

*მუხლი 19*

### **სანქციები**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ სანქციები წინამდებარე დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული ნორმების ან ამ დირექტივით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით უკვე არსებული ნორმების დარღვევისთვის. დაწესებული სანქციები უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი.

თავი V

### **გარდამავალი დებულებები**

*მუხლი 20*

### **უკუქვევითი ძალის არქონა და უფრო ხელსაყრელი დებულებები**

1. წინამდებარე დირექტივა არ წარმოადგენს სათანადო საფუძველს წევრ სახელმწიფოებში უკვე არსებული დაცვის ზოგადი დონის შესამცირებლად.
2. წინამდებარე დირექტივა არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოთა უფლებას შემოიღონ კანონები, რეგულაციები ან ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც უფრო ხელსაყრელი იქნება მუშაკებისთვის, ან წახალისონ ან დაუშვან ისეთი კოლექტიური ხელშეკრულებების გამოყენება, რომლებიც მუშაკათათვის უფრო ხელსაყრელ პირობებს აწესებს.
3. წინამდებარე დირექტივა არ აყენებს ზიანს მუშაკთა ნებისმიერ სხვა უფლებას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ კავშირის სხვა სამართლებრივი აქტებით.

*მუხლი 21*

### **ტრანსპოზიცია და იმპლემენტაცია**

7.6	<p>საწარმოებში ან ბიზნესში, სადაც არ არსებობს დასაქმებულთა წარმომადგენლობა და ეს არ არის გამოწვეული დასაქმებულთა</p>	2	1.2 (50.7 )	<p>გადამცემი საწარმო და მიმღები საწარმო ვალდებულნი არიან დასაქმებულთა გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენს იმ დასაქმებულებს, რომლებსაც ეხებათ საწარმოთა გადაცემა,</p>	სშ	<p>ვრცელდება ყველა დასაქმებულის მიმართ.</p>



<p>ბრალით, წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ შესაბამისი თანამშრომლები წინასწარ იღებენ ინფორმაციას:</p> <p>-გასხვისების თარიღის ან სავარაუდო თარიღის შესახებ,</p> <p>-გასხვისების მიზეზის შესახებ,</p> <p>-იმ სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესახებ, რასაც გასხვისება გამოიწვევს დასაქმებულებისთვის ,</p> <p>-დასაქმებულებთან დაკავშირებული ნებისმიერი დაგეგმილი ღონისძიების შესახებ.</p>	<p>2 1.2 (50.8 )</p>	<p>შეატყობინონ საწარმოს გადაცემის თარიღი, საწარმოს გადაცემის მიზეზები, საწარმოს გადაცემის შედეგად დასაქმებულთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგები და ასევე აცნობონ ნებისმიერი ღონისძიებების შესახებ, რომელიც ხორციელდება დასაქმებულებთან მიმართებით. დასაქმებულთა გაერთიანების არ არსებობის შემთხვევაში, დასაქმებულებს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენლებს ნებისმიერ შემთხვევაში წინასწარ უნდა მიეწოდოთ აღნიშნული ინფორმაცია.</p> <p>გადამცემი საწარმო ვალდებულია დასაქმებულთა გაერთიანებას საწარმოს გადაცემამდე 30 დღით ადრე მიაწოდოს მეშვიდე პუნქტში მითითებული ინფორმაცია. მიმღები საწარმო ასევე ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულთა გაერთიანებას გონივრულ ვადაში, თუმცა არანაკლებ 30 დღით ადრე სანამ საწარმოს გადაცემა გავლენას იქონიებს</p>	
---	----------------------	---	--



		2	1.2 (50.9 )	<p>დასაქმებულთა შრომითი პირობებზე.</p> <p>თუ გადამცემი საწარმო ან მიმღები საწარმო დასაქმებულებთან მიმართებით გეგმავს ღონისძიებების განხორციელებას, იგი ვალდებულია დასაქმებულთა წარმომადგენლებთან არანაკლებ 30 დღით ადრე განახორციელოს კონსულტაციები აღნიშნული ღონისძიებების შესახებ შეთანხმების მიღწევის მიზნით.</p>	
8	<p>წინამდებარე დირექტივა არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოებს გამოიყენონ ან მიიღონ კანონები, რეგულაციები ან ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც უფრო ხელსაყრელია დასაქმებულებისთვის , ან წახალისონ ან ხელი შეუწყონ კოლექტიურ ან სოციალურ პარტნიორებს შორის ხელშეკრულებებს, რომლებიც უფრო</p>				<p>ას</p> <p>დირექტივის ნორმა წარმოადგენს წევრი სახელმწიფოს დისკრეციას.</p>



	ხელსაყრელია დასაქმებულებისთვის .					
9	წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან თავიანთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში შემოიღონ ზომები, რომლებიც საშუალებას აძლევს ყველა დასაქმებულსა და დასაქმებულთა წარმომადგენელს, ვინც მიიჩნევს, რომ მიადგა ზიანი ამ დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობით, დაიცვას საკუთარი უფლებები სასამართლოსთვის მიმართვის გზით, სხვა კომპეტენტური დაწესებულებისთვის შესაძლო მიმართვის შემდეგ.	2	1.2 (75)	1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექცია (შემდგომში - შრომის ინსპექცია) უფლებამოსილია უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების, ამ კანონის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის, მათ შორის სამუშაო ადგილზე ტრეფიკინგის - იძულებითი შრომის ამკრძალავი საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, მინისტრის ბრძანებების და შრომით უფლებებთან და პირობებთან მიმართებით საქართველოს სხვა ნებისმიერი ნორმატიული აქტის, მათ შორის შრომითი	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ითვალისწინებს შრომის უფლების დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის მექანიზმს სასამართლოსა და შრომის ინსპექციის სახით. ამ უკანასკნელის ფუნქციებში შედის შრომის კოდექსით განსაზღვრული დებულებების აღსრულების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შესაბამის სახდელებსაც.





		2 1.2 (76)	<p>ხელშეკრულებების, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების და კოლექტიური დავის ფარგლებში მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებისა თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების (შემდგომ – „შრომის კანონმდებლობა“) ეფექტური გამოყენება.</p> <p>2. შრომის კანონმდებლობის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, შრომის ინსპექციის ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით.</p> <p>1. შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა და ადმინისტრაციული სახდელები განისაზღვრება ამ კანონით და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.</p> <p>2. შრომის კანონმდებლობის</p>	
--	--	------------------	--	--



			<p>დარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ამ კანონის 77-ე-მე-80 მუხლებით და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვს შრომის ინსპექციას.</p>	
		2	<p>1.2 (77.1 )</p> <p>ამ კანონით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების დარღვევა, გარდა ამ კანონის 78-ე-მე-80 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევისა, თითოეული დარღვევისათვის გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას:</p> <p>ა) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ფიზიკური პირი დამსაქმებლის შემთხვევაში არანაკლებ 200 ლარის ოდენობით, მაგრამ</p>	



			<p>არაუმეტეს 400 ლარისა;</p> <p>ბ) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირი დამსაქმებლის შემთხვევაში, არანაკლებ 300 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა;</p> <p>გ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დამსაქმებლის შემთხვევაში (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 100 000 ლარს არ აღემატება, არანაკლებ 300 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა;</p> <p>დ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დამსაქმებლის შემთხვევაში (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს, მაგრამ არ აღემატება 500 000 ლარს,</p>	
--	--	--	---	--



			<p>არანაკლებ 400 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 900 ლარისა;</p> <p>ე) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დამსაქმებლის შემთხვევაში (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 500 000 ლარს აღემატება, არანაკლებ 600 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა;</p> <p>ვ) ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის შემთხვევაში, მათ შორის რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), არანაკლებ 200 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 400 ლარისა.</p>		
10	<p>კომისია ვალდებულია 2006 წლის 17 ივლისამდე საბჭოს წარუდგინოს წინამდებარე დირექტივის შედეგების ანალიზი. მან უნდა წარმოადგინოს წინადადება</p>			ას	მიემართება კომისიას.



	ნებისმიერი საჭირო ცვლილების შესახებ.				
11	წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან გააცნონ კომისიას იმ კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული ნორმების ტექსტები, რომლებიც მათ მიიღეს იმ სფეროში, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე დირექტივა.			ას	მიემართება წვერ სახელმწიფოებს.
12	77/187EEC დირექტივა, დანართი I-ის „ა“ ნაწილით გათვალისწინებული დირექტივით შეტანილი ცვლილებებით, არის გაუქმებული. აღნიშნული ზიანს არ აყენებს წვერი სახელმწიფოების ვალდებულებებს, დანართი I-ის „ბ“ ნაწილით განსაზღვრულ ვადებში მოახდინონ იმპლემენტაცია.			ას	ეხება გაუქმებული დირექტივის საკითხს. არარელევანტურია საქართველოს შემთხვევაში.



	<p>მითითებები ძალადაკარგულ დირექტივაზე უნდა განიმარტოს როგორც მითითებები წინამდებარე დირექტივაზე და წაკითხულ უნდა იქნეს დანართ II-ში მოცემული კორელაციის ცხრილის მიხედვით.</p>					
13	<p>წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის <i>ევროპული თანამეგობრობის ოფიციალურ ჟურნალში</i> მისი გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.</p>				ას	<p>მიემართება წევრ სახელმწიფოებს.</p>
14	<p>წინამდებარე დირექტივა განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისთვის .</p>				ას	<p>მიემართება წევრ სახელმწიფოებს.</p>
დანართ I A ნაწილი	<p>შეცვლილი დირექტივა და ცვლილებების გამომწვევი დირექტივა</p>				ას	<p>I დანართში მითითებული ნორმა არასავალდებულოა საქართველოსთვის.</p>



	საბჭოს დირექტივა 77/187/EEC (OJ L 61, 5.3.1977, გვ. 26)				
	საბჭოს დირექტივა 98/50/EC (OJ L 201, 17.7.1998, გვ. 88)				
დანართი I B ნაწილი	ეროვნულ სამართალში დირექტივის ტრანსპოზიციისთვის განსაზღვრული საბოლოო ვადა (მე-12 მუხლში მითითებული)				ას I დანართში მითითებული ნორმა არასავალდებულოა საქართველოსთვის.
	დირექტივა	საბოლოო ვადა			
	77/187/EEC 98/50/EC	16 თებერვალი 1979 17 ივლისი 2001			
დანართი II	კორელაციის ცხრილი				ას II დანართში მითითებული ნორმა არასავალდებულოა საქართველოსთვის.
	დირექტივა 77/187/EEC	ეს დირექტივა			
	მუხლი 1 მუხლი 2 მუხლი 3 მუხლი 4 მუხლი 4a მუხლი 5 მუხლი 6 მუხლი 7 მუხლი 7a მუხლი 7b მუხლი 8 -----	მუხლი 1 მუხლი 2 მუხლი 3 მუხლი 4 მუხლი 5 მუხლი 6 მუხლი 7 მუხლი 8 მუხლი 9 მუხლი 10 მუხლი 11 მუხლი 12			





	----- ----- ----- -----	მუხლი 13 მუხლი 14 დანართი I დანართი II					
--	----------------------------------	---	--	--	--	--	--



ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>2006 წლის 5 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს <b>2006/54/EC</b> დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში :</p> <p>№1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“</p> <p>№2. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>№3. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“</p> <p>№4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი</p> <p>№5. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“</p> <p>შესაბამისობა :</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი</p> <p>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი</p> <p>შ – შეუსაბამო</p> <p>ას – არასავალდებულო</p>				
<b>1</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>4</b>	<b>5</b>	<b>6</b>	<b>7</b>
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები



			(ნაწილი)		
1	<p>წინამდებარე დირექტივის მიზანია დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში კაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპის განხორციელების უზრუნველყოფა.</p> <p>ამ მიზნით, იგი შეიცავს თანასწორი მოპყრობის პრინციპის განხორციელებისთვის საჭირო დებულებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:</p> <p>(a) დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა, დაწინაურებისა და პროფესიული მომზადების ჩათვლით;</p> <p>(b) სამუშაო პირობები, მათ შორის, ანაზღაურება;</p>	3	1	<p>ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.</p>	სშ
		3	2.1	<p>საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.</p>	



<p>(c)სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემები.</p> <p>იგი ასევე შეიცავს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ განხორციელების მეტ ეფექტიანობას სათანადო პროცედურების დადგენის გზით.</p>	2	1.2 (4.1)	<p>ამ კანონის მიზნებისთვის, დისკრიმინაცია ნიშნავს განზრახ ან გაუფრთხილებლობით, პირის განსხვავებას, გამორიცხვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დედობის, ასევე ორსულობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო, მათ შორის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ნებისმიერი ნიშნით ან სხვა</p>	
--	---	-----------	--	--



		2	1.2 (5)	<p>ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.</p> <p>აკრძალულია დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში (მათ შორის ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე), დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში.</p> <p>დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის, ვრცელდება:</p> <p>ა) წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად;</p> <p>ბ) პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა</p>	
--	--	---	------------	--	--



				<p>ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით)</p> <p>ხელმისაწვდომობაზე;</p> <p>გ) დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;</p> <p>დ) დასაქმებულთა ორგანიზაციის, დამსაქმებელთა ორგანიზაციის ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით;</p> <p>ე) სამსახურებრივი სოციალური დაცვის პირობებზე, მათ შორის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე.</p> <p>თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე:</p> <p>ა) შრომით და წინასახელმეორეულეზო ურთიერთობებზე, მათ შორის:</p>	
		3	2.10		



			<p>ა.ა) წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად;</p> <p>ა.ბ) პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაზე;</p> <p>ა.გ) დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;</p> <p>ბ) დასაქმებულთა ორგანიზაციის, დამსაქმებელთა ორგანიზაციის ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციებიდან</p>	
--	--	--	--	--





				<p>მიღებული სარგებლის ჩათვლით;</p> <p>გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პრობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის:</p> <p>გ.ა) სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე და სხვა;</p> <p>გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე;</p> <p>გ.გ) განათლების ხელმისაწვდომობაზე;</p> <p>გ.დ) საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).</p>		
2.1.a	<p>ამ დირექტივის მიზნებისთვის ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>(a) პირდაპირი დისკრიმინაცია - არის ისეთი მოპყრობა, სქესობრივი ნიშნით, რომელიც არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, ჩააყენა ან მომავალში ჩააყენებს პირს ანალოგიურ</p>	2	1.2 (4.2)	<p>ამ კანონის მიზნებისათვის, პირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირის მიმართ ადგილი აქვს არათანაბარ მოპყრობას სხვა პირთან შედარებით, რომელიც არის, იყო ან შესაძლოა გამხდარიყო ანალოგიურ ან მსგავს მდგომარეობაში უფრო ხელსაყრელი მოპყრობის ობიექტი.</p>	სშ	



	პირობებში სხვა პირთან შედარებით;				
2.1.b	b) ირიბი დისკრიმინაცია - არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით აშკარად ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ერთი სქესის პირს განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მეორე სქესის პირთან შედარებით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამ დებულებას, კრიტერიუმს ან პრაქტიკას აქვს ობიექტური გამართლება და ემსახურება კანონით განსაზღვრულ მიზანს, ხოლო ამ მიზნის მიღწევის საშუალებები მიზანშეწონილი და აუცილებელია;	2	1.2 (4.3)	ამ კანონის მიზნებისათვის, არაპირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს სხვა პირთან შედარებით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა ასეთი დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ობიექტურად არის გამართლებული კანონიერი მიზნით და გამოყენებული საშუალებები აუცილებელი და თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.	სშ
2.1.c	(c) შევიწროება - არის არასასურველი ქცევა პირის მიმართ სქესის ნიშნის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ან	2	1.2 (4.5)	შევიწროება სამუშაო ადგილზე, (მათ შორის, სექსუალურ შევიწროება) ამ მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით წარმოადგენს დისკრიმინაციის ფორმას,	სშ



	იწვევს პირის ღირსების შეურაცხყოფას, და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას;			როდესაც პირველ პუნქტში მითითებული რომელიმე ნიშნით განპირობებული არასასურველი ქცევა მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.		
2.1.d	(d) სექსუალური შევიწროება - არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შეურაცხყოფას, და დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას;	2	1.2 (4.6)	სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს. <b>შენიშვნა:</b> ამ კანონის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.	სშ	



2.1.e	(e) ანაზღაურება - არის ჩვეულებრივი ძირითადი ან მინიმალური შრომის ანაზღაურება ან ხელფასი და ნებისმიერი სხვა სახის ანაზღაურება ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომელსაც მუშაკი იღებს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე;	2	1.2 (41.1 )	შრომის ანაზღაურება არის ჩვეულებრივი ძირითადი (საბაზისო) ან მინიმალური ანაზღაურება ან ხელფასი და ნებისმიერი სხვა სახის ანაზღაურება გადახდილი ფულადი ფორმით ან ნატურით, რომელსაც იღებს დამსაქმებელი პირდაპირ ან არაპირდაპირ დამსაქმებლისგან სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ.	სშ	
2.1.f	(f) სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემა - სქემა, რომელიც არ რეგულირდება სოციალური დაზღვევის საკითხებში კაცისა და ქალის თანასწორი მოპყრობის პრინციპის ეტაპობრივი განხორციელების შესახებ საბჭოს 1978 წლის 19 დეკემბრის	3	2.10“ გ“	თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე: ... გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის: გ.ა) სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე და სხვა;	სშ	



<p>79/7/EEC  დირექტივით(1),  რომლის მიზანია  დასაქმებული ან  თვითდასაქმებული  მუშაკები, რომლებიც  მუშაობენ ერთ  საწარმოში ან  საწარმოთა ჯგუფში,  ეკონომიკური  საქმიანობის სფეროში,  პროფესიულ  სექტორში ან  სექტორთა ჯგუფში,  უზრუნველყოს  სოციალური  დახმარებით,  რომელიც  გათვალისწინებულია  კანონმდებლობით  დადგენილი  სოციალური  დაზღვევის სქემით  განსაზღვრული  სოციალური  დახმარების  დანამატებად ან მათ  ჩასანაცვლებლად,  მიუხედავად ასეთ  სქემაში  მონაწილეობის  სავალდებულო თუ  არჩევითი ხასიათისა.</p>			<p>გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის  მომსახურებაზე;  გ.გ) განათლების  ხელმისაწვდომობაზე;  გ.დ) საჯაროდ  ხელმისაწვდომი საქონლისა  და მომსახურების მიღებაზე  (საცხოვრებლის ჩათვლით).</p>		
<p>2.2. ამ დირექტივის  მიზნებისთვის</p>	<p>2</p>	<p>1.2 (4.1)</p>	<p>ამ კანონის მიზნებისთვის,  დისკრიმინაცია ნიშნავს</p>	<p>სშ</p>	



<p>დისკრიმინაცია მოიცავს:</p> <p>(a) შევიწროებას და სექსუალურ შევიწროებას, ასევე ნებისმიერ ნაკლებ ხელსაყრელ მოპყრობას პირის მიერ ასეთი ქცევის უარყოფის ან დამორჩილების საფუძველზე;</p> <p>b) მითითებას პირის მიმართ სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის განხორციელებაზე;</p> <p>(c) ნებისმიერ ნაკლებ ხელსაყრელ მოპყრობას ქალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ორსულობასთან ან, მშობიარობასა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებასთან 92/85/EEC დირექტივის მნიშვნელობით.</p>		<p>განზრახ ან გაუფრთხილებლობით, პირის განსხვავებას, გამორიცხვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დედობის, ასევე ორსულობის, ასევე პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო, მათ შორის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ნებისმიერი ნიშნით ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში</p>	
--	--	--	--



				<p>თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.</p>	
		2	1.2 (4.4)	<p>დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდა.</p>	
		2	1.2 (4.5)	<p>შევიწროება სამუშაო ადგილზე, (მათ შორის, სექსუალურ შევიწროება) ამ მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით წარმოადგენს დისკრიმინაციის ფორმას, როდესაც პირველ პუნქტში მითითებული რომელიმე ნიშნით განპირობებული არასასურველი ქცევა მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას</p>	
		2	1.2 (4.7)	<p>აკრძალულია დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და მის მიმართ</p>	





				ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დასაქმებულმა დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.		
3	წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გააგრძელონ ან დაიწყონ ღონისძიებები დამფუძნებელი ხელშეკრულების 141-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობით, პროფესიულ კარიერაში კაცისა და ქალის სრული თანასწორობის პრაქტიკაში უზრუნველყოფის მიზნით.	2	1.2 (8)	დისკრიმინაციად არ ჩაითვლება განსაკუთრებული ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია იმ პირთა კონკრეტულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, ოჯახური პასუხისმგებლობის, ან სოციალური ან კულტურული სტატუსის გათვალისწინებით ჩვეულებრივ აღიარებულნი არიან, რომ საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას ან მხარდაჭერას.	სშ	
		2	1.2 (22.1)	დამსაქმებელი ხელს უწყობს დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას.		
		2	1.2 (22.2)	ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულების, ახალშობილის შვილად		



				<p>აყვანის გამო შევებულების დასრულების შემდეგ, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლება, რამდენადაც ეს აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად და არ იწვევს დამსაქმებლისათვის არაპროპორციული ფინანსური ხარჯების წარმოშობას.</p> <p>თუ პროფესიული გადამზადების, სწავლის ან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სასწავლო კურსში დასაქმებულის მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამსაქმებელი, ამ კურსში დასაქმებულის მონაწილეობა ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.</p>		
2		2	1.2 (22.3)			
4	უნდა აღმოიფხვრას სქესის ნიშნით პირდაპირი და ირიბი	2	1.2 (4.4)	დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის მიერ	ნშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველო შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“



<p>დისკრიმინაცია ერთი და იგივე სამუშაოს ან თანაბარი ღირებულების სამუშაოს შემთხვევაში ანაზღაურების ყველა ასპექტსა და პირობასთან დაკავშირებით.</p> <p>კერძოდ, თუ ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით გამოიყენება სამუშაოს კლასიფიკაციის სისტემა, ის უნდა ეფუძნებოდეს ერთი და იგივე კრიტერიუმებს, როგორც კაცის, ისე ქალის შემთხვევაში და უნდა იქნას შედგნილი ისე, რომ გამორიცხავდეს ნებისმიერ დისკრიმინაციას სქესობრივი ნიშნით.</p>			<p>შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდა.</p>		<p>ასახავს თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დამკვიდრების საჭიროებას და ამ მიმართულებით დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებს.</p> <p>აქედან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ნაწილობრივ შესაბამისობაშია დირექტივასთან, თუმცა, ის არ ცნობს თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპს, სამუშაოს კლასიფიკაციის სისტემას და შრომის ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმებს.</p>
<p>5 მე-4 მუხლის შეზღუდვის გარეშე, დაუშვებელია პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით სამსახურებრივი სოციალური</p>	<p>2</p>	<p>1.2 (4.1)</p>	<p>ამ კანონის მიზნებისთვის, დისკრიმინაცია ნიშნავს განზრახ ან გაუფრთხილებლობით, პირის განსხვავებას, გამორიცხვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური</p>	<p>სშ</p>	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტით „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ შემოთავაზებული დისკრიმინაციის დეფინიცია მოიცავს შრომისა და დასაქმების სფეროში თანასწორობის უზრუნველყოფის პრინციპებს, მათ შორის, მ სოციალური დაზღვევის სქემებიც ასეთის ა</p>



<p>დაზღვევის სქემებში, კერძოდ, შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:</p> <p>(a) ასეთი სქემების ფარგლები და მათზე ხელმისაწვდომობის პირობები;</p> <p>(b) შენატანების განხორციელების ვალდებულება და შენატანების გაანგარიშება;</p> <p>(c) სოციალური დახმარების გაანგარიშება, დამატებითი სოციალური დახმარების ჩათვლით, რომელიც განკუთვნილია მეუღლის ან კმაყოფაზე მყოფი პირებისთვის და პირობები, რომლებიც არეგულირებს სოციალური დახმარების ხანგრძლივობასა და მის შენარჩუნებას.</p>	<p>3</p>	<p>კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დედობის, ასევე ორსულობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო, მათ შორის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ნებისმიერი ნიშნით ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.</p>	<p>შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით, კანონპროექტი, შეესაბამება დირექტივით დადგენილ სტანდარტს. ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი ეხება სოციალური დაცვის საკითხებს.</p> <p>გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არ უკრძალავს დამსაქმებელს თავისი კომპანიის ფარგლებში დაამკვიდროს ასეთი სქემები. ამგვარი მოცემულობის პირობებში კი, დამსაქმებელი შემოთავაზებული კანონმდებლობით ვალდებულია უზრუნველყოს თანასწორი მოპყრობა სოციალური დაზღვევის სქემებში.</p>
--	----------	---	---



			2.10 <sup>ა</sup> გ <sup>ა</sup>	თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე: ... გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის: გ.ა) სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შედავათებზე და სხვა; გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე; გ.გ) განათლების ხელმისაწვდომობაზე; გ.დ) საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).		
6	ამ თავის მოქმედება ვრცელდება დასაქმებულ მოსახლეობაზე, მათ შორის თვითდასაქმებულ პირებზე, პირებზე, რომელთა საქმიანობა შეწყდა ავადმყოფობის, დედობის, უბედური შემთხვევის ან არანებაყოფლობითი	3	2.10 <sup>ა</sup> გ <sup>ა</sup>	თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე: ... გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის: გ.ა) სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე,	სშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას შრომისა და დასაქმების სფეროში ნებისმიერ პირთან მიმართებით, ნებისმიერი ნიშნით. ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი ეხება სოციალური დაცვის საკითხებს, რომელიც მათ შორის ვრცელდება თვითდასაქმებულ პირებზე.  ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა არ უდამსაქმებელს თავისი კომპანიის ფ: დაამკვიდროს ასეთი სქემები. ამგვარი მოცე



	უმუშევრობის გამო, და სამუშაოს მაძიებელ პირებზე და პენსიაზე გასულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მუშაკებზე და მათი სახელით მოქმედ პირებზე, ეროვნული კანონმდებლობის ან/და პრაქტიკის თანახმად.			სოციალურ შეღავათებზე და სხვა; გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე; გ.გ) განათლების ხელმისაწვდომობაზე; გ.დ) საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).		პირობებში კი, დამსაქმებელი შემოთავაზებულ კანონმდებლობით ვალდებულია უზრუნველყოს თანასწორი მოპყრობა სოციალური დაზღვევის სქემებში.
7.1	(a)სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემებზე, რომლებიც უზრუნველყოფს შემდეგი რისკებისგან დაცვას: (i)ავადმყოფობა, (ii) ინვალიდობა, (iii) ხანდაზმულობა, მათ შორის პენსიაზე ნაადრევად გასვლა, (iv) საწარმოო ტრამვა და პროფესიული დაავადებები, (v) უმუშევრობა;  b) სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემებს,	3	2.10 “გ“	თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე: ... გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის: გ.ა) სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე და სხვა; გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე; გ.გ) განათლების ხელმისაწვდომობაზე; გ.დ) საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).	ნშ	საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას შრომისა და დასაქმების სფეროში ნებისმიერ პირთან მიმართებით, ნებისმიერი ნიშნით. ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი ეხება სოციალური დაცვის საკითხებს.  გარდა ამისა,, საქართველოს კანონმდებლობა არ უკრძალავს დამსაქმებელს თავისი კომპანიის ფარგლებში დაამკვიდროს ასეთი სქემები. ამგვარი მოცემულობის პირობებში კი, დამსაქმებელი შემოთავაზებული კანონმდებლობით ვალდებულია უზრუნველყოს თანასწორი მოპყრობა სოციალური დაზღვევის სქემებში.  საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, მისი რეგულირების სფეროდან გამომდინარე, არ მოიხაავს სოციალური დაზღვევის სქემებს. აქედან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ



	რომლებიც უზრუნველყოფს სხვა სახის სოციალურ დახმარებას ფულადი ან ნატურალური ფორმით, განსაკუთრებით, მარჩენალდაკარგულთა შეღავათებს და ოჯახის დახმარებას, თუ ეს დახმარებები წარმოადგენს ანაზღაურებას, რომელსაც დამსაქმებელი მუშაკს უხდის ამ უკანასკნელთან შრომითი ურთიერთობის გამო.					შესაბამისობაშია დირექტივით დადგენილ სტანდარტთან.
7.2.	ეს თავი ასევე ვრცელდება კონკრეტულ კატეგორიების მუშაკთა, საპენსიო სქემებზეც, როგორცაა საჯარო მოსამსახურეები, თუ სქემის თანახმად გადასახდელი საპენსიო გასაცემელის გადახდა ხდება საჯარო დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობის გამო.	3	2.10	თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე: ა) შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის: ა.ა) წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე.	სშ	





	<p>ის ფაქტი, რომ აღნიშნული სქემა წარმოადგენს კანონით განსაზღვრული ზოგადი სქემის ნაწილს, არ ზღუდავს აღნიშნულ დებულებებს.</p>		<p>საქმიანობის სფეროს მიუხედავად;</p> <p>ა.ბ) პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით)</p> <p>ხელმისაწვდომობაზე;</p> <p>ა.გ) დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;</p> <p>ბ) დასაქმებულთა ორგანიზაციის, დამსაქმებელთა ორგანიზაციის ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით;</p> <p>გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის:</p> <p>გ.ა) სოციალურ დაცვაზე, სოციალურ</p>	
--	---	--	---	--



			<p>უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე და სხვა; გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე; გ.გ) განათლების ხელმისაწვდომობაზე; გ.დ) საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).</p>		
--	--	--	---	--	--



8.1	<p>ეს თავი არ ვრცელდება:  (a) თვითდასაქმებულ პირებთან ინდივიდუალურ ხელშეკრულებებზე;  (b) თვითდასაქმებული პირებისთვის განკუთვნილ ერთ-წევრიან სქემებზე;  (c) მუშაკთა შემთხვევაში, სადაზღვეო ხელშეკრულებებზე, სადაც დამსაქმებელი მხარეს არ წარმოადგენს;  (d) სოციალური დაზღვევის სქემების ფაკულტატურ დებულებებზე, რომლებსაც ინდივიდუალურად სთავაზობენ მონაწილეებს, რათა უზრუნველყონ ისინი:  (i) დამატებითი სოციალური დახმარებით, ან  (ii) იმ თარიღის არჩევით, როდესაც იწყება ჩვეულებრივი სოციალური დახმარება</p>	1	1.1	<p>ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.</p> <p>შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.</p>	სშ	<p>გამონაკლისი ვერ გავრცელდება თვითდასაქმებულთა უფლებებზე, რამდენადაც საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ისედაც არ ეხება დასაქმებულთა ამ კატეგორიას.</p>
-----	---	---	-----	--	----	---



	<p>თვითდასაქმებული პირებისთვის, ან რამოდენიმე სოციალურ დახმარებას შორის არჩევანით;</p> <p>(e)</p> <p>სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემებზე, თუ სოციალური დახმარება ფინანსდება მუშაკთა მიერ ნებაყოფილობით გადახდილი შენატანების საფუძველზე.</p>				
--	--	--	--	--	--



8.2	<p>ეს თავი ხელს არ უშლის დამსაქმებელს დაუნიშნოს საპენსიო დანამატი იმ პირებს, რომლებსაც სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემის მიზნებისთვის უკვე შეუსრულდათ საპენსიო ასაკი, მაგრამ რომლებსაც კანონით გათვალისწინებული ასაკობრივი პენსიის მიზნებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ საპენსიო ასაკამდე; ეს საპენსიო დანამატი მიზნად ისახავს ამ პირებზე გაცემული სოციალური დახმარების მთლიანი თანხა გაუთანაბროს ან უფრო თანაბარი გახადოს იმ სოციალურ დახმარებებთან მიმართებაში, რომელსაც იმავე სიტუაციაში საპენსიო ასაკს მიღწეულ საწინააღმდეგო სქესის პირებს უხდიან, სანამ საპენსიო დანამატით მოსარგებლე პირები</p>	3	2.10	<p>თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე:</p> <p>ა) შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის:</p> <p>ა.ა) წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად;</p> <p>ა.ბ) პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამადლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაზე;</p> <p>ა.გ) დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;</p> <p>ბ) დასაქმებულთა ორგანიზაციის, დამსაქმებელთა</p>	სშ	<p>დირექტივის წარმოდგენილი ნორმა ეხება დასაქმებულის სოციალური დაცვის ნაწილში საპენსიო უზრუნველყოფისას თანაბარი მოპყრობის წესს. აღნიშნული გარანტირებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით.</p>
-----	---	---	------	---	----	---



	<p>არ მიაღწევენ კანონით გათვალისწინებულ საპენსიო ასაკს.</p>		<p>ორგანიზაციის ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით;</p> <p>გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის:</p> <p>გ.ა) სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე და სხვა;</p> <p>გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე;</p> <p>გ.გ) განათლების ხელმისაწვდომობაზე;</p> <p>გ.დ) საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).</p>	
--	---	--	---	--



9	<p>თანასწორი მოპყრობის პრინციპის საწინააღმდეგო დებულებებზე და ითვლება სქესზე პირდაპირ ან ირიბად დაფუძნებული დებულებები, რომლებიც ეხება:</p> <p>(a) იმ პირების განსაზღვრას, რომელთაც აქვთ სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემაში მონაწილეობის უფლება;</p> <p>(b) სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემაში მონაწილეობის სავალდებულო ან არასავალდებულო ხასიათის განსაზღვრას;</p> <p>(c) განსხვავებული წესების დადგენას სქემაში ჩართვის ასაკთან, ან დასაქმების ან სქემაში მონაწილეობის მინიმალურ პერიოდთან დაკავშირებით,</p>	3	2.10	<p>თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე:</p> <p>ა) შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის:</p> <p>ა.ა) წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად;</p> <p>ა.ბ) პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამდლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაზე;</p> <p>ა.გ) დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;</p> <p>ბ) დასაქმებულთა ორგანიზაციის, დამსაქმებელთა</p>	წმ	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ მისი რეგულირების სფეროდან გამომდინარე, არ მოიცავს სოციალური დაზღვევის სქემებს. გასათვალისწინებელია „დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირება ზოგადად კრძალავს დისკრიმინაციულ მოპყრობას.</p>
---	--	---	------	--	----	---





<p>რომელიც აუცილებელია ამ სქემით გათვალისწინებული სოციალური დახმარების მისაღებად;</p> <p>(d) განსხვავებული წესების დადგენას, გარდა (თ) და (კ) პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შენატანების ანაზღაურების მიზნით, როდესაც მუშაკი გადის სქემიდან იმ პირობების დაკმაყოფილების გარეშე, რომლებიც გრძელვადიანი სოციალური დახმარების მიღების გადავადებულ უფლებას უზრუნველყოფენ;</p> <p>(e) ერთი ან მეორე სქესის მუშაკებისთვის სოციალური დახმარების გაცემის ან გაცემის შეზღუდვის განსხვავებული</p>		<p>ორგანიზაციის ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით;</p> <p>გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის:</p> <p>გ.ა) სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე და სხვა;</p> <p>გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე;</p> <p>გ.გ) განათლების ხელმისაწვდომობაზე;</p> <p>გ.დ) საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).</p>	
--	--	---	--



<p>პირობების დაწესებას;  (f) განსხვავებული საპენსიო ასაკის დაწესებას;  (g) უფლებების შენარჩუნების ან მოპოვების შეჩერებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ან ოჯახური პირობების გამო შვებულების პერიოდში, რომლის უფლებაც მინიჭებულია კანონით ან ხელშეკრულებით, და რომელიც ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ;  (h) დახმარების სხვადასხვა ღონეების დადგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა საჭირო იყოს აქტუარული გათვლების ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც განსხვავდება სქესის</p>				
---	--	--	--	--



<p>მიხედვით ფიქსირებული საპენსიო შენატანების მქონე სქემის შემთხვევაში; დაფინანსებული ფიქსირებული საპენსიო გასაცემელის მქონე სქემის შემთხვევაში გარკვეული ელემენტები შესაძლოა იყოს არათანაბარი, როდესაც თანხების უთანასწორობა გამოწვეულია სქემის დაფინანსების განხორციელების დროს სქესის მიხედვით განსხვავებული აქტუარული ფაქტორების გამოყენებით;</p> <p>(i) მუშაკთა შენატანების განსხვავებული დონეების დადგენა;</p> <p>(j) დამსაქმებელთა შენატანების განსხვავებული დონეების დადგენა, გარდა:</p>					
---	--	--	--	--	--



<p>(i)ფიქსირებული საკენსიო შენატანების მქონე სქემების შემთხვევაში, რომელთა მიზანია საბოლოოდ გასაცემი სოციალური დახმარების თანხის გათანაბრება ან უფრო მეტად დაახლოება ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის;</p> <p>(ii)დაფინანსებული ფიქსირებული საკენსიო გასაცემელის მქონე სქემების შემთხვევაში, სადაც დამსაქმებლის შენატანები გამიზნულია უზრუნველყოს ფიქსირებული სოციალური დახმარების ღირებულების დასაფარად საჭირო თანხების არსებობა;</p> <p>(k) განსხვავებული სტანდარტების ან სტანდარტების დადგენას, რომლებიც</p>					
--	--	--	--	--	--



	<p>გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრული სქესის მუშაკთა მიმართ, გარდა (h) და (j) პუნქტებით განსაზღვრულისა, დახმარებების გადავადების გარანტიებთან ან უფლებების შენარჩუნებასთან დაკავშირებით, როცა მუშაკი ტოვებს სქემას.</p> <p>2. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ თავის ფარგლებში სოციალური დახმარების გაცემა ხდება სქემის მმართველი ორგანოების შეხედულებისამებრ, ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს თანასწორი მოპყრობის პრინციპს.</p>					
10	<p>1.წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ზომები უნდა მიიღონ, რათა უზრუნველყონ, რომ თვითდასაქმებული პირებისთვის</p>				ას	<p>დირექტივის აღნიშნული დებულება მიემართება წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას დირექტივის მიღებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.</p>



<p>განკუთვნილი სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემების შესახებ დებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება თანასწორი მოპყრობის პრინციპს გადასინჯოს და ძალაში შევიდეს არაუგვიანეს 1993 წლის 1 იანვრიდან; ხოლო იმ წევრმა სახელმწიფოებმა, რომელთა მიერთება ამ თარიღის შემდეგ მოხდა- იმ დღიდან, როდესაც 86/378/EEC დირექტივა ამოქმედდება მათ ტერიტორიაზე.</p> <p>2. ეს თავი არ გამორიცხავს, რომ თვითდასაქმებული პირების სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემაში მონაწილეობის პერიოდთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები ამ</p>				
--	--	--	--	--



	სქემის გადასინჯვამდე, რეგულირდებოდეს აღნიშნულ პერიოდში მოქმედი სქემის დებულებებით.				
11	<p>თვითდასაქმებული პირების სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემებთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ გადაავადონ თანასწორი მოპყრობის პრინციპის სავალდებულო გამოყენება შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:</p> <p>(a) ასაკის ან შრომის პენსიის გაცემისთვის საპენსიო ასაკის განსაზღვრა და მისი შესაძლო შედეგები სხვა სახის სოციალურ დახმარებაზე:</p> <p>(i) იმ თარიღამდე, როდესაც აღნიშნული თანასწორობა მიიღწევა კანონით</p>			ას	<p>დირექტივის აღნიშნული დებულება მიემართება წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას დირექტივის მიღებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.</p>





<p>გათვალისწინებული სქემებით, (ii) ან არაუგვიანეს იმ თარიღისა, როდესაც აღნიშნული თანასწორობა განისაზღვრება დირექტივით; (b) პენსია მარჩენალდაკარგულთათვის, სანამ ევროპის გაერთიანების კანონმდებლობით არ განისაზღვრება თანასწორი მოპყრობის პრინციპი აღნიშნულთან დაკავშირებით კანონით დადგენილ სოციალური დაზღვევის სქემებში; (c) მე-9(მ)(i) მუხლის გამოყენება აქტუარული გათვლების ფაქტორებთან დაკავშირებით 1999 წლის 1 იანვრამდე, ხოლო იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ამ თარიღის შემდეგ გაწევრიანდნენ- იმ თარიღამდე, როდესაც</p>					
--	--	--	--	--	--



	86/378EEC დირექტივა ამოქმედდა მათ ტერიტორიაზე.				
12	1.ნებისმიერი, ამ თავის განხორციელებისკენ მიმართული ზომა მუშაკებთან დაკავშირებით უნდა მოიცავდეს 1990 წლის 17 მაისის შემდეგ პერიოდებში ნამსახურეობის საფუძველზე წარმოშობილი სამსახურებრივი სოციალური დაზღვევის სქემით გათვალისწინებულ ყველა სახის სოციალურ დახმარებას, და უკუქცევითი ძალა აქვს ამ თარიღის მიმართ, იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს იმ მუშაკებს, ან იმათი სახელით მომჩივან პირებს, რომლებმაც ამ თარიღამდე აღძრეს სამართალწარმოება ან შეიტანეს ანალოგიური სასარჩელო მოთხოვნა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ			ას	აღნიშნული რეგულაციები დირექტივის უკუქცევით ძალაზე არარელევანტურია საქართველოსთან მიმართებაში.



<p>შემთხვევაში, განმახორციელებელ ზომებს აქვთ უკუქცევითი ძალა 1976 წლის 8 აპრილის მიმართ და მოიცავს ამ თარიღის შემდეგ დასაქმების პერიოდთან დაკავშირებულ ყველა სახის სოციალურ დახმარებას. იმ წევრი სახელმწიფოებისთვის , რომლებიც გაწევრიანდნენ ევროპის გაერთიანებაში 1976 წლის 8 აპრილის შემდეგ და 1990 წლის 17 მაისამდე, აღნიშნული თარიღი ჩანაცვლდება იმ თარიღით, როდესაც მათ ტერიტორიაზე ამოქმედდა დამფუძნებელი ხელშეკრულების 141-ე მუხლი.</p> <p>2. პირველი პუნქტის მეორე წინადადება ხელს არ უშლის ეროვნული წესების გამოყენებას, რომლებიც</p>					
--	--	--	--	--	--



<p>დაკავშირებულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად სარჩელის შეტანის ვადებთან იმ მუშაკებისთვის, ან მათი სახელით მოქმედი პირებისთვის, რომლებმაც წამოიწყეს სამართალწარმოება ან შეიტანეს ანალოგიური სასარჩელო მოთხოვნა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად 1990 წლის 17 მაისამდე, იმ პირობით, რომ ეს წესები ამგვარი ქმედებისთვის ნაკლებ ხელსაყრელი არ არის, ვიდრე ქვეყნის შიგნით განხორციელებული მსგავსი ქმედებისთვის და რომ ისინი შეუძლებელს არ გახდინან ევროპის გაერთიანების კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებების პრაქტიკაში გამოყენებას.</p>					
---	--	--	--	--	--



<p>3. იმ წევრი სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებიც გაწევრიანდნენ 1990 წლის 17 მაისის შემდეგ და რომლებიც 1994 წლის 1 იანვარს იყვნენ 'ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმების' ხელშემკვრელი მხარეები, პირველი პუნქტის პირველი წინადადებით განსაზღვრული თარიღი 1990 წლის 17 მაისი უნდა შეიცვალოს თარიღით 1994 წლის 1 იანვარი.</p> <p>4. ყველა დანარჩენი წევრი სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებიც გაწევრიანდნენ 1990 წლის 17 მაისის შემდეგ, პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული თარიღი 1990 წლის 17 მაისი უნდა შეიცვალოს იმ თარიღით, როდესაც</p>				
---	--	--	--	--



	მათ ტერიტორიაზე ამოქმედდა დამფუძნებელი ხელშეკრულების 141-ე მუხლი.					
13	კაცსა და ქალს შეუძლიათ მოქნილი საპენსიო ასაკის მოთხოვნა თანაბარი პირობების საფუძველზე; ეს არ ჩაითვლება, როგორც ამ თავთან შეუთავსებლობა.	3	2.10	თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე: ა) შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის: ა.ა) წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად; ა.ბ) პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაზე; ა.გ) დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და	სშ	



				<p>შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;</p> <p>ბ) დასაქმებულთა ორგანიზაციის, დამსაქმებელთა ორგანიზაციის ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით;</p> <p>გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის:</p> <p>გ.ა) <b>სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე და სხვა;</b></p> <p>გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე;</p> <p>გ.გ) განათლების ხელმისაწვდომობაზე;</p> <p>გ.დ) საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).</p>	
14.1	დისკრიმინაციის აკრძალვა	2	1.2 (5)	აკრძალულია დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო	სშ





